პალიტრა მედია
ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2011
№301 (13598) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლო დღეების თემა თბილისში

რომელიც ჯორების ქალაქია, მაგრამ ისეთი პატარა და შინაურულია, ჯორები ხშირად მართლდება ხოლმე

# თებერვლამდე

## ხეში წყლამდე და სტადიონზე ხალხამდე

## დღეს ჩემპიონატის ბოლო მატჩია:

ზამთრის ჩემპიონი **ზესტაფონი** VS მოულოდნელი **მერანი**

## როგორი ბილეთი აიღო სამშობლოში გაფრენილმა ალექს გარსიამ: იქით-აქეთ თუ მხოლოდ იქით?




მერანელი ელგუჯა გრიგალაშვილი

ზესტაფონელი შოთა გრიგალაშვილი



# ჰერთა და კობი: მეოთხედფინალი და ახალი მწვრთნელი




## გუშინ არაერთმა მოვლენებს გაუსწრო და, მეორე ვარიანტიაო, დინამოში კი ამბობენ, მწვრთნელი მართლაც წავიდა, ოღონდ... არდადეგებზეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● სავარაუდო ტრანსფერი



ნიკოლოზ გელაშვილია

## სად გაფრინდება გელაშვილი: გერმანია, საფრანგეთი...

**ნიკა გელაშვილი** დღეს მარტვილში "მერანთან" ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო ვერ ითამაშებს. მეტიც, შეიძლება, ის კლუბმა გაყიდოს და "ზესტაფონის" შემადგენლობაში საერთოდ ველარ ვიხილოთ, თუ, რა თქმა უნდა, წლების შემდეგ ისევ ფეროელებს არ დაუბრუნდა. 26 წლის გელაშვილს საქართველოს ჩემპიონებთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და მისი გაყიდვით "ზესტაფონი" ბიუჯეტს შეივსებს.

ბოლო დროს გელაშვილის რამდენიმე მსურველი კლუბი დასახელდა, თუმცა მათი მხრიდან კონკრეტულ მოლაპარაკებამდე საქმე არ მისულა – მთავარ ამბებს უახლოეს კვირებში ან სულაც დღეებში უნდა ველოდოთ.

დიდია იმის ალბათობა, რომ ნიკამ კარიერა მაღალი დონის ლიგაში განაგრძოს. როგორც "ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსმა **სერგო ფუტკარაძემ** გვითხრა, კლუბისთვის ცნობილია, რომ გელაშვილით მაღალი დონის უცხოური კლუბები არიან დაინტერესებულნი, მათ შორის გერმანიის პირველი ბუნდესლიგისა და საფრანგეთის ლიგა 1-ის ბინადრები.

ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან. ბუნებრივია, თუ გელაშვილი მართლაც აღმოჩნდა ამ ორი ქვეყნიდან რომელიმეში, ეს მასაც წაადგება და ქართული ფეხბურთის პრესტიჟსაც.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ფიფას რეიტინგი

## ეს... ეს... ეს ერთი ცალკე საფიქრალია: გაგვასწრო ნახევარმა ესესერმა

ფიფას წინა რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ სულ რამდენიმე სანაკრებო მატჩი ჩატარდა, თუმცა მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ "კოკა კოლასთან" ერთად დეკემბრის თვის რეიტინგი მაინც გამოაქვეყნა.

ზემოთ ნახსენები მიზეზის გამო რეიტინგში, რასაკვირველია, მინიმალური ცვლილებებია, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა უთამაშებლად მაინც შეძლო ერთი ადგილით დაწინაურება – 74-დან 73-ე პოზიციაზე აინაცვლა.

რაც შეეხება **თემურ ქეცბაიას** გუნდის მომავალ მეტოქეებს მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში – ესპანეთი, ბუნებრივია, რეიტინგის ერთპიროვნული ლიდერია, საფრანგეთი მე-15 საფეხურზე დარჩა, ბელარუსი 65-დან 64-ზე გადავიდა, ფინეთი კი ორი ადგილით აღზევდა და დღეისთვის 86-ეა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ალბანეთის ნაკრები, რომელსაც 29 თებერვალს თბილისში ვუმასპინძლებთ, საქართველოს ეროვნულ გუნდს კუდში მისდევს – 74-ეა.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ჩვენი ნაკრები მეშვიდეა და რუსეთს, სომხეთს, უკრაინას, ესტონეთს, ბელარუსსა და ლატვიას ჩამორჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რეიტინგის ზეათეულში ყველაფერი უცვლელია.

1. ესპანეთი
2. ჰოლანდია
3. გერმანია
4. ურუგვაი
5. ინგლისი
6. ბრაზილია
7. პორტუგალია
8. ხორვატია
9. იტალია
10. არგენტინა

...73 საქართველო



● ინტერვიუ

### რევაზ არველაძე

## საკუთარი გემოვნება მაქვს და სუბიექტური ვიქნები

**სადაცაა, 2011 წელი დასრულდება და რა მონაგარით ხვდება ახალ წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია? ამაზე სასაუბროდ ფედერაციის გენერალურ მდივან რევაზ არველაძეს მივაკითხეთ და ინტერვიუსას, რა თქმა უნდა, სხვა თემებსაც გადავწვდით.**

**- როგორ შეაფასებდით ფედერაციის მუშაობას 2011 წელს?**

- ძირითადი მიმართულებები ნაკრები გუნდები და ეროვნული ჩემპიონატი იყო, ცხადია, სხვა გამოწვევებთან ერთად და ყველაფერ ამაზე გაისადაც გაგრძელდება მუშაობა. პირველ რიგში, უნდა მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურული საკითხები, რათა ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი უკეთეს პირობებში ჩატარდეს. საამისოდ მოეწყობა სამი ახალი მოედანი – გორში, ფოთსა და ქობულეთში. მნიშვნელოვანია, რომ 2012 წელს აჭარაში უკვე იქნება ისეთი სტადიონი, სადაც უმაღლესი ლიგის მატჩები ნორმალურ პირობებში გაიმართება. ყველაფერი ეს სახელმწიფო პროგრამით, პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდება. ალბათ, იცით, რომ ზუგდიდშიც შენდება ახალი სტადიონი.

**- აქტუალურია „მიხეილ მესხის" თემაც. საქართველოს ეროვნული ნაკრები საშინაო მატჩებს მხოლოდ ამ არენაზე ითამაშებს?**

- ეს სტადიონი ფედერაციამ 49-წლიანი იჯარით აიღო. უკვე გამოვცვალეთ საფარი, გაისად კი სტადიონი სრულ მზადყოფნაში იქნება ნებისმიერი რანგის მატჩისა და ტურნირისთვის.

**- ყველას კარგად ახსოვს — ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციის შემდეგ აღმოჩნდა, რომ არენა ჩემპიონთა ლიგის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა...**

- „მიხეილ მესხზე" ჩატარდება ყველა ის სამუშაო, ჩემპიონთა ლიგისთვის აუცილებელ სტანდარტებს რომ დააკმაყოფილებს.

**- "დინამო არენაზე" ეროვნული ნაკრები აღარ ითამაშებს?**

- თუ ამის აუცილებლობა იქნება, არ არის გამორიცხული, ნაკრებმა ისევ ითამაშოს "დინამოზე", რადგან ტევადობით ეს სტადიონი უფრო დიდია.

**- რა ვითარებაა ლაგოდეხის ბაზაზე?**

- 2012 წელს ფედერაციის ეს ბაზა სრული დატვირთვით ამუშავდება. უფრო სრულყოფილი გახდება ჩვენი ტექნიკური ცენტრი "ბასაც", სადაც სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია – გამოიცვალა მოედნის საფარი და შენობა მთლიანად გარემონტდა, ახლა კი სამიათასიანი ტრიბუნაც კეთდება.

**- ფედერაციის ინფრასტრუქტურული პროექტები ერთია, მაგრამ მხოლოდ ეს ვერ წაადგება წინსვლას...**

- ჩვენი მიზანი საქართველოში ფეხბურთელთა რაოდენობის გაზრდაა და ეს უნდა მოხდეს ყველა რეგიონში. სხვა ფაქტორების გარდა, ამისთვის აუცილებელია სათანადო რაოდენობის კვალიფიციური მწვრთნელებიც.

**- გასაგებია, მაგრამ ფედერაციამ A კატეგორიის ლიცენზიის აღება 3 000 ლარად შეაფასა. როგორ ფიქრობთ, საქართველოს პირობებისთვის ეს ძვირი არ არის?**

- ვფიქრობ, ძალიან ძვირი არ არის. ჩვენ ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ პროფლიცენზიის გაცემის უფლებაც მოვიპოვოთ. თუ ასე მოხდა, ქართველ მწვრთნელებს აღარ მოუწევთ პროფლიცენზიისთვის უცხოეთში წასვლა და მისი აღება ჩვენთან გაცილებით იაფიც დაუჯდებათ. არის დიდი ალბათობა, რომ ეს ყველაფერი უახლოეს პერიოდში მოვახერხოთ, პროფლიცენზიის კურსებისთვის ჩვენი კადრების გარდა უცხოელ ინსტრუქტორებსაც მოვიწვევთ. ყველა დამეთანხმება, რომ ფეხბურთელის მოსამზადებლად განათლებული მწვრთნელი უაღრესად მნიშვნელოვანია.

**- ეროვნულ ჩემპიონატზეც გკითხავთ. მას შემდეგ, რაც პროფლიგა უფუნქციოდ დარჩა, დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ჩემპიონატის საპრიზო ფონდზე ფედერაცია იზრუნებდა, თუმცა ეს პროექტი დღემდე განუხორციელებელია...**

- თუ რამდენად მნიშვნელოვანია საპრიზო ფონდი ეროვნული ჩემპიონატისთვის, ამაზე საკუთარი მოსაზრება მაქვს. ასეთი რამ საინტერესოს ხდის ჩემპიონატს კლუბთა სპონსორებისთვის, ეს თავისებური ბიძგია მათთვის, რათა გააგრძელონ ან დაიწყონ კლუბის სპონსორობა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს ვერ იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი – იქითკენ უნდა წავიდეთ, რომ კლუბებს შემოსავლის ისეთი წყაროები ჰქონდეთ, რომლებიც უკვე აპრობირებულია – სატელევიზო უფლებებიდან შესული თანხები, ევროსარბიელზე თამაშიდან მიღებული ფული, ფეხბურთელთა ტრანსფერები და სტადიონის შემოსავლები.

**- "სოკარი" და "ევრობეთი" – საქართველოს ჩემპიონატით ეს ორი ორგანიზაცია კი დაინტერესდა, მაგრამ ეს საკმარისი ვერ უნდა იყოს – "სოკარი" კლუბებს საწვავით ამარაგებს, "ევრობეთი" კი ჩემპიონს გადასცემს ფულად ჯილდოს. ბოლო დროს ტენდენცია უფრო იქითკენ მიდის, რომ კლუბები სახელმწიფო სტრუქტურებიდან ფინანსდებიან. რისი მომტანია ასეთი ტენდენცია?**

- რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება, თუ კლუბების დაფინანსების მეტი წილი კერძო სტრუქტურებისა იქნება. ისიც ფაქტია, რომ დღეს რამდენიმე კერძო კლუბს საკმაოდ მყარი ფინანსური ზურგი აქვს.

**- ეროვნულ ნაკრებზე გადავერთოთ. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია იმან, რომ ფედერაციამ თემურ ქეცბაიას კონტრაქტი გაუგრძელა...**

- აზრთა სხვადასხვაობა დიდ ნაკრებებსაც სდევს და ეს სავსებით ნორმალურია. რა თქმა უნდა, შესარჩევ ჯგუფში დაკავებული ადგილით კმაყოფილი ვერავინ იქნება, თუმცა განსხვავება იმ მდგომარეობასთან, რომელშიც ნაკრები ქეცბაიას მწვრთნელობამდე იყო, ნამდვილად არის – ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი ციკლის დასრულებამდე სამი ტურით ადრეც გვქონდა. ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობა კმაყოფილია მწვრთნელის მუშაობით. ახლა უფრო ძლიერ ჯგუფში ვართ და ამ საქმესთან შეჭიდება ადვილი არ იქნება.

**- ნაკრებიდან თავისებური ფორმით წავიდა კახა კალაძე – როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?**


რევაზ არველაძე

- რა თქმა უნდა, კალაძის წასვლა ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია. ნაკრებში ჩატარებული მატჩებისთვის მას მადლობა უნდა ვუთხრათ.

**- ნაკრების კონტინგენტი, მისი შესაძლებლობები - როგორია თქვენი შეხედულება ამ მეტად აქტუალურ საკითხზე?**

- საკუთარი გემოვნება მაქვს და სათითაოდ რომ დავახასიათო ჩვენი ნაკრების ფეხბურთელები, ძალიან სუბიექტური ვიქნები. საერთო ჯამში, სუსტი კონტინგენტი ნამდვილად არ გვყავს, თუმცა სასურველია, რომ მეტი არჩევანი გვქონდეს.

**- ერთსაც გკითხავთ – რა ბიუჯეტი ექნება ფედერაციას 2012 წლისთვის?**

- ეს მალე დადგინდება, მანამდე კი ის შემიძლია გითხრათ, რომ ფედერაციას ვალები, ფაქტობრივად, აღარ აქვს.

**დავით თავართქილაძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ქართული ფეხბურთი



ბუბა ტყავაძე

# მეტალურგი რაოდენობასა და ხარისხს შორის

## კლუბმა არა მხოლოდ კარგი ფეხბურთელები, სოლიდური მენეჯერებიც უნდა შეარჩიოს

რუსთავის "მეტალურგმა" ეროვნული ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი მეოთხე ადგილით დაასრულა, თუმცა ჯერჯერობით მეორე ადგილზეა იმ ცხრილში, რომლითაც რვა საუკეთესო გუნდი გაზაფხულიდან ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაახლებს.

თუმცა, კლუბის მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე მოსამზადებელი და სატრანსფერო პერიოდის გეგმებზე საუბრისას ამბობს, რომ "მეტალურგს" გაძლიერება სჭირდება.

**- საშემოდგომო ეტაპი დასრულდა და, ბუნებრივია, "მეტალურგში" ცვლილებებს გეგმავთ. რაზე გაამახვილებთ ყურადღებას?**

- შეტევაში მეტ მრავალფეროვნებას ვისურვებდი, ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთი არსებობს მაყურებლისთვის, რომელსაც უფრო მიმზიდველი თამაში უნდა შევთავაზოთ. თუმცა, მიმაჩნია, რომ რამდენიმე შეხვედრაში მაყურებელს სანახაობრივი ფეხბურთი ვაჩვენეთ.

**- "მიხეილ მესხზე" თბილისის "დინამოსთან" შეხვედრას თუ გულისხმობთ, ეს მართლაც გამორჩეული მატჩი იყო და მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა, მაგრამ მას მერე გუნდი არასტაბილურად თამაშობს.**

- დიახ, ეს მატჩიც ვიგულისხმე, რადგან მაშინ დიდი მოტივაცია იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შუა სეზონში ვითამაშეთ და ფეხბურთელებიც ჯანმრთელად იყვნენ.

**- მერე გუნდი ასეთივე თავდაჯერებული აღარ იყო.**

- იმიტომ, რომ ტრავმირებულები მოგვიმრავლდნენ, რამაც ძალიან შეგვაბრკოლა. ბოლოს, ფაქტობრივად, ოთხ წამყვან მოთამაშეს ვერ ვიყენებდით. სწორედ ამ დროს გამოჩნდა გუნდის უპირველესი პრობლემა — არ გვყავდა ფეხბურთელების სასურველი რაოდენობა. გუნდის გასაძლიერებლად, კონკურენციისა და საჭირო დროს ტრავმირებულთა სრულფასოვნად შესაცვლელად კი რაოდენობა აუცილებელია.

**- ამასვე ამბობს მთავარი მწვრთნელი კობა ჟორჟიკაშვილი.**

- ამაზე მართლაც ერთი აზრისანი ვართ - გაძლიერება უეჭველად გვჭირდება. ჩვენ ეს შეგვიძლია და საამისოდ ფინანსურადაც მზად ვართ.

მოთამაშეების დამატება ჩვენი ეროვნული ჩემპიონატიდანაც გვსურს და უცხოელების ჩამოყვანაზეც ვფიქრობთ, ისინი კი კარგად უნდა შევამოწმოთ, რასაც შეკრებაზე ვაპირებთ.

მაგრამ არ გვინდა, მოთამაშეთა შემატება თვითმიზნური გამოგვივიდეს, მთავარი არაა მხოლოდ რაოდენობა — ისეთ ფეხბურთელები უნდა დავიმატოთ, რომლებიც "მეტალურგს" გააძლიერებენ. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ ვიმუშავებთ ნებისმიერ სოლიდურ მენეჯერთან, რომელიც არა მხოლოდ პირად, არამედ კლუბისა და ფეხბურთელის ინტერესებსაც ითვალისწინებს. ბევრია, ვინც ცდილობს, მოთამაშე შემოგაპაროს, ან სარფიანი ვარიანტი გამოუჩნდება და შუა სეზონში სურს ვინმეს წაყვანა. უარესებიც ხდება და ეს ყველამ იცის. ასეთ არასერიოზულ ხალხთან ურთიერთობას არ ვაპირებ.

**- შეკრებას სად გეგმავთ?**

- მზადებას რუსთავში დავიწყებთ, შემდეგ კი თურქეთში გავემგზავრებით. უმჯობესი იქნება, პოტენციური ახალწვეულები ძლიერ მეტოქეებთან გამოვცადოთ.

**- "ზესტაფონმა" რამდენიმე ფეხბურთელს უკვე გაუფორმა კონტრაქტი. თქვენ წინასწარ არავისთან შეთანხმებულხართ?**

- როგორც ვიცი, ეს ფეხბურთელები "ზესტაფონს" ადრევე ჰყავდა შეგულებული. ჩვენ კონტრაქტი ჯერ არავისთან გაგვიფორმებია, მაგრამ რამდენიმე ფეხბურთელთან მოლაპარაკება დაწყებულია.

**- მართალია, რომ ზაქარია ბეგლარიშვილის მიწვევას აპირებთ?**

- ჩვენ ყველა გვაინტერესებს, ვინც კარგი ფეხბურთელია და "მეტალურგში" თამაში სურს. ბეგლარიშვილიც ჩვენთვის ერთ-ერთი საინტერესო ფეხბურთელია.

**- ცვლილებები მხოლოდ დამატებას არ უნდა გულისხმობდეს.**

- ჩვენ ფეხბურთელებს თუ დავიმატებთ, თორემ გასაშვები არავინ გვყავს. სხვა საქმეა, ფეხბურთელს მართლაც საინტერესო წინადადებით თუ მიმართავენ.

**- ვიცით, რომ მოთხოვნაა ეროვნული ნაკრების კანდიდატ ირაკლი მაისურაძეზე. რამდენად რეალურია მისი უცხოეთში წასვლა?**

- მაისურაძეს "მეტალურგთან" კონტრაქტი აკავშირებს, ძალიან მომწონს მისი საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა, ვარჯიში იქნება ეს, თამაში თუ კლუბისადმი დამოკიდებულება. ირაკლი პატივს სცემს საერთო ინტერესს და თუ ვინმეს აქვს მისი ტრანსფერის გამოსყიდვის სურვილი, კლუბს უნდა დაელაპარაკოს. მაისურაძე ამ საქმეშიც პროფესიონალურად იქცევა და კლუბისგან მალულად მენეჯერებთან საქმეს არ იჭერს.

**- "მეტალურგს" პოტენციალი აქვს, მაგრამ არასტაბილურად თამაშობდა. ასეთ დროს მთავარი სამიზნე მწვრთნელი ხდება – თქვენ კობა ჟორჟიკაშვილს ენდობით?**

- მწვრთნელის ნდობა აუცილებელია, ჟორჟიკაშვილს ვენდობი და მგონია, რომ ერთად დიდხანს ვიმუშავებთ.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი | გამოტოვებული მატჩი

# აშკარა-დასაჯერებელი: დღეს ლიდერთა მატჩია!

მერანი–ზესტაფონი
bet365: 4.20 3.40 1.73
22.12.
მარტვილი
ცენტრალური
14:00

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 17 | 12 | 3 | 2 | 35 | 15 | 39 |
| 2 | ტორპედო | 18 | 12 | 2 | 4 | 26 | 13 | 38 |
| 3 | დინამო | 18 | 10 | 3 | 5 | 34 | 22 | 33 |
| 4 | მეტალურგი | 18 | 8 | 6 | 4 | 21 | 18 | 30 |
| 5 | მერანი | 17 | 9 | 2 | 6 | 22 | 19 | 29 |
| 6 | ბაია | 18 | 7 | 3 | 8 | 19 | 20 | 24 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 18 | 6 | 5 | 7 | 21 | 22 | 23 |
| 8 | გაგრა | 18 | 6 | 3 | 9 | 18 | 23 | 21 |
| 9 | სპარტაკი | 18 | 5 | 4 | 9 | 16 | 25 | 19 |
| 10 | დილა | 18 | 5 | 3 | 10 | 23 | 25 | 18 |
| 11 | კოლხეთი | 18 | 4 | 6 | 8 | 15 | 24 | 18 |
| 12 | სიონი | 18 | 1 | 4 | 13 | 11 | 35 | 7 |

### ვირტუალური მდგომარეობა 22 დეკემბრისთვის

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 10 | 7 | 2 | 1 | 22 | 8 | 23 |
| 2 | მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 14 | 12 | 21 |
| 3 | ტორპედო | 12 | 6 | 2 | 4 | 12 | 10 | 20 |
| 4 | მერანი | 11 | 5 | 1 | 5 | 12 | 13 | 16 |
| 5 | დინამო | 11 | 4 | 2 | 5 | 19 | 19 | 14 |
| 6 | ვიტ ჯორჯია | 12 | 3 | 3 | 6 | 8 | 13 | 12 |
| 7 | ბაია | 11 | 3 | 2 | 6 | 9 | 14 | 11 |
| 8 | გაგრა | 11 | 3 | 1 | 7 | 8 | 15 | 10 |

... ყველა კეთილ თუ „ბოროტ" ზღაპარს აქვს დასასრული და აი, დღევანდელი მატჩით („მერანი" — „ზესტაფონი") საფეხბურთო 2011 წელიწადი მთავრდება! სამწუხაროდ, იმას ვერავინ იტყვის, საფეხბურთო წარმატებების მხრივ განსაკუთრებული გვქონდაო; თანაც, ეს უფრო ნაკრებ(ებ)ის გამოსვლას ეხება, რამეთუ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, იმედგაცრუება ჭარბობდა სიხარულს. სამაგიეროდ, ხანგრძლივი პაუზის მერე პირველად მოხდა, როცა ევროტურნირებზე ქართული გუნდების ასპარეზობის გამო სირცხვილის გრძნობა აღარ გვქონია; აი, რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ამ მხრივ მართლაც „გამორჩეულ ფენომენთან" გვაქვს საქმე, — ყოველ შემთხვევაში, გათამაშება ისეთი „ორიგინალური" რეგლამენტით ტარდება, რომ ფეხბურთის გულშემატკივრების კი არა, კლუბების წარმომადგენლები დღესაც ბევრ რამეში ვერ გარკვეულან. ჰო, ისევ და ისევ, იმ „ნოვატორულ" იდეაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რასაც „ორცხრილიანობა" ჰქვია! აბა, სად გაგონილა, ჩემპიონატს ერთდროულად ორი ცხრილი ჰქონდეს — „ჩვეულებრივი" (გნებავთ, „ტრადიციული") და „ვირტუალური" (გნებავთ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი)?!. ეგ კი არა, სწორედ რომ ის „ვირტუალური" ცხრილია გადამწყვეტი მნიშვნელობის: ამ შემთხვევაში იმას ვგულისხმობთ, როცა ამა თუ იმ გუნდს კონკრეტული მატჩის წინ გარკვეული არჩევანის საშუალებაც ეძლევა; ანუ, წყვილის უპირობო ფავორიტმა თავისზე ბევრად სუსტ მეტოქესთან ასტრონომიული ანგარიშით რომც წააგოს, იმ „ვირტუალური" ცხრილის სატურნირო მდგომარეობაზე ეს მარცხი არაფრით აისახება. სამაგიეროდ, თუ კარგად განჭვრეტ და „გამოთვლი" საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრის პოტენციურ კანდიდატებს, აი, იმათთან პაექრობაში უკვე მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქრო და ასე შემდეგ.

როდემდე გაგრძელდება მსგავსი „სტრატეგიული გათვლები"? როდემდე და, ვიდრე პირველი ეტაპი არ მორჩება, — ანუ, მომავალი წლის დასაწყისში ოთხი ჩასატარებელი ტური ხომ გვაქვს, არანაკლებ „უცნაურობასა" თუ კურიოზებს აი, მაშინ უნდა ველოდოთ. თუმცა, მანამდე ხომ 2011 წლის ბოლო საფეხბურთო მატჩია და აქვე, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ სეზონის დაწყებამდე მართლაც ვერაფრით წარმოვიდგენდით მოვლენების ისეთ განვითარებას, რის მიხედვითაც „მერანი" - „ზესტაფონის" დაპირისპირებას... ლიდერთა პაექრობას დავარქმევდით! ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, იმ სასიამოვნო მოულოდნელობას ვგულისხმობთ, მარტვილელთა გუნდის წარმატებული ასპარეზობის შეფასებისას ხშირად რომ ვახსენებთ ხოლმე; თუმცა, მოულოდნელობა (გნებავთ, სიურპრიზი თუ სენსაცია), შეიძლება ერთხელ ან ორჯერ შემოგვთავაზოს გუნდმა, მაგრამ როცა 17 ტურის განმავლობაში სტაბილურად და წარმატებით ასპარეზობს, ესე იგი, კანონზომიერებასთან გვქონია საქმე. აი, ისეთივე კანონზომიერებასთან, „ზესტაფონის" ამბიცია-მიზნებთან რომ „პირდაპირ კავშირშია": ორივე ცხრილში მეწინავეობას სწორედ ეს გუნდი ინარჩუნებს; თანაც, დამსახურებულადაც და ისეთი თამაშითაც, ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს რომ „ეკადრება"...

## მასპინძელი თუ სტუმარი?

დეკემბერში ყველაზე გადატვირთული კალენდარი „ზესტაფონს" ჰქონდა: **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდს, ფაქტობრივად, ყოველ მესამე დღეს უწევდა თამაში. ამის მიუხედავად, კლუბმა ოქტომბრის ბოლოს დაწყებული წაუგებელი სერია გააგრძელა და ყოველივე ეს ცხრილ(ებ)შიც აისახა: ორივე ვერსიით („ჩვეულებრივითაც" და „ვირტუალურითაც") საქართველოს ჩემპიონატს დამსახურებული ლიდერი ჰყავს! ამასთან, ამ ლიდერობას მომავალი წლის თებერვლამდე საფრთხე არ ემუქრება - დღევანდელი მატჩი როგორი შედეგითაც უნდა დასრულდეს, ორივე ცხრილში „ზესტაფონს" ვერც ერთი გუნდი ვერ დაეწევა. ეგ კი არა, საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის, უდავოდ, საუკეთესო გუნდს იმის მშვენიერი შანსიც ეძლევა, ბევრად უფრო მნიშვნელოვან (ანუ, ვირტუალურ) ცხრილში უშუალო კონკურენტებთან სხვაობაც გაზარდოს. თავად განსაჯეთ: „ზესტაფონის" გამარჯვების შემთხვევაში მოქმედ ჩემპიონსა და თბილისის „დინამოს" შორის სხვაობა 12 ქულა იქნება! თუმცა, იმის თქმა, რომ დღევანდელ მატჩში სტუმრებს უპირობო ფავორიტის სტატუსი უნდა მივანიჭოთო, ცოტა არ იყოს, ძნელი იქნება; ამის უმთავრესი მიზეზი კი, რაღა თქმა უნდა, მეტოქის ფაქტორია: საშინაო მატჩებში პროცენტულად საუკეთესო მაჩვენებელი ხომ „მერანს" აქვს! ჰო, ამას კი ბევრი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ რვა ჩატარებულ საშინაო შეხვედრაში მარტვილელები შვიდს მოიგებდნენ და ერთს ფრედ დაამთავრებდნენ; თუმცა, „მერანის" ქომაგები, ალბათ, არც მორიგ ზეიმზე იტყოდნენ უარს: სულ ახლახან მარტვილელებმა ხომ თბილისის „დინამო" დაამარცხეს! სხვათა შორის, ამ გამარჯვებას „ისტორიული მნიშვნელობის" გარდა სხვა დატვირთვაც ჰქონდა: „ვირტუალურ" ცხრილში „მერანმა" თბილისის „დინამოს" 2 ქულით გაუსწროაბა, ამაზე მეტი სენსაცია რაღა უნდა მომხდარიყო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე?!. მაგრამ, ზემოთაც ხომ „შევთანხმდით", რომ **მალხაზ ჟვანიას** გუნდის საამსეზონო ასპარეზობას მოულოდნელ-სენსაციური აღარ უნდა ვუწოდოთ და, საერთოდაც, „მერანის" ესა თუ ის წარმატებაც, ალბათ, კანონზომიერ მოვლენად უნდა შეფასდეს.

... დღევანდელ მატჩში მასპინძლებს საკადრო პრობლემები არ აწუხებთ, მაშინ როცა „ზესტაფონს" ტრავმირებულთა გარდა, დისკვალიფიცირებული ფეხბურთელებიც (**თორნიკე გორგიაშვილი, ნიკოლოზ გელაშვილი**) დააკლდებიან. თუმცა, „ზამთრის ჩემპიონი" გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა ამ სეზონში ხომ არაერთხელ დაამტკიცა, რომ ძირითად შემადგენლობაში როტაციას გონივრულად და „უმტკივნეულოდ" აკეთებს.

დაბოლოს, დღევანდელი მატჩის კიდევ ერთ ინტრიგაზეც, რასაც... ძმების დაპირისპირება უნდა ვუწოდოთ: „მერანის" წარმატებული თამაშის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გუნდის 21 წლის ნახევარმცველი **ელგუჯა გრიგალაშვილია**, ხოლო „ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების 25 წლის ნახევარმცველი **შოთა გრიგალაშვილი** კარიერაში ერთ-ერთ გამორჩეულ სეზონს ატარებს...

**გია ტუხაშვილი**

**P.S.** *„მერანს" საკუთარ მოედანზე პროცენტულად საუკეთესო მაჩვენებელი აქვს, „ზესტაფონს" კი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის საუკეთესო შედეგი სტუმრად ჩატარებულ მატჩებში; „მერანი" შინ არ დამარცხებულა, „ზესტაფონი" - სტუმრად...*



ელგუჯა გრიგალაშვილი



შოთა გრიგალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

# ჯაბა კანკავა
# კახა კალაძეს ყველასგან მეტი დაფასება ეკუთვნის

## ევროპა უკეთესია, მაგრამ რეალური მხოლოდ კრივბასია

**მიმდინარე წელი ჯაბა კანკავას კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მძიმე ტრავმების შემდეგ, რამაც საერთო ჯამში ორი წელიწადი დააკარგვინა, სტაბილურად სწორედ წლეულს ათამაშდა და ეროვნულ ნაკრებშიც დაიბრუნა ადგილი.**

**უკრაინული "კრივბასის" 25 წლის ნახევარმცველი "ლელოს" რესპონდენტია. ჩვენთან ინტერვიუში მან საკლუბო და სანაკრებო თემებზე ისაუბრა, თან კახა კალაძის გადაწყვეტილებასა და მას შემდეგ მომხდარ ამბებზეც გააკეთა კომენტარი.**



ბურთით ჯაბა კანკავა

**- "კრივბასი" ზამთრის პაუზას მეხუთე ადგილზე ხვდება, რაც ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.**

- ჩვენი მიზანი ევროთასებზე გასვლაა და თუ ასე გავაგრძელეთ, მიზანსაც მივაღწევთ. თუმცა ჩემპიონატის დასრულებამდე ათი ტური დარჩა და მოდუნების უფლება არ გვაქვს, სტაბილურად თამაში უნდა განვაგრძოთ.

**- უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატში 13 მატჩი ჩაატარე. ეს შენთვის დამაკმაყოფილებელი შედეგია?**

- მინდა, ყველა შეხვედრა შეუცვლელად ჩავატარო, მაგრამ გუნდში დიდი კონკურენციაა. მთავარი ის არის, რომ მწვრთნელის ნდობას ვგრძნობ და ძირითად შემადგენლობაშიც ხშირად ვხვდები.

**- საკუთარ ფორმას როგორ შეაფასებ?**

- იმის კვალობაზე, რა უსიამოვნებებიც გადავიტანე, ვიტყოდი, რომ ნორმალურ ფორმაში ვარ, მაგრამ ისევე, როგორც ფეხბურთელების უმრავლესობა, მეც მაქსიმალისტი ვარ და საკუთარ თავს ყოველთვის მეტს ვთხოვ. მძიმე ტრავმის შემდეგ ფორმის აღდგენა ყოველთვის ძნელია, მაგრამ, თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, ყველაფერი კარგად იქნება.

**- კლუბის შეცვლაზე ხომ არ ფიქრობ?**

- ცოტა ხნის წინ "დნიპროსთან" ახალი სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და "კრივბასში" განათხოვრებით თამაშს განვაგრძობ.

**- "დნიპროში" დაბრუნების შანსი ან სურვილი თუ გაქვს?**

- ფაქტია, რომ ამ კლუბს დღეს არ ვჭირდები და მეც იქ მირჩევნია ყოფნა, სადაც ჩემი სჯერათ და მენდობიან.

**- ქვეყნის შეცვლაზე არ გიფიქრია?**

- დასავლეთ ევროპაში თამაშის უდიდესი სურვილი კი მაქვს, მაგრამ იქიდან რეალური წინადადება არ მიმიღია და გაურკვევლობაში წასვლას სტაბილურ ვითარებაში ყოფნა მირჩევნია.

**- უჩა ლობჟანიძე როგორ ფორმაშია?**

- ბოლო დროს აშკარად მოუმატა და აქებენ კიდეც. დაცვაში საიმედოდ თამაშის გარდა, შეტევებშიც კარგად ერთვება და რამდენიმე საგოლე პასიც მიითვალა. უჩა "კრივბასის" ერთ-ერთი საუკეთესო და საიმედო ფეხბურთელია.

**- საქართველოს ნაკრებმა კარგად დაწყებული წელიწადი ცუდად დაასრულა.**

- ნაკრებზე გაორებული შთაბეჭდილება მაქვს. ერთი მხრივ, ბედნიერი ვარ, რომ დიდი იძულებითი პაუზის შემდეგ ეროვნულ გუნდს დავუბრუნდი და თემურ ქეცბაიამ ძირითად შემადგენლობაში მანდო ადგილი, მაგრამ, მეორე მხრივ, ბოლოდროინდელი წარუმატებლობებით ძალიან გულნატკენი ვარ.

**- გულახდილად რომ თქვა, აქვს ჩვენს დღევანდელ ნაკრებს ჩვენი სურვილების შესაფერისი პოტენციალი?**

- მგონია, რომ აქვს, რაც მალე შედეგებზეც უნდა აისახოს. ყოველთვის მქონდა იმის შეგრძნება, რომ საქართველოს ნაკრებს მეტის მიღწევა შეეძლო და დიდი ვიმედოვნებ ნავსი 2012 წელს გატყდება.

**- კახა კალაძის თემას გვერდს ვერ ავუვლით. რას იტყვი მის ნაბიჯსა და ამის შემდგომ მომხდარ ამბებზე?**

- კახა კალაძე საქართველოს ბოლო წლების და, შესაძლოა, ყველა დროის ყველაზე წარმატებული ფეხბურთელია. ჩემთვის იგი კაპიტნობის, ფეხბურთელობისა და ადამიანობის მაგალითია. სანყენია, რომ ნაკრებიდან ასე უბრალოდ წავიდა. კალაძეს ყველასგან მეტი დაფასება ეკუთვნის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ



# ხათუნა ჟორდანია
# მერაბი სხვა ტურნირებსაც გეგმავს

**ახლახან სტადიონ „ბენდელაზე" გაიმართა საერთაშორისო ახალგაზრდული ტურნირი „ფოლკსვაგენის თასზე", რომლის ერთ-ერთი ინიციატორიც საფეხბურთო სკოლა „საბურთალოსთან" და „სახალისო ფეხბურთის" ქართულ ფილიალთან ერთად იყო არნემის "ვიტესის" მეპატრონე მერაბ ჟორდანია და მისი მხარდაჭერით შექმნილი „ლევან ჟორდანიას საქველმოქმედო ფონდი".**

**თუმცა ტურნირმა ისე ჩაიარა, ჟორდანია თბილისში არ ჩამოსულა. არადა, მასთან ბევრ საინტერესო თემაზე გვსურდა საუბარი. სამაგიეროდ, გავესაუბრეთ მის დას, ხათუნა ჟორდანიას, რომელიც არნემის "ვიტესში" მერაბის ასისტენტია.**

**- ბავშვთა საერთაშორისო ტურნირებით განებივრებულები არ ვართ. სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

- ტურნირები აუცილებლად გაიმართება. ვალერი ჩოლარიას თაოსნობით შექმნილი „ლევან ჟორდანიას ფონდის" მიზანი ქართული ფეხბურთის ხელშეწყობაა და, ცხადია, ფონდს მერაბი მხარში უდგას. მე, როგორც ლევან ჟორდანიას ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ბედნიერი ვიქნები, მამაჩემის სახელით ქართულ ფეხბურთს ასეთი სასარგებლო ტურნირებით თუ დავეხმარებით. მერაბს სურს, რომ მსგავს აქციებს სისტემატური ხასიათი ჰქონდეს და არა მხოლოდ ბავშვთა, არამედ ბევრ სხვა შეჯიბრებასაც გეგმავს.

**- კონკრეტულად?**

- ლაპარაკია საერთაშორისო ტურნირის გამართვაზე, რომელშიც ქართული კლუბებიც მიიღებენ მონაწილეობას.

**- რომელი ქართული კლუბის მიწვევას აპირებს?**

- ეს ჯერ არ დაკონკრეტებულა. ფაქტია, რომ ჩვენს კლუბებს არ აქვთ მათთვის ასე საჭირო ხშირი კონტაქტი ევროპელებთან, უამისოდ კი ქართული ფეხბურთი ვერ განვითარდება. ამიტომაცაა, რომ მერაბს რაც შეიძლება მეტი შეჯიბრების მოწყობა და უცხოური გუნდების საქართველოში ჩამოყვანა სურს.

**- ესე იგი, ტურნირს საქართველოში გეგმავს...**

- არც ეს არის გამორიცხული, მაგრამ არც გადაწყვეტილია. თუნდაც საკონტროლო მატჩი იყოს, მიმაჩნია, რომ ჩვენს ფეხბურთს ესეც წაადგება. სამწუხაროდ, ბევრი ვერ ხვდება, რომ მერაბი ჰოლანდიაშიც ქართული ფეხბურთის სატკივრით ცხოვრობს. ეს იყო მისი საფიქრალი იმ დროიდან მოყოლებული, რაც ფეხბურთელის კარიერა დაასრულა და თბილისის "დინამო" ჩაიბარა. მახსოვს, რამდენი ღამე გაუთენებია ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრში, როდესაც შუქი, გაზი, წყალი, სხვა ელემენტარული პირობები არ იყო და იმ გაჭირვებულ დროში ასე შეინარჩუნა საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი, არადა, სავსებით შესაძლებელი იყო, „დინამო" რიგით კლუბად გადაქცეულიყო.

**- მერაბმა ადრე თქვა, რომ მიშელ პლატინიმ უეფას აღმასკომში არჩევა შესთავაზა, მაგრამ ეს შანსი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წაართვა. უეფას პრეზიდენტი ახლაც სთავაზობს თანამშრომლობას?**

- მე არ ვიცი, ახლაც არის თუ არა ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ მერაბი ის ერთადერთი კანდიდატია საქართველოდან, რომელსაც უეფაში მნიშვნელოვანი თანამდებობის დაკავება შეეძლო, მაგრამ რატომღაც ეს შანსი ჩვენთან დაიბლოკა. არაფერია, მერაბი თავის გზას ყოველთვის იპოვის და ქართულ ფეხბურთს ყოველთვის დაეხმარება, როცა ამის შესაძლებლობა ექნება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# ქართველთა განსხვავებული მიზნები

"ლელოს" გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ ბაქოს "ინტერმა" ზაქათალის "სიმურგს" 2:0 სძლია, რაშიც გოლით წვლილი **ბაჩანა ცხადაძემ** შეიტანა. შეგახსენებთ, "ინტერის" მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** დისკვალიფიცირებული იყო და მის ნაცვლად გუნდს **გიორგი ჩიხრაძემ** უხელმძღვანელა.

რაც შეეხება აზერბაიჯანული პრემიერლიგის გასული ტურის სხვა მატჩებს, იქ ჩვენთვის ყურადსაღები ბევრი არაფერი მომხდარა. **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** და **ზურაბ ძამსაშვილმა** შეუცვლელად ითამაშეს "თურანის" შემადგენლობაში, რომელიც სტუმრად "სუმგაითთან" 0:1 დამარცხდა. "თურანის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა **გიორგი ბერიაშვილი.**

ბაქოს აზალ-მა გასვლაზე 1:3 დათმო "რავანთან". აზალ-ის შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა **ნუგზარ კვირტიამ**, მაგრამ მხოლოდ გაფრთხილებას გამორჩა.

შეგახსენებთ, "ინტერი" ლიდერ ბაქოს "ნეფთჩის" მხოლოდ ქულით ჩამორჩება. რამდენიმე დღის წინ ამ ორ გუნდს შორის სხვაობა 4 ქულას შეადგენდა, მაგრამ დედაქალაქურ დერბიში გამარჯვებამ (რასაც კახა ცხადაძის დასჯა მოჰყვა) "ინტერს" დიდი საქმე გაუკეთა.

საფრანგეთის რანგით მეორე ლიგაში "ბასტიამ" შინ "ტური" 4:1 გაანადგურა, რაშიც საკუთარი წვლილი **ამირან სანაიამაც** შეიტანა. ახალგაზრდა ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა.

**გიორგი მაკარიძის** "ლე მანმა" კი მორიგი შეხვედრა წააგო – 1:2 "ლავალთან" სტუმრად. ქართველმა მეკარემ მოედანზე 90 წუთი დაყო.

"ბასტია" მესამე ადგილზეა და ლიგა 1-ში აღზევების რეალური შანსი აქვს, „ლე მანი" კი 20-გუნდიან ლიგა 2-ში მე-16-ა და მაკარიძე და მისი თანაგუნდელები იმის იმედად თუ იქნებიან, რომ დაბალ დივიზიონში არ გავარდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი მაკარიძე

მზადება სამზადისისთვის

# გაგრამ სამი მეტოქე იცის

უკვე გაუწყეთ, რომ "გაგრა" ზამთრის მოსამზადებელი ეტაპის გავლას თურქეთში აპირებს, გუშინ კი გაირკვა, რომ კლუბი 24 იანვარს ანთალიის მახლობელ ქალაქ სიდეში გაემგზავრება. მანამდე კი "გაგრა" 8 იანვარს შეიკრიბება და სამ დღეს სამედიცინო შემოწმებას დაუთმობს.

*გადაწყვეტილია, რომ გუნდი ოთხ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. 27 იანვარს რუსულ კლუბ „სიბირს" ეთამაშება, 30 იანვარს - პავლოდარის „ირტიშს", 3 თებერვალს კი - ყარაგანდის „შახტიორს". მეოთხე მეტოქე რამდენიმე დღეში გაირკვევა. მალე დაზუსტდება იმ 24 ფეხბურთელის ვინაობაც, რომლებიც ანთალიაში გაემგზავრებიან – იუწყება კლუბის პრესსამსახური.*

**მერაბ მამულაშვი**

● ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტურის წინ

# ბრძოლა საჩემპიონო ამბიციისთვის

**დღეს**

**ტოტენჰემი-ჩელსი 00:00**

„ტოტენჰემ ჰოთსპური“ „უაით ჰარტ ლეინზე“ „ჩელსის“ მასპინძლობს. ეს, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობის მატჩია, რადგან ერთმანეთს ლიდერთა ჯგუფის ორი წარმომადგენელი ხვდება. „დეზების“ თავკაცი, **ჰარი რედნაპი** ამ სეზონში ყოველ ღონეს იხმარს, რათა გუნდი ოთხეულში გაიყვანოს და მეტიც, თუ საშუალება მიეცემა, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დაიკავოს.

გეხსომებათ, ცოტა ხნის წინ „სფურზი“ ზედიზედ 11 შეხვედრაში გახლდათ დაუმარცხებელი, მაგრამ, შემდეგ „სტოკ სიტისთან“ 2:1 წააგო და ეს რიხიანი სვლა შეუწყდა. რედნაპის საბედნიეროდ, ერთმა წაფორხილებამ ბიჭებს ნირი არ წაუხდინა და ბოლო შეხვედრაში კვლავ გაიმარჯვეს. ამჯერად, მივიწყებული რუსის, **რომან პავლიუჩენკოს** გოლით „ტოტენჰემმა“ „სანდერლენდს“ აჯობა და მესამე ადგილზე დამკვიდრდა. ასე რომ, დღეს, ერთმანეთს, სწორედ მესამე და მეოთხე პოზიციებზე მყოფი გუნდები ხვდებიან.

თუმცა, მოდი ცხრილს უფრო დაკვირვებით ჩავხედოთ. როგორც ხედავთ, „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ „ჩელსისთან“ შედარებით ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული და თანაც, თანაქალაქელ მეტოქეს ორი ქულით აღემატება. შესაბამისად, გამარჯვება რედნაპის ბიჭებს უფრო მანჩესტერულ გრანდებთან დააახლოებს, ვიდრე ლიდერთა მეორე ეშელონის წარმომადგენლებთან.

„სანდერლენდთან“ შეხვედრაში „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ არ ჰყავდა, **გარეთ ბეილი** და **ჯერმაინ დეფო**. პირველმა ვარჯიშზე კოჭი ამოიბრუნა, მეორემ კი ევროლიგაში თამაშის დროს ორთავა კუნთი დაიზიანა. არ არის გამორიცხული, ამ ფეხბურთელებმა ვერც „ჩელსისთან“ ითამაშონ. დაშავდა გარემარბი **აარონ ლენონიც**, რომელსაც „სანდერლენდთან“ შეხვედრაში ორთავა კუნთი დაუშავდა და რამდენიმე ტურს გამოტოვებს. შესაბამისად, ფლანგებიდან შეტევას რედნაპი კვლავ განაპირა მცველებს, **ბენუა სუ-ეკოტოსა** და **კაილი უოქერს** ანდობს. ნახევარდაცვის ცენტრში მათ **ლუკა მოდრიჩი** შეკრავს.

22 წლის ბრაზილიელი **სანდრო**, რომელმაც ბეილისა და დეფოს არყოფნაში, „ტოტენჰემის“ შემადგენლობაში, მიმდინარე სეზონში მხოლოდ და მხოლოდ მესამე მატჩი ჩაატარა, „ჩელსისთან“ შეხვედრის წინ იმედითაა ანთებული:

*„დღეს გამარჯვება საჩემპიონო ამბიციასა და რწმენას გაგვიჩენს. დანარჩენი უკვე ჩვენზე იქნება დამოკიდებული“.*

„ჩელსიმ“ კი ბოლო ტურში რიხიანი სვლა შეწყვიტა — მანამდე ზედიზედ სამი თამაში ჰქონდა მოგებული, თუმცა, „უიგანთან“ მეკარე **პეტრ ჩეხის** შეცდომის გამო ფრეს დასჯერდა.

*„რიხიანი სვლის აღსადგენად „ტოტენჰემთან“ მოგება გვჭირდება. ეს იდეალური იქნება“* — თქვა დამნაშავე ჩეხმა.

● ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

**ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი 2:3**

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სიმპსონი, პერჩი, კოლოჩინი, სანტონი (46. რ. ტეილორი) – ობერტანი (72. შ. ამეობი), ტიოტე, ვიცკიჩი, ხონასი – ბესტი (61. ბენ არფა), ბა

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – რიდი (7. ბ. ჯონსი), მაკოლი, ოლსონი, შორი – ბრანტი, მულუმბუ (76. ტორნი), შარნერი, ტომასი (68. დორანსი) – ოდემვინგე, ლონგი

**გოლები:** 0:1 ოდემვინგე (20), 1:1 ბა (34), 1:2 მაკოლი (44), 2:2 ბა (81), 2:3 შარნერი (85)

**გაფრთხილება:** კოლოჩინი (ნიუკასლი)

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 15-13; **კარში დარტყმა:** 15-12 (6-7); **თამაშგარე:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 51 060

**მანჩესტერ სიტი-სტოკი 3:0**

**მანჩესტერ სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – რიჩარდსი (59. სავიჩი), კომპანი, ლესკოტი, კლიში – ი. ტურე, ბერი (82. მილნერი) – სილვა (68. ბალოტელი), ნასრი, ა. ჯონსონი - აგუერო

**სტოკი** (4-4-2): სიორენსენი – ვუდგეიტი (80. დიაო), ჰუთი, აპსონი, უილსონი – შოტონი, უიტჰედი, პალასიოსი, ჯერომი (69. ფულერი) – უოლტერსი, კ. ჯონსი (74. პენანტი)

**გოლები:** 1:0 აგუერო (29), 2:0 ა. ჯონსონი (36), 3:0 აგუერო (54)

**გაფრთხილება:** რიჩარდსი, ა. ჯონსონი - ფულერი

**კუთხური:** 45-2; **ჯარიმა:** 8-8; **კარში დარტყმა:** 15-2 (12-1); **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 66%-34%

**მაყურებელი:** 46 321

**ასტონ ვილა-არსენალი 1:2**

**ასტონ ვილა** (4-5-1): გუზანი – ჰატონი, რ. დანი, კუელიარი, უორნოკი – ოლბრაიტონი (88. დელფუნესო), აირლენდი (45. ბენანი), კლარკი, ს. პეტროვი, ნ'ზოგბია - აგბონლაჰორი

**არსენალი** (4-5-1): შჩესნი – კოკუელინი, მერტეზაკერი, კოშელნი, ვერმაელენი – უოლკოტი, რემსი (81. ბენაიუნი), ფრიმპონგი (68. როსიცკი), არტეტა, ჟერვინიო (80. არშავინი) – ვან პერსი

**გოლები:** 0:1 ვან პერსი (17-პენ), 1:1 ოლბრაიტონი (54), 1:2 ბენაიუნი (87)

**გაფრთხილება:** კლარკი, ჰატონი – კოკუელინი, მერტეზაკერი, ვან პერსი

**გაძევება:** ჰატონი (90)

**კუთხური:** 7-15; **ჯარიმა:** 9-14; **კარში დარტყმა:** 9-7 (3-5); **თამაშგარე:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 35 818

**უიგანი-ლივერპული 0:0**

**უიგანი** (3-4-3): აბდულა – ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა – სტამი, მაკარტი, დიამე, დ. ჯონსი (73. უოტსონი) – მოზესი, სემონი (61. დი სანტო), გომესი (73. როდალეგა)

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – გ. ჯონსონი, შკრტელი, აგერი, ენრიკე – დაუნინგი, ჰენდერსონი, ადამი, მაქსი როდრიგესი (72. ბელამი) – კუიტი (72. შილვი), სუარესი (87. ქეროლი)

**გაფრთხილება:** კოლდუელი – გ. ჯონსონი, ბელამი

**კუთხური:** 7-14; **ჯარიმა:** 13-6; **კარში დარტყმა:** 11-16 (6-9); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 19 230

**ქუინზ პარკი-სანდერლენდი 2:3**

**ქუინზ პარკი** (4-4-1-1): კენი – ლ.იანგი, გებიდონი, კონოლი (90. ბოთროიდი), ტრაორე (80. ჰალი) – ბარტონი, ფაურლინი, დერი, რაიტ-ფილიპსი (46. ტაარაბტი) – მეკი - ჰელგიუსონი

**სანდერლენდი** (4-4-1-1): ვესტვუდი – ო'ში, ბრემბლი, ბრაუნი, ბერდსლი – ლარსონი (75. გარდნერი), კეტერმოლი, ვუგანი (71. კოლბეკი), რიჩარდსონი – სესენიონი - ბენდტნერი

**გოლები:** 0:1 ბენდტნერი (19), 0:2 სესენიონი (59), 1:2 ჰელგიუსონი (63), 2:2 მეკი (67), 2:3 ბრაუნი (89)

**გაფრთხილება:** ლ. იანგი, ფაურლინი – სესენიონი, კეტერმოლი

**კუთხური:** 8-11; **ჯარიმა:** 15-11; **კარში დარტყმა:** 9-11 (5-8); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 16 167

**ფულჰემი-მანჩესტერ იუნ. 0:5**

**ფულჰემი** (4-2-3-1): სტოკდეილი – ბეირდი (83. კელი), სენდეროსი, ჰანგელანდი, რიისე – ეტუჰუ, მერფი – რუის გონსალესი, დემბელე, დემპსი (85. ზამორა) – ა. ჯონსონი

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): ლინდეგაარდი – სმოლინგი, ფ. ჯონსი (20. ე. იანგი, 59. პარკი), ევანსი, ევრა – ვალენსია, ქერიკი, გიგზი, ნანი – რუნი, უელბეკი (76. ბერბატოვი)

**გოლები:** 0:1 უელბეკი (5), 0:2 ნანი (28), 0:3 გიგზი (43), 0:4 რუნი (88), 0:5 ბერბატოვი (90)

**გაფრთხილება:** ბეირდი (ფულჰემი)

**კუთხური:** 3-10; **ჯარიმა:** 10-7; **კარში დარტყმა:** 10-12 (5-10); **თამაშგარე:** 0-2; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 25 700

**ევერტონი-სუონსი 1:0**

**ევერტონი** (4-2-3-1): ჰოვარდი – ჰიბერტი, ჰეიტინგა, ჯეგიელკა, ბეინესი – ფ. ნევილი, ფელაინი – კოულმენი (31. გუეიე), ოსმანი, დრენტე (80. ტ. კეჰილი) – საა (75. სტრაკუალურსი)

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი – ა. რიჩარდსი, კოლკერი, უილიამსი, ნ. ტეილორი (45. რანგელი) – გოვერი (46. ოგუსტიენი), ბრიტონი (74. ლიტა) – რუტლიჯი, ალენი, სინკლერი - გრემი

**გოლები:** 1:0 ოსმანი (60)

**გაფრთხილება:** გუეიე - უილიამსი, რუტლიჯი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 15-11; **კარში დარტყმა:** 13-1 (5-1); **თამაშგარე:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 32 004

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 17 | 14 | 2 | 1 | 53-15 | 44 |
| 2. იუნაიტედი | 17 | 13 | 3 | 1 | 42-14 | 42 |
| 3. ტოტენჰემი | 15 | 11 | 1 | 3 | 31-18 | 34 |
| 4. ჩელსი | 16 | 10 | 2 | 4 | 34-19 | 32 |
| 5. არსენალი | 17 | 10 | 2 | 5 | 33-25 | 32 |
| 6. ლივერპული | 17 | 8 | 6 | 3 | 20-13 | 30 |
| 7. ნიუკასლი | 17 | 7 | 6 | 4 | 23-22 | 27 |
| 8. სტოკი | 17 | 7 | 3 | 7 | 18-28 | 24 |
| 9. ნორვიჩი | 17 | 5 | 6 | 6 | 27-31 | 21 |
| 10. ვესტ ბრომვიჩი | 17 | 6 | 3 | 8 | 19-26 | 21 |
| 11. ევერტონი | 16 | 6 | 2 | 8 | 17-19 | 20 |
| 12. ასტონ ვილა | 17 | 4 | 7 | 6 | 19-23 | 19 |
| 13. ფულჰემი | 17 | 4 | 6 | 7 | 18-23 | 18 |
| 14. სუონსი | 17 | 4 | 6 | 7 | 16-21 | 18 |
| 15. სანდერლენდი | 17 | 4 | 5 | 8 | 21-21 | 17 |
| 16. ქუინზ პარკი | 17 | 4 | 4 | 9 | 17-31 | 16 |
| 17. ვულვზი | 17 | 4 | 3 | 10 | 19-32 | 15 |
| 18. უიგანი | 17 | 3 | 5 | 9 | 15-30 | 14 |
| 19. ბოლტონი | 17 | 4 | 0 | 13 | 22-39 | 12 |
| 20. ბლექბერნი | 17 | 2 | 4 | 11 | 24-38 | 10 |

ბომბარდირები: 16 — ვან პერსი (არსენალი); 13 - აგუერო (სიტი), ბა (ნიუკასლი), რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 10 - ჯეკო (სიტი), იაკუბუ (ბლექბერნი); 8 — ბალოტელი (სიტი), ადებაიორი (ტოტენჰემი), სტარიჯი (ჩელსი); 7 - ჰოლტი (ნორვიჩი), ჰელგიუსონი (ქუინზ პარკი), ლემპარდი (ჩელსი), კლასნიჩი (ბოლტონი); 6 - დეფო (ტოტენჰემი), ფლეტჩერი (ვულვერჰემპტონი), ერნანდესი (იუნაიტედი), ვან დერ ვაარტი (ტოტენჰემი).

● გამოხმაურება




# ქვემოდან დანახული პრემიერლიგა

„ბოლტონთან“ 2:1 დამარცხებამ „ბლექბერნი“ პრემიერლიგის ცხრილის ფსკერს დაახეთქა, მაგრამ გუნდის მწვრთნელი **სტივ კინი** მაინც ასე ამბობს: *„ახლა თანამდებობიდან რომ მომხსნან, ძალიან გამიკვირდება“.*

აღსანიშნავია, რომ „ბოლტონმა“ რივერსაიდელებს მათსავე მოედანზე, „ივუდ პარკზე“ აჯობა. ამასთან, „თეთრები“ სულაც არ იყვნენ ცხრილის ზედა ნახევრიდან. მე-17 ტურის შეხვედრამდე სწორედ ისინი იყვნენ ბოლოზე, ასე რომ, სამშაბათს ამ ორმა გუნდმა ადგილები გაცვალა.

ხსენებულ „ივუდ პარკზე“ გულშემატკივართა ერთი ჯგუფი, რომელთა შორისაც ხუთასამდე ადამიანი გამოირჩეოდა, კინის გაგდებას ითხოვდა. ისინი მთელი მატჩის განმავლობაში ახლანდელი მწვრთნელის საწინააღმდეგო მოწოდებებს იძახდნენ, ადრინდელი თავკაცის, უელსელი **მარკ ჰიუზის** დაბრუნებას ითხოვდნენ და პლაკატებიც ჰქონდათ გაშლილი.

პროტესტის მიუხედავად, კინმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე თქვა:

*„სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ „ბოქსინგ დღეს“ კვლავ „ბლექბერნის“ მწვრთნელი ვიქნები. იმედი მაქვს, ფანების კეთილგანწყობას დავიბრუნებ. ეს რასაკვირველია, ერთადერთ შემთხვევაში მოხდება, თუ თამაშებს მოვიგებთ, მაგრამ რას ვიზამ. ასეთია ჩვენი პროფესია. როდესაც იგებ, ხალხს მეცხრე ცაზე აჰყავხარ, ხოლო, როდესაც მარცხდები, მიწასთან გასწორებენ. ახლა ჩვენ ვალდებული ვართ არნახული ბრძოლით დავიმკვიდროთ ადგილი პრემიერლიგაში. საბედნიეროდ, დაცვა სრული შემადგენლობით მიბრუნდება. ეს იმას ნიშნავს, რომ გოლებს აღარ გავუშვებთ, გატანა კი ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია.*

*თავს კი არ ვიმართლებ, ფაქტს ვამბობ: ჩვენ ცუდად იმიტომ ვთამაშობდით, რომ მცველები დაგვიშავდა. „ბლექბერნის“ მრავლისმნახველმა ფიზიოთერაპევტმა ორი ისეთი ტრავმა აღმოაჩინა, რომლის მსგავსი 30-წლიან პრაქტიკაში ნანახიც არ ჰქონდა“.*

„ბოლტონელების“, **მარკ დევისისა** და **ნაიჯელ რიო-კოკერის** მიერ პირველ ტაიმში გატანილმა ორმა გოლმა, „ბლექბერნი“ იმთავითვე უშანსოდ დატოვა. ერთადერთი, რაც რივერსაიდელებმა ამის შემდეგ მოახერხეს, სხვაობის შემცირება იყო. ეს **იაკუბუმ** შეძლო. კინმა დასძინა:

*„თამაში პირველ ტაიმში წავაგეთ. ორი გოლის გაშვების შემდეგ ველარაფერი შევძელით. მართალია, შესვენებაზე ბიჭებს ერთი-ორი მკაცრი სიტყვა ვუთხარი და მოედანზე დაბრუნებულებს შევატყვე, რომ მეორე ტაიმს უკეთ ითამაშებდნენ, მაგრამ შეხვედრის მთლიანად გადასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა“.*

„ბოლტონის“ თავკაცმა, **ოუენ კოილმა** კი თქვა, რომ „ივუდ პარკის“ ტრიბუნებზე შექმნილმა კინის საწინააღმდეგო განწყობამ მისი გუნდის წისქვილზე დაასხა წყალი.

*„შესაძლოა, რასაც ვამბობ საშინლად ჟღერს, მაგრამ ფეხბურთელებს ვუთხარი, თუკი თამაშს კარგად დავიწყებთ და ხალხი დაინახავს, რომ ჩვენ მათ გუნდს ვჯობივართ, ტრიბუნებზე კინის საწინააღმდეგოდ დიდი ამბავი ატყდება და ამით ძალიან ვიხეირებთ-მეთქი. ვიცი, ბლექბერნში დღეს ყველაფერს კინს აბრალებენ, მაგრამ, მერწმუნეთ, ის დიდებული მწვრთნელია. აქ პრემიერლიგაა. ინგლისის ჩემპიონატში შესაძლოა ოცივე კლუბმა საუკეთესო სპეციალისტი აიყვანოს სამსახურში, მაგრამ ვილაც მაინც გავარდება. „როვერსის“ ფეხბურთელებზე რაც გინდათ ის თქვით, ერთი კი ფაქტია, სტივის მხარდასაჭერად მათ თავი დასდეს“.*

● სადისციპლინო საკითხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენიმე კითხვა-პასუხი ლუის სუარესის დისკვალიფიკაციის შესახებ

ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“ „ლივერპულის“ 24 წლის ურუგვაელი თავდამსხმელის, **ლუის სუარესის** რვათამაშიან დისკვალიფიკაციას კითხვა-პასუხი მიუძღვნა. მოგეხსენებათ, სუარესი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველის, **პატრის ევრას** რასობრივ შეურაცხყოფაში ცნეს დამნაშავედ. გარდა ხსენებული დისკვალიფიკაციისა, მას 40 ათასი გირვანქა სტერლინგი გადახდაც მოუწევს — ეს ჯარიმაა.

სანამ „სანის“ მიერ ჩამოწერილ ყველაზე აქტუალურ კითხვებსა და მათზე პასუხებს გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ საკუთრივ სუარესმა „ტვიტერში“ ასე დაწერა: *„დღეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის უმძიმესი დღეა. დიდი მადლობა ყველას, ვინც მხარში დამიდგა. სხვა გზა არ მაქვს, მუშაობა უნდა განვაგრძო. ძალიან ვწუხვარ რასიზმში რომ დამდეს ბრალი, ჩემთვის ხომ ყველა ერთია. მე ყველას პატივს ვცემ“.*

„ლივერპულის“ მწვრთნელმა, **კენი დალგლიშმა** კი განაცხადა:

*„ვერდიქტით ძალიან იმედგაცრუებული დავრჩი. ლუისს ახლა მხარში დგომა სჭირდება. „ლივერპულის“ დევიზი*




*ცნობილია: შენ არასდროს ივლი მარტო. დღეს ლუისმა არ უნდა იაროს მარტო. ჩვენ ამას არ დავუშვებთ“.*

ცნობისათვის: ლუის სუარესი თავადაც შერეული სისხლის კაცია, მას შავკანიანი პაპა ჰყავს. საინტერესოა ისიც, რომ ევრამ ერთ-ერთ ინტერვიუში თავად თქვა, დარწმუნებული ვარ სუარესი რასისტი არ იქნებაო, თუმცა, როგორც ჩანს, ურუგვაელმა კონკრეტული სალანძღავი სიტყვები მართლა თქვა.

ახლა კი „სანის“ კითხვა-პასუხს დავუბრუნდეთ.

**როდის შევა დისკვალიფიკაცია ძალაში?**

წესით, დისკვალიფიკაცია დაუყოვნებლივ შედის ძალაში. სუარესისთვის რვა თამაშის ათვლა წუხელ, „უიგანთან“ შეხვედრაში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ლივერპულელს ორკვირიანი ვადა მისცა აპელაციისათვის. თუ ურუგვაელი ვერდიქტს გაასაჩივრებს, საქმეს ასოციაციის მიერ დანიშნული დამოუკიდებელი კომისია თავიდან განიხილავს.

**ყოფილა ასეთი დისკვალიფიკაციის პრეცედენტი?**

2003 წელს „რედინგის“ ნახევარმცველ **ჯონ მეკის** სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და ხუთიც პირობითად დაუმატეს. გარდა ამისა, მას 3 ათასი ფუნტის გადახდა მიუსაჯეს, თუმცა მოგვიანებით თანხა გაანახევრეს. მიზეზი: მან „შეფილდ იუნაიტედის“ თავდამსხმელ **კარლ ასაბას** მიაყენა რასობრივი შეურაცხყოფა. გარდა ამისა, 2005 წელს, ესპანეთის ნაკრების თავკაც **ლუის არაგონესს ტიერი ანრის** შეურაცხყოფისთვის გადაახდევინეს 2 000 გირვანქა სტერლინგის ეკვივალეტური თანხა.

**რომელ თამაშებს გამოტოვებს სუარესი იმ შემთხვევაში თუ საჩივარს არ შეიტანს?**

თუ სუარესი საჩივარს 14 დღის განმავლობაში არ შეიტანს, მას 3 იანვარს „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრის გამოტოვება მოუხდება. კიდევ, სუარესი გამოსტოვებს ასოციაციის თასის შეხვედრას „ოლდჰემთან“, „ქარლინგის თასის“ ორივე ნახევარფინალს „მანჩესტერ სიტის“ წინააღმდეგ და პრემიერლიგის შემდგომ შეხვედრებს „სტოკის“, „ბოლტონის“, „ვულვზის“ და „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ.

თუ სუარესი საჩივარს შეიტანს, მაგრამ მაინც მას გაამტყუნებენ, დისკვალიფიკაცია გამტყუნებისთანავე ამოქმედდება.

**შეიძლება თუ არა, რომ სუარესის საქმემ ჯონ ტერისა და ანტონ ფერდინანდის ანალოგიურ საქმეზე იქონიოს გავლენა?**

თუ ამ შეკითხვას ფეხბურთის ასოციაციას დაუსვამთ, აუცილებლად გიპასუხებენ, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთთან კავშირში არ არის, მაგრამ სინამდვილეში ცხადია: საკმარისია ტერი დამნაშავედ ცნონ, რომ სულ მცირე რვათამაშიანი დისკვალიფიკაცია გარანტირებული აქვს, რაც მიმომხილველებს მისთვის, „ჩელსისა“ ინგლისის ნაკრებისთვის დამღუპველად მიაჩნიათ.

● სატრანსფერო საკითხი

# ბრიჯმა გოლფი რომ აღარ ითამაშოს




„მანჩესტერ სიტის“ 31 წლის მცველ **უეინ ბრიჯს** მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** პირდაპირ უთხრა, რომ დროა, სხვაგან გადავიდეს. ამიტომაც არ არის გამორიცხული, იანვარში ბრიჯი „არსენალში“ ვიხილოთ. ამბობენ, „მეთოფეები“ ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის შეძენით დაინტერესებული არიანო, „ეტიჰედ სთედიუმზე“ კი ის აღარავის სჭირდება და არც მისი, კვირაში 90 ათას გირვანქიანი ხელფასის გადახდა სიამოვნებთ.

მანჩინიმ თქვა: *„ფეხბურთელისთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი თამაშია. როდესაც ვაწყდები ისეთებს, რომლებიც ხედავენ, რომ გუნდში ვერ ხვდებიან, მაგრამ წასვლას მაინც არ ითხოვენ, მიკვირს. იმედი მაქვს, ბრიჯი წავა. ალბათ, ძალიან ძნელია, როდესაც ყოველ დღე დადიხარ ვარჯიშზე, კვირის ბოლოს კი მოდის თამაში და შენ მასში მონაწილეობას არ იღებ. როდესაც ბაზაზე ვართ, ბრიჯი გუნდთან ერთად ვარჯიშობს, თუმცა ხანდახან ახალგაზრდებთან რჩება“.*

სტატისტიკა თავისას მეტყველებს: უეინ ბრიჯს პრემიერლიგის შეხვედრაში, „სიტის“ სასტარტო შემადგენლობაში 2010 წლის ოქტომბრის შემდეგ არ უთამაშია. როდესაც მანჩინის ჰკითხეს, სად ატარებს ფეხბურთელი შაბათებს, მან უპასუხა: *„ალბათ, გოლფს თამაშობს“.*

გასულ ზაფხულს უეინ ბრიჯს გლაზგოს „სელტიკი“ და ინგლისური ჩემპიონშიპის რამდენიმე კლუბი ეპატიჟებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა ყველა უარით გაისტუმრა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფრანგეთი. ლიგა 1. XIX ტური



მატიე ვალბუენა ჟორდან ლოტიესა (მარჯვნივ) და რეინალ ლემაიტრის გარემოცვაში

# ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალისკენ

**ნანსი-მარსელი 1:3**

**გოლები:** 0:1 ვალბუენა (18), 1:1 ლემაიტრი (37), 1:2 მბია (41), 1:3 ლ გონსალესი (90)

სანამ XIX ტურის სხვა მატჩები გაიმართებოდა, "მარსელმა" იქამდე თავისი თამაში მოიგო და დროებით მაინც ცხრილში მეხუთე ადგილზე გადავიდა. მიუხედავად შთამბეჭდავი საფინალო ანგარიშისა, პროვანსელებს 3 ქულა იოლად არ ჩაუგდიათ ხელში. **დიდიე დეშამის** შეგირდები თამაშს მშვენიერი განწყობით შეხვდნენ, რადგან შიდა ასპარეზზე მათი საქმეები ნელ-ნელა, მაგრამ მაინც დგება თავის კალაპოტში - გუნდს ყველა ტურნირზე ერთად ბოლო 6 შეხვედრიდან 5 მოგება და 1 ფრე დაუგროვდა.

თამაში მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. ანგარიშის გახსნა **ბაკარს** შეეძლო, მაგრამ მისმა თავურმა მიზანს ვერ მიაღწია. ეს "ნანსის" მიერ გაფუჭებული პირველი მომენტი იყო. უნდა ითქვას, რომ მთელმა შეხვედრამ სწორედ ამ ნიშნით ჩაიარა – "ნანსის" მომენტების გამოყენება მეტისმეტად უჭირდა. საპირისპირო სიტუაცია იყო სტუმართა მხარეს. ვიცე-ჩემპიონებმა 100%-ით გამოიყენეს მათთვის მოძებული შანსები. მე-18 წუთზე **ვალბუენამ რემისთან** გაითამაშა კედელი და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ის იოლად დაჯაბნა. 41-ეზე კი **მბია ამალფიტანოს** ფლაგურ ჩაწოდებას წარმოუდგენელ ნახტომში მისწვდა თავით. ამ ორ გოლს შორის, 37-ე წუთზე, ანგარიშის გამთანაბრებელი დარტყმა იყო. ამ შემთხვევაში სერიოზული შეცდომა დაუშვა არბიტრმა **სტეფან ლანუამ,** ვინც **კალვეს** პასის შემდეგ **ლამაიტრზე** აშკარა თამაშგარე არ დააფიქსირა. ამ უკანასკნელმა კი **მანდანდას** ოსტატობის გამოვლენის შანსი აღარ დაუტოვა.

მეორე ტაიმი შედარებით ნელ ტემპში წარიმართა. უფრო მეტად ისევ ნანსელები აქტიურობდნენ და საგოლე სიტუაციებსაც ქმნიდნენ, მაგრამ ხან არაზუსტად თამაშობდნენ, ხანაც მანდანდა იყო მოწოდების სიმაღლეზე. უკვე კომპენსირებულ დროში თამაშს წერტილი ვალბუენას პასის შემდეგ **ლუჩო გონსალესმა** დაუსვა.

● ლიგა 1. XIX ტური

**ოსერი-დიჟონი 2:2**

**გოლები:** 0:1 კორნე (7), 0:2 ჟოვაი (33), 1:2 ლე ტალეკი (80) 2:2 ჟემაა (90)

**ევიანი-მონპელიე 4:2**

**გოლები:** 0:1 ბელჰანდა (47), 1:1 ბარბოსა (52), 1:2 ჟირუ (54), 2:2 ხელიფა (68) 3:2 კამბონი (72) 4:2 ბ. ჯა ჯეჯე (76)

**ლილი-ნიცა 4:4**

**გოლები:** 1:0 შეჯუ (9), 1:1 ჩიველი (16), 2:1 კოული (26), 2:2 ფ. ჯა ჯეჯე (35), 2:3 ფ. ჯა ჯეჯე (45), 3:3 აზარი (77) 4:3 ბალმონი (87), 4:4 კლერი (90)

**რენი-ბორდო 1:0**

**გოლი:** 1:0 კემბო ეკოკო (53)

**სოშო-აიაჩო 0:2**

**გოლები:** 0:1 ანდრე (65), 0:2 პეიბერნე (79) სკ-ში

**ვალანსიენი-ლიონი 1:0**

**გოლი:** 1:0 სისოხო (31. საკ. კარში)

**ლორიანი-კანი 0:0**

**ტულუზი-ბრესტი 0:0**

**სენტ ეტიენი-პსჟ 0:1**

**გოლები:** 0:1 ბოდმერი (32)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 19 | 12 | 4 | 3 | 31-17 | 40 |
| 2. მონპელიე | 19 | 11 | 4 | 4 | 39-23 | 37 |
| 3. ლილი | 19 | 9 | 9 | 1 | 33-19 | 36 |
| 4. ლიონი | 19 | 11 | 2 | 6 | 31-21 | 35 |
| 5. რენი | 19 | 9 | 5 | 5 | 29-23 | 32 |
| 6. მარსელი | 19 | 8 | 7 | 4 | 27-18 | 31 |
| 7. ტულუზი | 19 | 8 | 7 | 4 | 20-17 | 31 |
| 8. სტ. ეტიენი | 19 | 8 | 6 | 5 | 23-21 | 30 |
| 9. ლორიანი | 19 | 6 | 6 | 7 | 18-21 | 24 |
| 10. ბორდო | 19 | 5 | 8 | 6 | 20-22 | 23 |
| 11. ევიანი | 19 | 5 | 7 | 7 | 27-29 | 22 |
| 12. ბრესტი | 19 | 3 | 12 | 4 | 19-19 | 21 |
| 13. ვალანსიენი | 19 | 5 | 5 | 9 | 18-21 | 20 |
| 14. კანი | 19 | 5 | 5 | 9 | 24-29 | 20 |
| 15. ოსერი | 19 | 4 | 7 | 8 | 26-30 | 19 |
| 16. დიჟონი | 19 | 5 | 4 | 10 | 20-35 | 19 |
| 17. ნიცა | 19 | 4 | 6 | 9 | 21-23 | 18 |
| 18. ნანსი | 19 | 4 | 6 | 9 | 17-26 | 18 |
| 19. სოშო | 19 | 4 | 6 | 9 | 21-34 | 18 |
| 20. აიაჩო | 19 | 3 | 6 | 10 | 20-36 | 15 |

**ბომბარდირები:** 13 - **ოლივიე ჟირუ** (მონპელიე), 9 - **კევინ გამეირო** (პარი სენ—ჟერმენი), 7-7 **დენის ოლიეჩი** (ოსერი), **ალან ტრაორე** (ოსერი), **ბაფეტიმბი გომისი** (ლიონი), **ლოიკ რემი** (მარსელი) **კემბო ეკოკო** (რენი), **აზარი** (ლილი), **ნენე** (პარი სენ—ჟერმენი)

**მომდევნო ტური:**

14 იანვარი: აიაჩო-ოსერი, ბორდო-ვალანსიენი, ბრესტი-ნიცა, კანი-რენი, დიჟონი-ევიანი, მონპელიე-ლიონი, ნანსი-ლორიანი, პარი სენ-ჟერმენი-ტულუზი, სენტ ეტიენი-სოშო

15 იანვარი: მარსელი-ლილი

● ამბები

## ვიდალი და კომპანია

ჩილეს ნაკრების ფეხბურთელებმა **არტურო ვიდალმა, კარლოს კარმონამ, ჟან ბოსეჟურმა** და **კლაუდიო ბორხიმ** ფეხბურთის ფედერაციისგან უმკაცრესი სასჯელები დაიმსახურეს: მათ ეროვნულ გუნდში გამოსვლა 10-10 მატჩით აეკრძალათ. მიზეზი ურუგვაისთან 7 ნოემბრის მატჩის წინა ღამეს სასტუმროდან გაპარვა და მომეტებული დოზით ალკოჰოლის მიღება გახდა. გარდა დისკვალიფიკაციისა, ისინი სოლიდური თანხითაც დაჯარიმდნენ.

## კოლუმბიას მარტინო მიხედავს

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ კოლუმბიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ლიონელ ალვარესს** კარისკენ მიუთითეს, რისი მიზეზიც წარუმატებელი მუშაობა გახდა. მას პოსტზე პარაგვაის ეროვნული გუნდის ყოფილი თავკაცი **ხერარდო მარტინო** შეცვლის, ვისაც სამუშაოს არგენტინული კლუბებიც სთავაზობდნენ. როგორც ჩანს, 49 წლის სპეციალისტს სანაკრებო ასპარეზი უფრო ხიბლავს.

## მესი პირველად

შეიძლება იოლი დასაჯერებელი არ არის, მაგრამ **ლიონელ მესი** პირველად აღიარეს საუკეთესოდ და ეს არგენტინაში მოხდა. 24 წლის სუპერვარსკვლავი სამშობლოში წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელდა. მისი ძირითადი კონკურენტები ნაკრებში მისი თანაგუნდელები **გონსალო იგუაინი** და **სერხიო აგუერო** იყვნენ. ფეხბურთელმა ჯილდოს გადაცემის ცერემონიალზე დასწრება საკლუბო საქმეების გამო ვერ მოახერხა.

## ლაინსმენი შაფნის უჩივის

ლიგა 1-ის მე-18 ტურში "ბრესტი"-"ოსერის" არბიტრმა **ტონი შაპრონმა** სტუმართა ნახევარმცველი, 29 წლის მაროკოელი **კამილ შაფნი** 54-ე წუთზე გააძევა. ფეხბურთელის თქმით, მთავარმა მსაჯმა ის მას მერე გააძევა, რაც მისი ასისტენტის **იოან პეროს** მიერ ეთნიკურ ნიადაგზე შეურაცხყოფის შესახებ ამცნო. ამ განცხადების შემდეგ საფრანგეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა **ფრედერიკ ტირიემ** გამოძიების დაწყების ბრძანება გასცა. "გამოძიებას ყველანაირად მხარს ვუჭერ. ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად ყველანაირი საშუალება მაქვს. მსაჯთა კომიტეტს მოედანზე მყოფი არბიტრების ნალაპარაკების ჩანაწერი მოეპოვება, სადაც აშკარად გამოჩნდება, რომ მსგავსი არაფერი მითქვამს. უკვე მოვითხოვე, რომ გამოძიებამ ეს ჩანაწერი შეისწავლოს. ამას გარდა შაფნის მიერ ცილისწამების გამო მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესისთვისაც ვემზადები. იქამდე, ვიდრე საქმე ბოლომდე არ იქნება გამოძიებული, კომენტარებისგან თავს შევიკავებ," – აცხადებს პერო.



● პარი სენ-ჟერმენი

# ვერსია №1: [illegible] №2: ჯერ ხელი არაფერზე მოგვიწერია



დევიდ ბექჰემის ტრანსფერი პრესამ გადაწყვეტილად გამოაცხადა

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **დევიდ ბექჰემი** როგორც ჩანს სულ უფრო ახლოსაა "პარი სენ-ჟერმენში" ტრანსფერთან. "პარიზიენმა" და "ეკიპმა" გუშინ ერთდროულად დაწერეს, რომ ფეხბურთელმა ფრანგულ გრანდთან შეთანხმებას უკვე მიაღწიაო. აღნიშნულ გამოცემებს, ეტყობა, ერთი წყარო ჰყავდათ, რადგან მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ოდნავადაც არ განსხვავდება. ავტორიტეტული გამოცემების მტკიცებით, კონტრაქტს ხელი მომავალი წლის იანვარში მოეწერება, რისი წყალობითაც ფეხბურთელი თვეში 800 ათას ევროს მიიღებს და თანაც კლუბი მას საშემოსავლო გადასახადსაც გადაუხდის. თუკი ეს ამბავი სიმართლეა, გამოდის, რომ ვეტერანთან მოლაპარაკებებისთვის "ლურჯ-წითლებს" სრული 4 თვე დასჭირვებიათ. გარდა ხელფასისა, პსჟ ფეხბურთელს მისი მაისურების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსაც გაუნაწილებს და სარეკლამო საქმიანობაში ჩართვისთვის კუთვნილ ჰონორარსაც ცალკე უანგარიშებს.

ფრანგ კოლეგებს არც ინგლისელები ჩამორჩნენ და გარკვეული დეტალები მათაც გაარკვიეს. მაშ ასე: "დეილი მეილის" ცნობით, პარიზული კლუბის წარმომადგენლები უახლოეს დღეებში შეუდგებიან დევიდის ვაჟების, 12 წლის **ბრუკლინის**, 9 წლის **რომეოსა** და 6 წლის **კრუსისთვის** მაღალი დონის ინგლისურენოვანი სკოლების ძებნას, რათა ბავშვებს სწავლა-განათლებაში ხელი არ შეეშალოთ. დევიდსა და ვიქტორიას მეოთხე შვილიც ჰყავთ, 4 თვის ქალიშვილი **ჰარპერი**.

პრესის ვერსია ერთია, მაგრამ ბექზის ტრანსფერს ჯერ შემდგარად არ მიიჩნევს კომპანია XIX Entertaiment-ი, რომელიც ინგლისელის ინტერესებს იცავს. ფირმის წარმომადგენლები მოლაპარაკების ფაქტს ადასტურებენ, მაგრამ საზოგადოებას მოუწოდებენ, ნუ დაუჯერებენ გავრცელებულ ხმებს, რადგან კონტრაქტზე ხელი არ მოგვიწერია და ჯერ კიდევ შეიძლება ყველაფერი შეიცვალოსო. თუმცა არც გაზეთებს დაუწერიათ, ბექზმა ხელშეკრულება გააფორმაო, მათ ხალხს მხოლოდ შეთანხმების მიღწევა ახარეს.

"ფრანს ფუტბოლის" ინფორმაციით, პარიზულმა კლუბმა მორიგ ცენტრალურ თავდამსხმელს მიაპყრო მზერა. ლაპარაკია "ვალენსიისა" და ესპანეთის ნაკრების შემტევ **რობერტო სოლდადოზე**. ფრანგები მზად არიან, "ლამურებს" "ჯარისკაცში" (სოლდადო სწორედ ასე ითარგმნება) 30 მილიონი ევრო გადაუხადონ. მიმდინარე სეზონში რობერტომ 16 ტურში 11 გოლის გატანა შეძლო.

● ფეხბურთი და კრიმინალი





2002 წლის მუნდიალის არბიტრ ლი იუნს გარიგებულ მატჩებში მონაწილეობა ბრალდება

# კორუფცია ჩინურ ფეხბურთში

ჩინელმა მსაჯმა **ჰუან იუნჟიმ** სასამართლოზე დაკითხვისას აღიარა, რომ თამაშებისას "საჭირო" შედეგის დასაფიქსირებლად ფულს იღებდა. სულ მან 6 ოფიციალური და 2 საკონტროლო მატჩის შესახებ მოუთხრო პატივცემულ მოსამართლეს. საინტერესოა, რომ ორიდან ერთ ამხანაგურში 2007 წელს "მანჩესტერ იუნაიტედი" "შენჟენს" შეხვდა და 6:0 დაამარცხა, მეორეში კი "შანხაი შენხუა" "სიდნეის" დაუზავდა. აღნიშნულ საქმეებში იუნჟიმ ხელი 2005-2009 წლებში გაისვარა, რისი წყალობითაც 246 ათასი დოლარი იშოვა. ცნობა, რომ მონაწილე გუნდთაგან რომელიმემ იცოდა ჩაწყობილი შეხვედრის შესახებ, გამოძიებას ჯერჯერობით არ აქვს.

ამ ეტაპზე გამოძიებამ მხოლოდ სამი მსაჯის ვინაობა დაასახელა, რომელთაგან ერთის საქმე სასამართლოში უკვე გადაგზავნილია, ორის კი წინასწარი ძიების ეტაპზეა. დაკავებულთაგან მეორე არბიტრი **ლიუ იუნი** 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯობდა, მესამე **ჩჟოუ ვეისინი** კი ნაკლებად ცნობილი მსაჯი გახლდათ. კარიერა მან 5 წლის წინ დაასრულა. იუნჟის შესახებ უკვე მოგითხრეთ. პროკურატურის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გარდა უკვე დაკავებული არბიტრებისა, ეჭვმიტანილი კიდევ 20 მსაჯია და ისინი აუცილებლად წარდგებიან სასამართლოს წინაშე. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავები იმ პროფესიონალი მსაჯების შემოწმებასაც აპირებენ, რომელთა პატიოსნებაში ჯერ ეჭვიც არ შეუტანიათ. ამ სკანდალს უკვე მოჰყვა სერიოზული რყევები ჩინური ფეხბურთის სათავეებთან. თანამდებობიდან გადადგნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელი.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

გერმანიის თასი. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა


ეს-ესაა ივან პერიშიჩმა ბოლო პენალტი გაიტანა – ჰუმელსი, „კუბა“, კელი და გიუნდოგანი სწორედ მისკენ მიისწრაფვიან

# თრილერი დიუსელდორფში

## რობენმა ბაიერნი მეოთხედფინალში გაიყვანა!

**სამშაბათს უმთავრესმა ფავორიტებმა გაჭირვებით მოიგეს: „ბაიერნმა“ „ბოხუმი“ მხოლოდ 91-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით დაამარცხა, დორტმუნდის „ბორუსიამ“ კი დიუსელდორფში საქმე სულაც პენალტების სერიამდე მიიყვანა და ქომაგები მაგრად ანერვიულა. სენსაცია მოხდა ნიურნბერგში: მეორებუნდესლიგელმა „ფიურტმა“ ელიტელ მეტოქეს მოუგო და მეოთხედფინალში ითამაშებს.**

**ბოხუმი–ბაიერნი 1:2**

**ბოხუმი (4-3-1-2):** ლუთე – კოპლინი, მალტრიტცი, აკუისტაპეისი, ტოსკი (46. ფრაიერი) – კრამერი, ფედერიკო (58. გინჩეკი), დაბროვსკი – ინუი – ჩონგ ტესე, აიდინი.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი (68. რაფინია), ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, ლამი – ტიმოშჩუკი, ლუის გუსტავო (46. ალაბა) – რობენი, კროოსი, რიბერი – ოლიჩი (46. გომესი).

**გოლები:** 1:0 ფედერიკო (26), 1:1 კროოსი (52), 1:2 რობენი (91)

**გაფრთხილება:** ტოსკი, კრამერი – რობენი, ვან ბუიტენი

**მაყურებელი:** 29 299

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, „ბაიერნს“ ქვედალიგელის დამარცხება გაუჭირდა. მიუნხენელები ბოხუმში აგებდნენ, ანგარიში მხოლოდ მეორე ტაიმში გაათანაბრეს, გამარჯვების გოლი კი **არიენ რობენმა** იმ დროს გაიტანა (91-ე წუთზე), როცა ყველანი დამატებით დროზე ფიქრობდნენ. საინტერესო ის იყო, რომ **შვაინშტაიგერისა** და **მიულერის** არყოფნას, რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა** ისიც დაამატა, რომ მთავარი გოლეადორი **მარიო გომესი** სათადარიგოთა სკამზე დატოვა და მოედანზე მხოლოდ მაშინ შეუშვა, როცა მიხვდა, რომ **ივიცა ოლიჩით** ფონს ვერ გავიდოდა. რობენის გოლში ლომის წილი მიუძღვით **ფილიპ ლამს**, რომელმაც ბურთი მოიპოვა და **ფრანკ რიბერის**, რომელმაც ჰოლანდიელს საგოლე პასი მისცა. აღსანიშნავია, რომ დისკუსია მოჰყვა რობენის სიმულანტობას, რისთვისაც არიენმა ყვითელი ბარათი მიიღო. ჰოლანდიელმა „შეცდომა“ აღიარა და პუბლიკას მოუბოდიშა კიდეც.

ამრიგად, „ბაიერნი“ ისევ ყველა ტურნირზე ასპარეზობს.

**ფორტუნა–ბორუსია (დ)0:0 (4:5 პ.ს.)**

**ფორტუნა (4-2-2-1-1):** რატაიჩაკი – ლეველსი, ლუკიმია, ლანგენეკე, ვან დერ ბერგი – ბოდცეკი, ლამბერტცი – ბაისტერი (79. იოვანოვიჩი), ო. ფინკი (63. დუმი) – რიოსლერი – ბრიოკერი.

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიუჩეკი, ოვომოიელა, ჰუმელსი, ლიოვე (80. კრინგე) – გიუნდოგანი, კელი – ბლაშჩიკოვსკი, ლევანდოვსკი, გროსკროიტცი – ბარიოსი (74. პერიშიჩი).

**პენალტების სერია:** 1:0 იოვანოვიჩი, 1:1 ჰუმელსი, 2:1 ლანგენეკე, 2:2 ბლაშჩიკოვსკი, 3:2 ლამბერტცი, 3:3 კელი, 3:3 ბრიოკერი (მეკარე), 3:4 გიუნდოგანი, 4:4 რიოსლერი, 4:5 პერიშიჩი.

**გაძევება:** ოვომოიელა (34. ბორუსია დ)

**გაფრთხილება:** რიოსლერი, ლამბერტცი, ბოდცეკი, დუმი – კელი, ვაიდენფელერი

**მაყურებელი:** 54 000

„ფორტუნა“ მეორე ბუნდესლიგაში ძალიან კარგად თამაშობს და ელიტაში გადმოსვლის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია. სწორედ ამიტომ ელოდა საფეხბურთო გერმანია დაძაბულ მატჩს – მიუხედავად იმისა, რომ დიუსელდორფში გერმანიის მოქმედი ჩემპიონი ჩადიოდა. მოლოდინი გამართლდა, რაც ნაწილობრივ იმის დამსახურებაა, რომ დორტმუნდის „ბორუსია“ 34-ე წუთზე კაცნაკლული დარჩა – BVB-ს **პატრიკ ოვომოიელა** გაუგდეს. შედეგად, დორტმუნდელები გაცილებით ფრთხილად ათამაშდნენ, საბოლოოდ საქმე პენალტების სერიამდე მივიდა, რომელიც ჩემპიონმა 5:4 მოიგო.

თერთმეტმეტრიანები **იურგენ კლოპის** გაძევებით დაიწყო – მსაჯმა **მანუელ გრეფემ** „დორტმუნდის“ თავკაცი იმის გამო გააგდო, რომ კლოპი „ზედმეტად აქტიურობდა“. **რანისლავ იოვანოვიჩის, მატს ჰუმელსისა** და **იენს ლანგენეკეს** წარმატებული პენალტების შემდეგ ნიშნულთან „ბორუსიას“ პოლონელი გარემარბი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** მივიდა და გაიტანა კიდეც, მაგრამ მსაჯმა მეორედ დარტყმა უბრძანა – ნიშანი არ მქონდა მიცემულიო. ამას დორტმუნდელი ფანების გამაყრუებელი სტვენა მოჰყვა, კუბას კი ნერვებმა არ უმტყუნა – მეორე დარტყმითაც გაიტანა. ბლაშჩიკოვსკის მერე დიუსელდორფელი **ანდრეას ლამბერტცის** ჯერი დადგა, რომელმაც თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა, მაგრამ საქმეში ისევ მსაჯი ჩაერია და ლამბერტცს მეორე მცდელობის უფლება მისცა – ვაიდენფელერმა მოძრაობა ადრე დაიწყო და კარის ხაზი დატოვაო. მეორე მცდელობისას „ფორტუნას“ ნახევარმცველმა უკვე იყოჩაღა, რამაც ვაიდენფელერი და **სებასტიან კელი** წყობიდან გამოიყვანა – ორივემ ყვითლები მიიღეს. სამაგიეროდ, ნერვებმა **თომას ბრიოკერს** უმტყუნა, მას ვაიდენფელერმა აუღო, რის შემდეგაც ჯერ **რიოსლერმა** და **გიუნდოგანმა** გაიტანეს, წერტილი კი ამ ვნებათაღელვას **ივან პერიშიჩმა** დაუსვა. სხვათა შორის, „ბორუსია“ 2007/2008 წლების სეზონის შემდეგ პირველად ითამაშებს გერმანიის თასის მეოთხედფინალში.

*„ასე ამაყი იშვიათად ვყოფილვარ. ძალიან მაგარი თამაში გამოვიდა და რომ წაგვეგო, ეს ნამდვილად არ იქნებოდა კატასტროფა, რადგან 86 წუთის განმავლობაში კაცნაკლულები ვიყავით,“* – განაცხადა მატჩის შემდეგ კლოპმა.

*„ბოლო ორ სეზონში გერმანიის თასისთვის ბრძოლას სწორედ ასეთ დრამატულ შეხვედრებში გამოვეთიშეთ, ახლა კი მოვიგეთ. ფინალში უნდა გავიდეთ, ბერლინში გვინდა!“* – ეს კი ჰუმელსის სიტყვებია.

დიუსელდორფელები ამიერიდან მხოლოდ მეორე ბუნდესლიგაზე იქნებიან კონცენტრირებულები – „ფორტუნას“ მიზანი გაისად ელიტაში თამაშია.

**ნიურნბერგი–ფიურტი 0:1**

**ნიურნბერგი (4-1-4-1):** რ. შეფერი – ფოილნერი, მარო (79. ბუნიაკუ), ვოლშაიდი, ჩენდლერი – სიმონსი – ჰეგელერი (46. ესვაინი), კოენი (67. პლატენჰარდტი), დიდავი, აიგლერი – პეკჰარტი.

**ფიურტი (4-2-2-2):** გრიუნი – ნერიგი, კლაინე, მავრაი, შმიდტგალი – ფიურშტნერი, პეკოვიჩი – პრიბი (65. სარარერი), შრიოკი – ნიოთე (71. კარასლავოვი), ოკენი.

**გოლი:** 0:1 პრიბი (15)

**გაძევება:** ნერიგი (66. ფიურტი)

**გაფრთხილება:** ფოილნერი – ნიოთე, პრიბი, პეკოვიჩი, ფიურშტნერი

**მაყურებელი:** 48 548

ისე როგორ იქნებოდა, რომ გერმანიის თასის მეოთხედფინალში მეორე ბუნდესლიგელი არ გასულიყო: ის, რაც „ფორტუნამ“ ვერ შეძლო, „ფიურტმა“ მოახერხა, რაც ლოგიკურიცაა, რადგან მეტოქედ „დორტმუნდზე“ გაცილებით სუსტი „ნიურნბერგი“ ჰყავდა. არადა, მას მერე, რაც „ნიურნბერგმა“ გასულ უქმეებზე „ლევერკუზენი“ გაანადგურა (3:0), ამ გუნდისგან საფეხბურთო გერმანია თასის მერვედფინალის ბარიერის გადალახვასაც ელოდა. ეს რიგით 254-ე „ფრანკენ-დერბი“ გახლდათ, რის გამოც მატჩს ინტრიგა პირველიდან ბოლო წუთამდე არ მოჰკლებია, თამაშის შემდეგ კი ნიურნბერგის ქუჩებში გუნდების ფანებს შორის რამდენიმე შეტაკება მოხდა.

„ფიურტი“ მე-15 წუთიდან იგებდა, ვითარება კი განსაკუთრებით 66-ე წუთზე დაიძაბა, როცა სტუმრებს **ნერიგი** გაუძევეს, მაგრამ „ნიურნბერგმა“ ანგარიშის გათანაბრება ვერაფრით შეძლო – მე-80 წუთზე **დიდავის** გოლი სამართლიანად არ ჩაუთვალეს.

**ჰოფენჰაიმი–აუგსბურგი 2:1**

**ჰოფენჰაიმი (4-1-4-1):** შტარკე – ბეკი, ვორსა, ვესტერგაარდი, ჯონსონი – რუდი – მლაპა (83. ვილიამსი), რობერტო ფირმინიო, სალიჰოვიჩი, ბაბელი (67. ვუკჩევიჩი) – იბიშევიჩი (88. შიპლოკი).

**აუგსბურგი (4-2-3-1):** ამსიფი – ვერჰეგი, კალსენ-ბრაკერი, სანკო, დე იონგი – ჰოსოგაი (72. ბაიერი), დავიდსი (60. გოგია) – ბრინკმანი (85. ს. ჰაინი), იორლი, ვერნერი – კაპლანი.

**გოლები:** 1:0 სალიჰოვიჩი (23), 1:1 იორლი (36), 2:1 იბიშევიჩი (49)

**გაფრთხილება:** ბეკი – ჰოსოგაი, კალსენ-ბრაკერი, დე იონგი

**მაყურებელი:** 10 375

ზინსჰაიმში ამ მატჩზე დასწრება მხოლოდ 10 375-მა მაყურებელმა მოისურვა და ისინი, ვისაც სტადიონზე მისვლა დაეზარათ, ნამდვილად ინანებდნენ, რადგან შეხვედრა საკმაოდ თვალსასეირო გამოდგა. ისევე, როგორც ბუნდესლიგაში (2:0), „ჰოფენჰაიმმა“ „აუგსბურგი“ თასზეც დაამარცხა – განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ სტუმრებმა ამჯერად ერთი გოლის გატანა მოახერხეს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ დაახლოებით ერთთვიანი პაუზის შემდეგ, „აუგსბურგის“ რიგებში ისევ ითამაშა წარმოშობით ქართველმა, ისე კი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა **აკაკი გოგიამ**. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ტრავმირებული არ ყოფილა – უბრალოდ, მწვრთნელი **იოს ლუჰუკაი** ბუნდესლიგის პირველი წრის ბოლო ტურებში აღარ ენდობოდა და სათადარიგოთა სკამს ახეხვინებდა.

ჰერთა

# კობის სკიბე გაწვრთნის!

## მიხაელს ბერლინში დღეს ელიან

ბერლინის „ჰერთამ“ სკანდალურად გაშვებული მწვრთნელის, **მარკუს ბაბელის** შემცვლელი სწრაფად იპოვა: გუშინ 46 წლის ცნობილმა გერმანელმა სპეციალისტმა **მიხაელ სკიბემ** ოფიციალურად დაადასტურა, რომ სამწვრთნელო კარიერას გერმანიის დედაქალაქში გააგრძელებს. სკიბე უმუშევარი არ იყო: „ჰერტაში“ ის თურქული „ესქიშეჰირსპორიდან“ გადადის.

*„თურქეთი ძალიან მიყვარს, „ესქიშეჰირსპორის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობამ კი ნამდვილად უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. საკმაოდ მოკლე დროში ჩვენ ამ გუნდში ძალიან ბევრი რამ შევძელით, კლუბმა ჩემს ხელში სერიოზული პროგრესი განიცადა. თუმცა დასამალი არაფერია: თურქეთში მუშაობას გერმანიაში მუშაობა მირჩევნია. ვადასტურებ, რომ „ჰერტაში“ გადავდივარ. იმედია, „ესქიშეჰირის“ გულშემატკივრები სწორად გამიგებენ და არ მისაყვედურებენ იმის გამო, რომ გერმანიაში დაბრუნება გადავწყვიტე,“* – განუცხადა სკიბემ თურქულ სპორტულ გაზეთ „ფანატიკს“.

„ესქიშეჰირს“ გუშინ კალენდარული მატჩი ჰქონდა „მერშინთან“ და ამ შეხვედრაში გუნდს ისევ სკიბემ უხელმძღვანელა. გუნდის პრეზიდენტი **ჰალილ უნალი** „ესქიშეჰირსპორს“ გასვლით მატჩში სპეციალურად გაჰყვა იმისათვის, რომ სკიბე გადაერწმუნებინა, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ამას ვერ შეძლებდა, რადგან მიხაელს ბერლინში მუშაობა ძალიან უნდა. გაირკვა ისიც, რომ „ჰერტა“ ბოლოს და ბოლოს დათანხმდა იმაზე, რომ სკიბეს კონტრაქტის გამოსასყიდი თანხა (250 000 ევრო) გადაიხადოს – გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ბერლინელებმა თავიდან ამ ფულის გადახდა თავად მწვრთნელს მოსთხოვეს, მაგრამ როგორც ჩანს, ამ დამცინავ წინადადებაზე მიხაელისგან მტკიცე უარი მიიღეს.

„კიკერი“ იუწყება, რომ სკიბე „ჰერტასთან“ კონტრაქტს 2014 წლამდე გააფორმებს. **ლევან კობიაშვილის** გუნდს გუშინ გერმანიის თასის მერვედფინალური მატჩი ჰქონდა „კაიზერსლაუტერნთან“, რომელშიც გუნდს ბაბელის ასისტენტმა **რაინერ ვიდმაიერმა** უხელმძღვანელა, სკიბეს კი ბერლინში დღეს ელოდებიან...


ლევან კობიაშვილს ჰერტაში ახალი მწვრთნელი ეყოლება: მიხაელ სკიბე

გერმანიის ნაკრები

# ნეკი ნეკისა?

## ლიოვმა ბალაკს ხელი გაუწოდა

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა მიხაელ ბალაკთან** შერიგებისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა: 51 წლის ბუნდესმწვრთნელმა ტელეკომპანია „სქაის“ პირდაპირ ეთერში თქვა, რომ გერმანიის ნაკრების ყოფილ კაპიტანთან შერიგების იმედი აქვს. *„იმედი მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა ისევ დათბება. მე მზად ვარ, მიხაელს ნებისმიერ დროს შევხვდე,“* – აღნიშნა იოგიმ.

შეგახსენებთ, რომ 35 წლის ბალაკსა და ლიოვს შორის ურთიერთობა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შემდეგ გაფუჭდა. მიხაელმა მუნდიალი მძიმე ტრავმის გამო გამოტოვა, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ კი დიდ ხანს ჰქონდა იმედი, რომ იოგი ნაკრებში დააბრუნებდა, მაგრამ ლიოვს ის აღარ სჭირდებოდა. პრობლემა რეალურად იმის გამო შეიქმნა, რომ ბუნდესმწვრთნელმა გადაწყვეტილების გახმაურება ძალიან გაწელა და მხოლოდ სამი თვის წინ გამოაცხადა, ბალაკისთვის ნაკრების კარი დახურულიაო. რა გასაკვირია, რომ მიხაელი ასეთი მიდგომის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა – რაც უნდა იყოს, ბალაკს გერმანიის ნაკრებში 98 მატჩი აქვს ჩატარებული, აქედან უმეტესობა კაპიტნის რანგში და 1998 წლის შემდეგ ბუნდესგუნდის განუყოფელი ნაწილი იყო.

*„ვაღიარებ, რომ ყველას სხვანაირად უნდა გვემოქმედა, ხაზს ვუსვამ – ყველას! დაპირისპირება უადგილო იყო, თუმცა ამაში მარტო ჩვენ არ ვართ დამნაშავეები. სამწუხაროდ, ამ დისკუსიაში ჩაბმულმა ვერც ერთმა ადამიანმა ვერ მოახერხა ურთიერთობის დარეგულირება. მინდა, რომ ყველაფერი დალაგდეს და იმედია, ასეც იქნება,“* – აცხადებს ლიოვი.

ახლა საინტერესო ის არის, მიიღებს თუ არა ბალაკი ლიოვის შეთავაზებას და ჩამოართმევს თუ არა ხელს მას. ფაქტია, რომ ეს ძალიან კარგი იქნებოდა, რადგან ისევე, როგორც ლიოვი, გერმანული ფეხბურთის სახე ბალაკიცაა – მიხაელი ბუნდესგუნდს ათი წელი ემსახურა და წლების მანძილზე საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელი იყო. ასე რომ, მიხაელისა და იოგის შერიგებით ორივე მხარის გარდა, გერმანული ფეხბურთიც მოიგებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


შერიგდებიან ბალაკი და ლიოვი? იოგიმ პირველი ნაბიჯი გადადგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## სერია A. I (გამოტოვებული) ტური

### უდინეზე-იუვენტუსი 0:0

**უდინეზე (3-5-1-1):** ჰანდანოვიჩი – დომიცი, დანილო, ფერონეტი – ბასტა, პინცი, ისლა, ასამოა, არმერო – აბდი (86. ფლორო ფლორესი) – დი ნატალე.

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი - ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - მარკიზიო, პირლო, ვიდალი – პეპე (80. დელ პიერო), ესტიგარიბია (90. დე ჩელიე), მატრი (71. კვალიარელა).

**გაფრთხილება:** ბასტა, ისლა, პინცი - ვიდალი.

**გაძევება:** გვიდოლინი (90. უდინეზეს მთ. მწვრთნელი)

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 12-20; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 9(4)-12(5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 30 000

### ატალანტა-ჩეზენა 4:1

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო, ფერი, მანფრედინი, პელუზო – კარმონა, ჩიგარინი, პინტუ (59. შელოტო), ბონავენტურა – მარილუნგო (65. პადოინი) – დენისი (89. გაბიადინი).

**ჩეზენა (4-2-3-1):** ანტონიოლი – ჩეკარელი (59. ბოგდანი), ბენალოუანე, როდრიგესი, როსი – გუანა, გეზალი - კანდრევა, პაროლო, ედერი (79. მალონგა) – მუტუ (89. არიგონი).

**გოლები:** 0:1 კანდრევა (12), 1:1 დენისი (17-პენ.), 2:1 მარილუნგო (18), 3:1 მარილუნგო (44), 4:1 პელუზო (71).

**გაფრთხილება:** კარმონა – გუანა, გეზალი, მუტუ.

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 12-16; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 8(6)-10(3); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 24 000

### ბოლონია-რომა 0:2

**ბოლონია (4-3-2-1):** ჟილე – რაჯი, პორტანოვა, კრესპო, მორლეო – კაზარინი (79. მუდინგაი), პერესი, კონე (79. ანტონსონი) – დიამანტი, რამირესი (46. ხიმენესი) – დი ვაიო.

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – როზი, ჟუანი, ჰაინცე, ტადეი – სიმპლისიო (81. ვივიანი), დე როსი, პიანიჩი (72. გრეკო) – ტოტი, ლამელა (68. ბოიანი), ოსვალდო.

**გოლები:** 0:1 ტადეი (17), 0:2 ოსვალდო (40).

**გაფრთხილება:** დიამანტი, პერესი, კონე – როზი, ოსვალდო.

**გაძევება:** პორტანოვა (76. ბოლონია).

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 9-18; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 7(5)-16(6); **ბურთის ფლობა:** 29%-71%.

**მაყურებელი:** 23 000

### ინტერი-ლეჩე 4:1

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო – მოტა, ალვარესი, ძანეტი, ფარაონი (46. კამბიასო) – ფორლანი (46. მილიტო), პაცინი (75. ობი).

**ლეჩე (4-1-4-1):** გაბრიელი – ოდო, ფერარიო, ტომოვიჩი, კუადრადო – ობოდო (75. პასკუატო) - ბრივიო, ჯაკომაცი, ოლივერა (46. პიატი), მურიელი (54. კორვია) – დი მიკელე.

**გოლები:** 0:1 მურიელი (20), 1:1 პაცინი (34), 2:1 მილიტო (49), 3:1 კამბიასო (73), 4:1 ალვარესი (81).

**გაფრთხილება:** მაიკონი – ობოდო, პასკუატო.

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 11-6; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 19(8)-7(2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 56 000

### ლაციო-კიევო 0:0

**ლაციო (4-3-1-2):** ბიძარი – კონკო (84. კოზაკი), დიასი, ბიავა, რადუ - ცანა, ლედესმა, ლულიჩი – ერნანესი (46. გონსალესი) – სისე (64. როკი), კლოზე.

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, ცეზარი, ანდრეოლი, იოკიჩი – ბრედლი, ჰეტემაი, ლუჩანო (74. სამარკო) – თერეუ (80. მორერო) – პელისიერი, პალოსკი (71. მოსკარდელი).

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 11-9; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 7(0)-10(6); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 35 000

### ნაპოლი-ჯენოა 6:1

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – არონიკა, კანავარო (66. ფერნანდესი), კამპანიარო – მაჯო, ინლერი, გარგანო (59. ჯემაილი), ცუნიგა – პანდევი (77. ლუკარელი), ჰამშიკი – კავანი.

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – გრანკვისტი, მესტო, **კალაძე** (58. მარკიორი), დაინელი – როსი, სეიმური (50. მერკელი), ველოზო, ხორკერა – პრატო, კარაჩოლო (40. იანკოვიჩი).

**გოლები:** 1:0 კავანი (12), 2:0 ჰამშიკი (17), 3:0 კავანი (24), 3:1 ხორკერა (27), 4:1 პანდევი (45), 5:1 გარგანო (49), 6:1 ცუნიგა (80).

**გაფრთხილება:** არონიკა - გრანკვისტი.

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 9-5; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 15(9)-6(5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 45 000

### ნოვარა-პალერმო 2:2

**ნოვარა (4-3-1-2):** უიკანი – მორგანელა, პაჩი, ლუდი, ჯემიტი – პორკარი, რადოვანოვიჩი, რიგონი – ჯორჯი (52. მაძარანი) – გრანოჩე (58. მეჯორინი), რუბინო (67. მორიმოტო).

**პალერმო (4-4-1-1):** ბენუსი - მუნოზი, სილვესტრი, ჩეტო (37. ბაჩინოვიჩი), ბალცარეტი – ალვარესი (67. ბერტოლო), მილიაჩო, ბარეტო, ასკუა (46. აგუირაგარაი) – ილიჩიჩი - ბუდანი.

**გოლები:** 0:1 ლუდი (20-საკ. კარში), 0:2 ბერტოლო (74), 1:2 მაძარანი (77), 2:2 რიგონი (84).

**გაფრთხილება:** რადოვანოვიჩი, ჯემიტი – ასკუა, ბერტოლო.

**გაძევება:** ილიჩიჩი (43. პალერმო)

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 14(5)-10(2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 12 000

### პარმა-კატანია 3:3

**პარმა (4-4-2):** მირანტე – ძაკარდო (46. ფელტშერი), სანტაკროჩე, ლუკარელი, გობი – მოდესტო (84. მუსაჩი), ბიაბიანი, გალოპა (78. პერეირა), ჟადიდი – ჯოვინკო, ფლოკარი.

**კატანია (3-5-2):** ანდუხარი – მარკეზე, ბელუში, ლეგროტალიე – ისკო, შაკა (46. გომესი), ლოდი, ალმირონი, კაპუანო (59. რიკიუტი) – ბარიენტოსი (81. კატელანი), მაქსი ლოპესი.

**გოლები:** 1:0 მოდესტო (5), 1:1 ალმირონი (21), 2:1 ბიაბიანი (23), 3:1 ფლოკარი (44), 3:2 ლოდი (74-პენ.), 3:3 კატელანი (85).

**გაფრთხილება:** ლუკარელი – ლეგროტალიე, ისკო, კატელანი.

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 9(5)-13(5); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 16 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 16 | 10 | 4 | 2 | 35-16 | 34 |
| 2. იუვენტუსი | 16 | 9 | 7 | 0 | 27-11 | 34 |
| 3. უდინეზე | 16 | 9 | 5 | 2 | 20-9 | 32 |
| 4. ლაციო | 16 | 8 | 6 | 2 | 24-13 | 30 |
| 5. ინტერი | 16 | 8 | 2 | 6 | 22-19 | 26 |
| 6. ნაპოლი | 16 | 6 | 6 | 4 | 29-18 | 24 |
| 7. რომა | 16 | 7 | 3 | 6 | 21-19 | 24 |
| 8. კატანია | 16 | 5 | 7 | 4 | 20-23 | 22 |
| 9. პალერმო | 16 | 6 | 3 | 7 | 18-20 | 21 |
| 10. ჯენოა | 16 | 6 | 3 | 7 | 19-24 | 21 |
| 11. ატალანტა | 16 | 6 | 8 | 2 | 23-19 | 20 |
| 12. კიევო | 16 | 5 | 5 | 6 | 13-18 | 20 |
| 13. პარმა | 16 | 5 | 4 | 7 | 21-26 | 19 |
| 14. ფიორენტინა | 16 | 4 | 6 | 6 | 15-15 | 18 |
| 15. კალიარი | 16 | 4 | 6 | 6 | 12-17 | 18 |
| 16. სიენა | 16 | 3 | 6 | 7 | 14-16 | 15 |
| 17. ბოლონია | 16 | 4 | 3 | 9 | 14-24 | 15 |
| 18. ნოვარა | 16 | 2 | 6 | 8 | 17-29 | 12 |
| 19. ჩეზენა | 16 | 3 | 3 | 10 | 8-20 | 12 |
| 20. ლეჩე | 16 | 2 | 3 | 11 | 17-33 | 9 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 12 - დენისი (ატალანტა); 11 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 10 - დი ნატალე (უდინეზე); 9 – კლოზე (ლაციო), კავანი (ნაპოლი); 7 - ჯოვინკო (პარმა), ოსვალდო (რომა), იოვეტიჩი (ფიორენტინა).

### მომდევნო ტური

7 იანვარი: სიენა-ლაციო, ინტერი-პარმა; **8 იანვარი:** უდინეზე-ჩეზენა, ატალანტა-მილანი, ბოლონია-კატანია, კალიარი-ჯენოა, ლეჩე-იუვენტუსი, ნოვარა-ფიორენტინა, რომა-კიევო, პალერმო-ნაპოლი.



იბრა „კალიარისთან" გატანილი გოლის შემდეგ

# მილანის იოლი გამარჯვება
## და ტოსკანური ფრე

### სიენა-ფიორენტინა 0:0

### კალიარი-მილანი 0:2

**გოლები:** 0:1 პიზანო (4-საკ. კარში), 0:2 იბრაჰიმოვიჩი (60).

**მასიმილიანო ალეგრიმ** არაერთხელ დაიქადნა, რომ ახალ წელს მისი გუნდი პირველ ადგილზე შეხვდება. საამისოდ, მილანელებმა ყველაფერი გააკეთეს და „კალიარი" სარდინიაში განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხეს. „მილანმა" სრული უპირატესობით წარმართა მთელი შეხვედრა და მეტოქეს ორი უპასუხო ბურთი მიართვა. პირველი შეხვედრის სტარტზევე გავიდა და მისი ავტორი სარდინიელი მცველი **პიზანო** გახლავთ, აი, მეორე კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** შესანიშნავ სტილში შეაგდო - რთულ ვითარებაში დაიმორჩილა ბურთი და მეორე შეხებით კარის ჩარჩოში გადაგზავნა. აი, ასე მოუმთავრა „როსონერიმ" საქმე „კალიარის" და ქულათა მარაგი 34-მდე გაზარდა.

ალეგრიმ რომ თავის დროზე „კალიარიში" მუშაობით გაითქვა სახელი, გემახსოვრება, ამიტომ, „მილანის" გამარჯვება განსაკუთრებული ემოციების გარეშე აღნიშნა და პრესასთანაც მოკრძალებული კომენტარი გააკეთა: *„რთული თამაში იყო და ამას ველოდით კიდეც, რადგან „კალიარის" მისსავე მოედანზე დამარცხება ადვილი არასოდეს ყოფილა. მართალია, დიდად სანახაობრივი თამაში ვერ შევთავაზეთ მეტოქეს, მაგრამ მთლიანობაში მაინც კმაყოფილი დავრჩი - უმთავრესი მიზანი სამი ქულის მოპოვება იყო, რომელიც შევასრულეთ. ვის გამოვარჩევდი? - ზლატან იბრაჰიმოვიჩს, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია და გუნდისთვის უდიდეს ძალას წარმოადგენს. ჩვენი გეგმის მიხედვით, ფორმის პიკზე სწორედ ზამთრის შესვენების შემდეგ უნდა გავიდეთ და იმედია, ასეც იქნება".*

ალეგრის იზრა შემთხვევით არ უხსენებია, შვედმა ფორვარდმა მართლაც დიდებული შთაბეჭდილება დატოვა და პრესასთან გასაუბრების პატივი მასაც ერგო წილად - აი რა განაცხადა ზლატანმა: *„ჩვენი მისია შევასრულეთ, რამაც ძალიან გამახარა. დროა, ცოტა შევისვენოთ, შემდეგ კი საყვარელ საქმეს დავუბრუნდებით. რამდენად კმაყოფილი ვარ სეზონის პირველი ნაწილით? - მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ვგრძნობ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია. რთული სათქმელია, სად გადის ჩვენი შესაძლებლობების ზღვარი - ალბათ, თვით ცაზე".*

სამშაბათს, კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა - „სიენამ" ტოსკანურ დერბიში „ფიორენტინას" უმასპინძლა და უფრო ამბიციურ მეტოქეს უგულო ფრით გაეყარა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა მომენტები ორივე კართან მცირე რაოდენობით შეიქმნა. ბოლოს, ფლორენციული გუნდის მთავარ მწვრთნელ **დელიო როსის** მოვუსმინოთ:

*„დიდი ხანი არაა, რაც „ფიორენტინას" ჩავუდექი სათავეში და შესაბამისად, ამ ეტაპზე შეგირდებისგან მაქსიმუმს ვერ მოვითხოვ. ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით მომატებული გვაქვს, მაგრამ უბურთოდ მოძრაობა ჯერ მაინც გვიჭირს. უფრო მჭიდრო ურთიერთობა უნდა იყოს რგოლებს შორის და ამ კომპონენტზეც ინტენსიურად ვმუშაობთ. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ, მჯერა, რომ 2012 წელი ჩვენთვის წარმატებული იქნება".*

**ლაშა ნიკლაური**


უდინეზე-იუვენტუსი 0:0



● კოპა დელ რეი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები



რეალმა მოგებით დაასრულა

# მოურინიო კალეხონზე დიდ ფსონს ჩამოდის

## შაჰინი გაცოცხლდა, ვარანი ძირითადის კარზე აკაკუნებს, ხოსელუს გააქვს

**რეალი-პონფერადინა 5:1 (2:0)**

**რეალი (4-2-3-1):** ადანი (82. პაჩეკო) - ალთინტოპი, პეპე, ვარანი, კასადო (70. ნაჩო) - ხედირა, შაჰინი - კალეხონი, იოზილი, გრანერო - ბენზემა (77. ხოსელუ).

**გოლები:** 1:0 კალეხონი (25), 2:0 შაჰინი (45), 3:0 ვარანი (49), 3:1 აკორანი (54), 4:1 ხოსელუ (78), 5:1 კალეხონი (88)

**სპორტინგი-მალიორკა 0:2 (1:0)**

**სპორტინგი (4-2-3-1):** კუელიარი - ლორა, ბოტია, გალვესი, მენენდესი - ს. ალვარესი, ეგურენი (60. ნაჩო კასესი) - მორანი (57. ბარალი), კარმელო, აიოსე (71. დე ლას კუევასი) - ბილიჩი.

**მალიორკა (4-2-3-1):** კალატაიუდი - ზუივერლოონი (89. სასტრე), კრესპი, რამისი, ბიგასი (68. კასერესი) - ჟოაო ვიქტორი, მარტი - ტეხერა (81. სენდროსი), ალფარო, ნსუე - ჰემედი.

**გოლები:** 0:1 მენენდესი (18 ს.კ.), 0:2 ნსუე (69)

**ესპანიოლი-სელტა 4:2 (0:0)**

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ამატი, რ. როდრიგესი, კანალი, დიდაკ ვილა - ფორლინი, რომარიკი (81. კ. გომესი) - ს. გარსია (72. რუი ფონტე), ვერდიუ, ვეისი (57. დატოლო) - ა. ვასკესი.

**გოლები:** 1:0 ვეისი (30), 2:0 ვასკესი (48), 3:0 მალო (57 ს.კ.), 3:1 დ. როდრიგესი (62), 4:1 ს. გარსია (67), 4:2 დ. როდრიგესი (92)

**სევილია-სან როკე 2:1 (1:0)**

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კოკე, კასერესი, ესკუდე, ლუნა - მედელი, კამპანია - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი (69. დელ მორალი), არმენტეროსი - ნეგრედო (46. კანუტე).

**გოლები:** 1:0 კანუტე (52-პენ), 2:0 კანუტე (60), 2:1 ადრი (79)

ესპანეთის სამეფო თასის 1/16 ფინალის საპასუხო მატჩების უმეტესობა ნუხელ გაიმართა, თუმცა წინა დღით ოთხი მერვედფინალისტის ვინაობა შევიტყვეთ. რეალური ბრძოლა მხოლოდ ერთ წყვილში მიმდინარეობდა, სადაც პრიმერა დივიზიონის ორი წარმომადგენელი დაეჯახა ერთმანეთს. თუმცა მანამდე „სამეფო კლუბის" გავარჯიშებაზე ვთქვათ...

28 წლის **აკორან ბარერას** არასოდეს დაავიწყდება ის დღე, როცა მან „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალს" გაუტანა. მართალია, „პონფერადინას" გარემარბის გოლი ერთადერთი იყო „რეალთან" ორმატჩიან დაპირისპირებაში მისი გუნდისთვის (მადრიდელთა 7-ის საპირისპიროდ), მაგრამ, აბა, სხვას რას ელოდით? ლეონური კლუბი სეგუნდა B დივიზიონის (ანუ იერარქიით მესამე ლიგა) მე-2 ჯგუფში თამაშობს. ეს გუნდი შარშან გავარდა სეგუნდა დივიზიონიდან, სადაც ასპარეზობა (2 სეზონი) მისი ყველაზე დიდი მიღწევაა.

მართალია, **ჟოზე მოურინიომ** შერეული შემადგენლობა გამოიყვანა, მაგრამ გუნდი საქმეს სერიოზულად მიუდგა, ეს საბოლოო შედეგსაც (5:1) ეტყობა. ბრწყინვალედ ითამაშეს „რეალის" ახალწვეულებმა, ზაფხულში შემატებულმა **ხოსე კოლეხონმა, ნური შაჰინმა და რაფაელ ვარანმა.** თურქმა, როგორც იქნა, ის თამაში აჩვენა, რასაც მისგან მადრიდში ელიან და „ლოს ბლანკოსის" მაისურით პირველი ოფიციალური გოლიც გაიტანა, მცველმა ვარანმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი და ძირითადში დამკვიდრების სერიოზული განაცხადი გააკეთა, მაგრამ ყველაზე კარგად კალეხონმა ითამაშა, „ესპანიოლის" ყოფილი გარემარბი თამაშის სტილით ძალიან მოსწონს მოურინიოს. ახლა პორტუგალიელი ახალი ვარსკვლავის „გამოჩორკნით" არის დაკავებული და, ვფიქრობთ, ეს საქმე ურიგოდ არ გამოსდის. ქარზე უსწრაფესი კალეხონი ჯერ მხოლოდ 24 წლისაა და ყველაფერი წინ აქვს.

*„ვიმედოვნებდი და ველოდი, რომ ის გაიბრწყინებდა და კალეხონმაც არ დამალალატა. ძალიან მომწონს მისი თამაშის სტილი და გუნდური სულისკვეთება",* - განაცხადა მატჩის შემდეგ ჟოზე მოურინიომ, რომელმაც რამდენიმე ვარსკვლავს, მათ შორის, **კრიშტიანო რონალდოს**, დასვენების საშუალება მისცა. „რეალში" დებიუტი ჰქონდა 22 წლის მარცხენა მცველ **ხოსე კასადოს**, ის სასტარტო შემადგენლობაში იყო.

„რეალმა" შემდეგი ეტაპის საკითხი ჯერ კიდევ პირველ მატჩში გადაწყვიტა, რომელიც კალეხონისა და რონალდოს გოლებით 2:0 მოიგო. საპასუხო მატჩში კი 25-ე წუთზე გახსნა ანგარიში, **მესუთ იოზილმა** კალეხონი მოძებნა და ესპანელმაც მეტოქის კარის მარცხენა დაბალი კუთხე დალაშქრა. მეორე გოლშიც იოზილს მიუძღვის წვლილი - 45-ე წუთზე მის მოწოდებულ კუთხურს შესწვდა თავით შაჰინი.

მეორე ტაიმის დაწყებიდან 4 წუთი იყო გასული, როცა **ესტებან გრანეროს** საჯარიმო დარტყმა მეკარე **კინტანამ** მოიგერია, მაგრამ ვარანის დამატებულს ველარაფერი მოუხერხა. მალე კი ის ისტორიული გოლიც გავიდა, აკორანი მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში და **ადანს** ცაცხიათი დაბალ კუთხეში გაუტანა. ამის შემდეგ კიდევ ორი გოლი გავიდა: იოზილი-კალეხონის კომბინაცია შეცვლაზე შემოსულმა **ხოსელუმ** დააგვირგვინა, შემდეგ კი კალეხონმა დუბლი შეასრულა. „რეალი" დამსახურებულ არდადეგებზე გავიდა. ჟოზე მოურინიომ გუნდი 29 დეკემბრამდე შვებულებაში გაუშვა.

პრიმერელთა დუელში „მალიორკამ" „სპორტინგი" გამოაგდო. ეს არ იქნებოდა სენსაცია, რომ არა პირველი მატჩის შედეგი. ბალეარებზე ასტურიელებმა 1:0 მოიგეს და საპასუხო მატჩში მე-2 შემადგენლობის დაყენება გადაწყვიტეს და... დაისაჯნენ. არადა, თამაშით „სპორტინგი" სჯობდა მეტოქეს, მაგრამ, როგორც ბოლო ტურში, იღბალმა ამჯერადაც ზურგი შეაქცია **მანუელ პრესიადოს** გუნდს. მე-18 წუთზე 20 წლის **ალექს მენენდესმა** საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, ხოლო როცა „სპორტინგმა" თითქოს მოამწიფა საპასუხო გოლი, სტუმარმა **ემილიო ნსუემ** კონტრშეტევაზე გაიტანა - 0:2 და მერვედფინალში ბალეარელები გავიდნენ.

„ესპანიოლის" არგენტინელმა თავკაცმა **მაურისიო პოჩეტინიომ** „სელტას" საბრძოლო შემადგენლობა გამოუყვანა. ჯერ ერთი ვიგოელებს კარგი გუნდი ჰყავთ, რომლის მიზანი პრიმერაში დაბრუნებაა, მეორეც, პირველი შეხვედრა 0:0 დასრულდა. თუმცა საპასუხოში კატალონიელებს მაინც არ შეექმნა პრობლემები. „სელტას" ძალიან ტექნიკურმა ფორვარდმა **დავიდ როდრიგესმა** დუბლი კი შეასრულა, მაგრამ 0:0-ზე 100%-იანი შანსი რომ გამოეყენებინა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მატჩი. ისე კი სლოვაკმა **ვლადიმირ ვეისმა, ალვარო ვასკესმა** და **სერხიო გარსიამ** თითო გოლი მიითვალეს, ერთიც ავტოგოლი გავიდა და საბოლოოდ „ესპანიოლი" მერვედფინალშია - 4:2.

გაგიკვირდებათ და, **მარსელინო ტორალმა** მესამე დივიზიონში მოთამაშე „სან როკეს" თითქმის საბრძოლო შემადგენლობა გამოუყვანა. კიდევ უფრო გაგიკვირდებათ და, „სევილია" ვერაფერს უხერხებდა მეტოქეს, სანამ მოედანზე **ფრედერიკ კანუტე** არ გამოჩნდა. თუმცა ამ ყველაფერს ერთი ახსნა აქვს, „სან როკე" ანდალუსიური კლუბია, ისევე როგორც „სევილია". მოკლედ, მალელმა ფორვარდმა ერთპიროვნულად გადაწყვიტა ამ მატჩის ბედი, წყვილში გამარჯვებულის პროგნოზირება კი უკვე პირველი შეხვედრის შემდეგ შეიძლებოდა - 2:1 (3:1 ჯამში).

● ატლეტიკო

# მადრიდში სიმეონე ბრუნდება

მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა **ენრიკე სერესომ** განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუ გუნდს არგენტინელი **დიეგო სიმეონე** დაუბრუნდება. წყალი არ გაუვა - სიმეონე **გრეგორიო მანსანოს** სავარაუდო მემკვიდრეთა შორის აშკარა ფავორიტია. სერესოს განცხადებაც ამის დასტურია, ისევე როგორც, სიმეონეს საქციელი - სამშაბათს ის არგენტინული „რასინგის" მწვრთნელობიდან გადადგა. ამასობაში, მანსანო ჯერ კიდევ ლიზიანდება, როცა ამბობენ, რომ მისი დღეები „ატლეტიკოში" დათვლილია, მაგრამ 55 წლის სპეციალისტი რეალობას ვერსად წაუვა.

„მარკა" იმასაც წერს, რომ სიმეონესთან შეთანხმება მიღწეულია და ოფიციალურად მაშინ გაცხადდება, როცა მანსანოს კარზე მიუთითებენ. ეს შეიძლება უახლოეს საათებშიც კი მოხდეს, ყოველ შემთხვევაში, ორშაბათს არ გადასცდება.



სერესო და სიმეონე ისევ ერთად?

● ბარსელონა

# ბრწყინვალე საჩუქარი

„ბარსელონას" ფეხბურთელები, კაპიტანი **კარლეს პუიოლი, ჟერარდ პიკე, სესკ ფაბრეგასი** და **ალბერტ ფონტასი** ჰოსპიტალში ესტუმრნენ ოპერაციაგადატანილ **დავიდ ვილიას** და ბრწყინვალე საჩუქარიც მიუტანეს - მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგებისთვის კუთვნილი თასი. როცა ვილიამ წვივი მოიტეხა და სამშობლოში დააბრუნეს, მან თანაგუნდელებს სთხოვა, თასის გარეშე არ დაბრუნდეთო და მათაც პირობა შეუსრულეს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ელ გუახე თანაგუნდელებმა მოინახულეს





ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა
მედცენტრი Shine
გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?



გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე
მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში
დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330
მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ინტერვიუ ირაკლი ცირეკიძესთან

# ცირეკიძეს ევროპა აკლია

ქართველი ძიუდოისტები დაბრუნდნენ აზიიდან, სადაც ორ ჯგუფად იყვნენ წასულები - მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ლომერ ჟორჟოლიანი** (ორივე - 100) ოლიმპიური გუნდის ექიმ **ზურაბ კახაბრიშვილთან** ერთად, რომელიც ამჯერად მწვრთნელის ამპლუაში მოგვევლინა, ჩინეთში გამოვიდნენ „დიდ პრიზზე", ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** (90), ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და ახალგაზრდებში ევროპის მესამე პრიზიორი **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) კი ნაკრების მთავარ მწვრთნელ **პეტერ ზაიზენბახერთან** ერთად იაპონიაში იყვნენ შეკრებაზე. იქვე **ამირან პაპინაშვილი** (60) და **ლაშა გუჯეჯიანიც** (+100) ვარჯიშობდნენ, მაგრამ ტრავმების გამო ადრე მოუხდათ სამშობლოში დაბრუნება. თუმცა ზაიზენბახერი თბილისში არ ჩამოსულა - ტოკიოდან ავსტრიაში გაემგზავრა, სადაც ნაახალწლევს ნაკრებიც გადაფრინდება და 8-20 იანვარს მიტერშილში გაივლის შეკრებას. სპორტსმენებს ამ შეკრების ჩატარება ბაკურიანში სურდათ, მაგრამ მწვრთნელის განზრახვამ გადასძალა.

გუშინ ირაკლი ცირეკიძეს დავუკავშირდით, რომლის ამბავიც ყველაზე მეტად გვაინტერესებდა. მოგეხსენებათ, ის ჩინეთამდე ტოკიოშიც გამოვიდა ძიგორო კანოს სახელობის „დიდ მუზარადზე", სადაც ბრინჯაოს მედალი კი მოიპოვა და პროგრამა-მინიმუმი ანუ რეიტინგის 16 საუკეთესოში შესვლა გაინაღდა, მაგრამ ტრავმაც მიიღო და ჩინეთში მისი ჭიდაობა საფრთხის ქვეშ დადგა. განვლილი ტურნირების გარდა, მას სამომავლო გეგმებზეც დავეკითხეთ. იმედია, წინამდებარე ინტერვიუში მკითხველი ბევრ საინტერესოს ამოიკითხავს, მაგრამ ჩვენ ერთზე გავამახვილებთ ყურადღებას - ცირეკიძე იაპონიაში მასპინძლებმა მიიწვიეს, ჩინეთში კი საკუთარი ხარჯით გადავიდა. როგორც თავად გვითხრა, იაპონელებს რომც არ მიეწვიათ, ის მაინც წავიდოდა იქ საკუთარი ფულით, რადგან მის რეიტინგს ასე სჭირდებოდა. დაგვეთანხმებით, ქართული მენტალიტეტისთვის განსხვავებული რეალობაა, როცა სპორტსმენი საკუთარი ინტერესისთვის ფულს ხარჯავს და მხოლოდ სახელმწიფოზე ან სხვის ჯიბეზე არაა დამოკიდებული. უცხოეთში ეს არავის უკვირს, ვინაიდან საქმისადმი პროფესიული მიდგომაა, თუმცა საქართველოში სხვაგვარად ხდება. ეტყობა, ღარიბი ქვეყნის შვილების ბედი ასეთია - ჩვენთან თავისი საჭიროებისთვის ფულის ხარჯვა ანუ საკუთარ თავზე მუშაობა ყველას ეძნელება, მასაჟისტ-ფსიქოლოგსა და დამხმარე შტაბს რომ თავი დავანებოთ, უბრალო წამლებსა და გამოკვლევებზეც კი ფედერაციას შეჰყურებენ. ცხადია, ეს ფედერაციის საქმეა და უპირველესად, მათვე ევალებათ, მაგრამ უცხოეთში ტიტულოვანი სპორტსმენები არცთუ იშვიათად, პირადადაც იწვევენ დამხმარეებს.

**- აზიურ ტურნირებზე რა იყო თქვენი მთავარი ამოცანა და რამდენად ხართ კმაყოფილი მიღწეულით?**

- პროგრამა-მინიმუმი მასტერსზე მოხვედრა იყო, რომელიც საგაისო სეზონის პირველი შეჯიბრებაა. თან სარეიტინგოდაც ძალიან ბევრ ქულას იძლევა და იქ მოხვედრის დიდი სურვილი მქონდა. აი, კანოს ტურნირის მოგება კი ყველასთვის სასიამოვნოა და ამაზე ლაპარაკი არც ღირს. იაპონიაში მასპინძლებმა მიმიწვიეს, თუმცა ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით შევიტყვე, მაგრამ იმ ორ ტურნირში გამოსვლას მაინც ვგეგმავდი. მზად ვიყავი, საკუთარი ხარჯით წავსულიყავი აზიაში, რადგან ერთმანეთის მიყოლებით ტარდებოდა ერთ კვირაში და არც ბევრი გადაფრენა მომიწევდა.

**- კანოს ტურნირის მოგება თითქოს სავსებით რეალური იყო, მაგრამ ტრავმამ შეგიშალათ ხელი. ძველი გაგიმიზეზდათ თუ ახალი ტრავმა მიიღეთ?**



ირაკლი ცირეკიძე

- არა, ახალი ტრავმაა, რომელიც მეორე შეხვედრაში მივიღე იაპონელ ტაცუკი მასუბუშისთან. როგორც ექიმები ამბობენ, ხრტილი ხრტილზე გადააჯდა, მაგრამ მომდევნო ორთაბრძოლამაც მალევე მომიწია უზბეკ რამზიდინ საიდოვთან და რადგან გახურებული ვიყავი, ტკივილი იმდენად არ მიგრძვნია, მაინც შევძელი ჭიდაობაც და მოგებაც. აი, მერე კი ნახევარფინალამდე დიდი დრო იყო და როცა დავისვენე, იმდენად გამიჭირდა, მივხვდი, რუს სერგეი სამოილოვიჩთან საჭიდაოდ გასვლას აზრი არ ჰქონდა.

**- ამ ეტაპზე როგორ გრძნობთ თავს, მოძრაობთ თავისუფლად?**

- ტრავმა ჯერ კიდევ მაწუხებს, მაგრამ არა მგონია, იმდენად სერიოზული იყოს, მასტერსზე გამოსვლაში ხელი შემიშალოს. იმედია, მომავალი კვირიდან ვარჯიშს დავიწყებ. არც იმდენად სერიოზული მდგომარეობა მგონია, უახლოეს ტურნირზე გამოსვლაში დამაბრკოლოს.

**- დღემდე თუ ვერ ახერხებთ ვარჯიშს, მაშინ ჩინეთში ჭიდაობა დიდი რისკი არ იყო?**

- იმ ტურნირამდე უფრო მოწინააღმდეგეებს ვაკვირდებოდი, ვის შეეძლო გადასწრება და ვისგან მელოდა საფრთხე. ამიტომ თავი დავიზღვიე და ავიწონე, თუმცა შუალედში არ მივარჯიშია. წონაც შიმშილის ხარჯზე დავიკელი, რადგან ვერც ტატამზე ვვარჯიშობდი, ვერც - დავრბოდი და საერთოდ ვერ ვემზადებოდი. თან იაპონიაში მარტო ვიყავი, ჩინეთში კი გუნდის ექიმი ზურაბ კახაბრიშვილიც ჩამოვიდა და მიმკურნალა. ამ ნემსების და გამაყუჩებლების ხარჯზე შევძელი იმ ორი შეხვედრის ჩატარებაც.

**- იაპონიაში შეკრებაზე მყოფ ჩვენს გუნდთან არ ყოფილხართ, ვინ გიმკურნალათ?**

- ცალკე ვიყავი, თუმცა ექიმი არც ჩვენს გუნდს ახლდა. ისინი ტოკიოდან დაახლოებით 1 საათის სავალზე იყვნენ, მარტო შეჯიბრებისას ჩამოვიდნენ და მერე ერთობლივ წვრთნებზე დადიოდნენ. ტოკიოში ისრაელის გუნდის ექიმმა მიმკურნალა. მოგეხსენებათ, იქაურ ნაკრებში იოსებ ფალელაშვილი გამოდის და იმათმა ექიმმა ჩამიტარა აუცილებელი სამედიცინო დახმარება.

**- ისევ ჩინეთის ტურნირს დავუბრუნდეთ, რომლის შედეგითაც, 16-ში მოხვედრის მიუხედავად, კმაყოფილი არ იქნებით. რეიტინგში თქვენი უშუალო კონკურენტები ადრევე რომ არ გავარდნილიყვნენ, შეიძლებოდა იქ სხვანაირი შედეგი მიგველო?**

- წაგებით კმაყოფილი ვერ იქნები კაცი, მაგრამ კარგი ის იყო, რომ ვერც სხვები წავიდნენ რეიტინგში წინ. საშიშროება რომ ყოფილიყო, იქნებ, უფრო მომენდომებინა, მაგრამ იმ მომენტში არ გავრისკე, ისედაც ერთიანად დაბინტული ვიყავი.

**- ამ ორ ტურნირზე წონის მთელი ელიტა გამოვიდა. ალბათ, მათაც დააკვირდებოდით. საოლიმპიადო კონკურენციაზე რას იტყვით? ვფიქრობთ, უკვე ახალი სახეების გამოჩენა აღარაა მოსალოდნელი და ისევ ნაცნობ მეტოქეებთან მოგიწევთ შეხვედრები. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია რეიტინგში წინ წაწევა და რვა საუკეთესოს შორის მოხვედრა? ამ შემთხვევაში, ორივეზე გეკითხებით - თქვენზეც და ჟორჟოლიანზეც.**

- რა ტურნირებზეც უნდა გამოვიდეთ - მასტერსი, პარიზი და დიუსელდორფი, მერე კი ევროპის ჩემპიონატი, თავისუფლად შესაძლებელია ხუთეულში მოხვედრაც და უფრო წინ წაწევაც კი. თუ ვივარჯიშებთ და მოვემზადებით, შეუძლებელი მართლა არაფერია.

**- სავარჯიშო სისტემაზეც დაგეკითხებით - შეიცვალა რამე მსოფლიოს პირველობის შემდეგ, თუ იმავე დატვირთვით აგრძელებთ მზადებას?**

- ჯერჯერობით ახალი არაფერია, ცვლილება მინიმალურია, რაიმე სერიოზული კორექტივები არ მომხდარა, ხოლო გაისად რა იქნება, ვერ გეტყვით, არ მინახავს მოსამზადებელი გეგმა.

**- თქვენი აზრით, კიდევ ხომ არ განმეორდება იგივე პროცესები, რამაც მსოფლიოს პირველობაზე მარცხი გამოიწვია?**

- წინასწარ რა გითხრათ... მეგონა, წლის ბოლოს ბაკურიანში საბაზო შეკრებას გავივლიდით, რაც ძალიან წაადგებოდათ ბიჭებს თბილისის ტურნირის თუ სხვა დაგეგმილი შეჯიბრებებისთვის. ამ შეკრებას სულ გავდიოდით და კარგად მოქმედებდა გუნდზე. არის სხვა ნიუანსებიც, თუმცა ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა.

**- ბაკურიანზე ამბობენ, რომ იქ ვარჯიში მოძველებული, კომუნისტური ტრადიციაა და ევროპელები უამისოდაც აღწევენ წარმატებებს. თქვენი აზრი ამ მოსაზრებაზე?**

- ევროპელებს ბაკურიანი თუ არა, ალპები აქვთ, თუმცა მაგის თქმა და ბაკურიანის უარყოფა თუნდაც მხოლოდ ბოლო წლების შედეგებიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება?! უცხოეთში ერთობლივ შეკრებებზე თუ არ ვრჩებოდით, ყოველთვის ბორჯომ-ბაკურიანში ვემზადებოდით და ძალიან კარგი წარმატებები გვქონდა. მგონი, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რამდენად წაადგება სპორტსმენს იქ ვარჯიში, ვინაიდან მუდამ გამორჩეულ შედეგებს ვაღწევდით. მართალია, ბორჯომ-ბაკურიანში ჰაერი და ბუნება კომუნისტების შემდეგ არ შეცვლილა, მაგრამ რატომ უნდა იყოს მოძველებული, ვერ ვხვდები. ვფიქრობ, ევროპაში უფრო ერთობლივ შეკრებებზე უნდა ჩავიდეთ, თორემ, არა მგონია, სავარჯიშოდ ამაზე უკეთესი ბუნებრივი პირობები იყოს.

**- ზემოთ უახლოესი მოსამზადებელი პროგრამაც დაასახელეთ, სადაც მასტერსის, პარიზისა და დიუსელდორფის შეჯიბრებებთან ერთად ევროპის პირველობაც ახსენეთ. მართლა გეგმავთ იქ გამოსვლას, თუ ოლიმპიადისთვის უკეთ მოსამზადებლად ტაქტიკური მოსაზრებებით გამოტოვებთ მას?**

- ევროპის ჩემპიონატზე ყველა ვარიანტში ვიჭიდავებ თუნდაც იმიტომ, რომ ეს ტურნირი ჯერ არ მომიგია. წინასწარ ვერ იტყვი, იქ გამოსვლა ან გამოუსვლელობა როგორ იმოქმედებს საოლიმპიადო პერსპექტივაზე. მათ შორის საკმაო შუალედიცაა და, ალბათ, გეგმაც ისეთი იქნება, რომ ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან. პირადად მე რაც შემეხება, ჩვეულებრივად გუნდთან ერთად ვივარჯიშებ, ინდივიდუალურ მზადებას არ ვგეგმავ.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# ორი ტურის დე...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირზე უმაღლესი ეშელონის 5 საგზურის მაძიებელთა წრე თანდათან ვიწროვდება. გუშინ მეწინავეთა 7 პარტიიდან 4 შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ დავით ლომსაძე - ზურაბ ჯავახაძე, გაიოზ ნიგალიძე - ივერი ჭილლაძე, შოთა აზალაძე - ბაჩანა მორჩიაშვილი, ივანე სიფრაშვილი - ირაკლი ჯანიაშვილი. გიგა ყუფარაძემ, რომელიც შარშანდელი ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალისტია, შავი ფიგურებით მიხეილ ჭიპაშვილს სძლია. ასევე, წარმატებას მიაღწიეს ზვიად ფაციამ და გიორგი სიბაშვილმა, რომლებმაც, შესაბამისად, ნიკა ვოლკოვსა და გიორგი ხელაიას აჯობეს.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 5,5-5,5 ქულით **ყუფარაძე, ჯავახაძე** და **ლომსაძე** დაწინაურდნენ. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს ფაციამ, მორჩიაშვილმა, სიბაშვილმა, ჭილლაძემ, აზალაძემ და ნიგალიძემ. ექვს მოჭადრაკეს 4,5-4,5 ქულა აქვს.

მე-8 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ყუფარაძე - ლომსაძე, ჯავახაძე - ნიგალიძე, ფაცია - აზალაძე, მორჩიაშვილი - ჭილოლაძე, სიბაშვილი - ბერაძე, გუგულაშვილი - ჭიპაშვილი, სიფრაშვილი - ვოლკოვი, მახარაძე - მანაშვილი.

ვაჟა დანელია

ავტორის ფოტო



# რუსებთან ზავმა წინ ვერ წაგვწია

საქართველოს და რუსეთის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდების დაპირისპირება ბოლო წლებში სულ უფრო პრინციპულ ხასიათს იძენს, ამიტომ გულშემატკივართა დიდ ინტერესსაც იწვევს. 2009 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენებმა ჩრდილოელ მეზობლებს სძლიეს, სამაგიეროდ, წლეულს რუსებმა მოგვიგეს - 2,5:1,5. წინა ორ მსოფლიოს ჩემპიონატშიც ქართველები დამარცხდნენ: ეკატერინბურგში 1:3, ნინგბოში - 1,5:2,5. ამიტომ გუშინ თურქულ მარდინში ჩვენი მანდილოსნები რევანშისთვის იყვნენ განწყობილი, თუმცა ორთაბრძოლები ისე წარიმართა, რომ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია და მეტოქეები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. ასეთმა შედეგმა მე-4 ადგილზე დაგვტოვა. სამაგიეროდ, ისევ იყოჩაღეს ჩინელებმა და ინდოელებმა, რომლებმაც მოწინააღმდეგეები იოლად დაამარცხეს და მოწინავე პოზიციები განიმტკიცეს.

**მე-4 ტურის შედეგები**

**საქართველო - რუსეთი 2:2** (დაზავდნენ: **ნანა ძაგნიძე** - ნადეჟდა კოსინცევა, **ლელა ჯავახიშვილი** - ტატიანა კოსინცევა, **ბელა ხოტენაშვილი** - ალექსანდრა კოსტენიუკი, **ნინო ხურციძე** - ვალენტინა გუნინა), **უკრაინა - საბერძნეთი 3,5:0,5** (მარია მუზიჩუკი - ელენა დემბო 1:0, ინა გაპონენკო - მარინა მაკროპულუ 0,5:0,5, ნატალია ჟუკოვა - ეკატერინი პავლიდუ 1:0, ტატიანა ვასილევიჩი - ზოი იორდანიდუ 1:0), **ჩინეთი - ვიეტნამი 3:1** (ჰოუ იფანი - ნგუენ პჩამ ლე ტაო 0,5:0,5, ცზიუ ვენძიუნი - ჰოანგ თი ბაო თრამი 0,5:0,5, ჟაო სიუე -ნგუენ თი თან ანი 1:0, თან ჟონი - ჰოანგ თი ნჰუ ი 1:0), **ინდოეთი - სომხეთი 3,5:0,5** (ჰამფი კონერუ - ელინა დანიელიანი 1:0, ჰარიკა დრონავალი - ლილით მკრტიჩიანი 0,5:0,5, ტანია საჩდევი - ლილით გალოიანი 1:0, სვამინათან სოუამია - ნელი აგინიანი 1:0), **თურქეთი - სამხრეთ აფრიკა 3:1** (ბეთულ ილდიზი - სესილ ვან დერ მერვე 1:0, კუბრა ოზთურქი - ანზელ სოლომონსი 0,5:0,5, კარდელენ კემჩანი - დენის ფრიკი 1:0, იისიმ პათელი - ლორენ ვან ნიეკერი 0,5:0,5).

**ოთხი ტურის შემდეგ:** ჩინეთი-8 (13,5), ინდოეთი-7 (13), რუსეთი-6 (9,5), საქართველო-5 (9,5), ვიეტნამი-4 (8), თურქეთი-4 (7,5), უკრაინა-3 (8), სომხეთი-2 (6), საბერძნეთი-1 (4), სამხრეთ აფრიკა-0 (1).

**დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: საბერძნეთი-საქართველო,** რუსეთი-ჩინეთი, ვიეტნამი-ინდოეთი, სომხეთი-თურქეთი, სამხრეთ აფრიკა-უკრაინა.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# პირველისთვის კარგია



21 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** (345) 7-თვიანი პაუზის შემდეგ პირველად იასპარეზა. ჩვენი თანამემამულე ზურგის ტრავმის გამო ვერ თამაშობდა, დაბრუნებით კი თურქეთის დედაქალაქ ანკარაში დაბრუნდა, 50-ათასიან ტურნირში. კალაშნიკოვამ საკვალიფიკაციო ბადე დაძლია და ორ თანამემამულესთან ერთად ძირითადში გააგრძელა ბრძოლა, მაგრამ პირველი ეტაპი მხოლოდ მან გადალახა. ოქსანამ ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, მე-4 ნომრად განთესილი რუსი **ნინა ბრატჩიკოვა** (145) დაამარცხა - 7:5, 4:6, 6:4. მერვედფინალში ჩვენებურის მეტოქე ლუქსემბურგელი **ანე კრემერი** (251) იყო, მსოფლიოს ყოფილი მე-18 ჩოგანი. სამწუხაროდ, ამ ეტაპის გადალახვა კალაშნიკოვამ ველარ შეძლო - 2:6, 3:6. დიდი ხნის პაუზის შემდეგ საკმაოდ ნორმალური დონის ტურნირში 4 შეხვედრის მოგება იმედისმომცემია. კალაშნიკოვამ ანკარაში 16 ქულას მოუყარა თავი და რეიტინგშიც გვარიანად დაწინაურდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლელოზე
ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

## ქართული სპორტი

ქართულ-აფხაზური სპორტი

# სამბო

სამბო საბჭოთა პერიოდში შექმნილი სპორტის სახეობაა, რომელსაც საფუძვლად დაედო საბჭოთა რესპუბლიკებში ოდითგან გავრცელებული ჭიდაობის ეროვნული სახეობები. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართულ ჭიდაობაზე, რომლის ილეთები ყველაზე უხვად შევიდა სამბოს საჭიდაო არსენალში.

საქართველოში სამბოს განვითარების პირველი ნაბიჯები გასული საუკუნის 30-იან წლებში გადაიდგა თბილისში, შემდეგ ქუთაისში, გორში, საგარეჯოსა და ქუთაისში. აფხაზეთში სამბოს დანერგვის ხელმძღვანელობა, როგორც მწვრთნელს, დაევალა გამოცდილ სპეციალისტს **აკაკი ნინიაშვილს**, რომელიც მთელი ოთხი წლით მიავლინეს სოხუმში.

1950-იანი წლებიდან მოყოლებული აფხაზეთის სამბისტები წარმატებით გამოდიოდნენ როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ისე საქართველოს, საკავშირო თუ სხვა ტურნირებში. განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავის სოხუმელებმა **ზაქრო ხაბიშვილმა** (1961 წ; აქ და ყველგან ფრჩხილებში მინიშნებულია სპორტის ოსტატის წოდების მინიჭების წელი), **რევაზ ჩოგლიძემ** (1973), **როლანდ მანსურაძემ, უჩა ზაქარაიამ, ვლადიმერ კუციკმა, დიმიტრი არქანიამ** (ოთხივე-1974), **ვიქტორ პესოჩინსკიმ** (1975 წ.), **ვლადიმერ კამხაძემ, კვირია არაბულმა** (ორივე - 1976), **ნუგზარ უბილავამ, სერგეი ტერნოვიხმა** (ორივე - 1977), **მურამ კაჭარავამ, სერგო ბენდელიანმა** (ორივე - 1978). ტერნოვიხი გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი საქართველოს ნაკრებში, **ერეკლე მარტიროსიანმა, ბესიკ მოდებაძემ** და **არამ აკოპიანმა** 1990 წელს საბჭოთა კავშირის პირველობა მოიგეს ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ჩემპიონის რანგში შეირაცხებული ძალების ჩემპიონობა მოიპოვა **ზურაბ გობეჟიშვილმა**. პირადი სპორტული ბიოგრაფია საბჭოთა კავშირის მრავალზის პრიზიორობით გააფორმა **რობერტ ჯლამაძემ**. აფხაზეთიდან საქართველოს VII სპარტაკიადის პრიზიორები არიან **ივან ზალილოვი, ბრონისლავ გასილიევი** და **ჯემალ ტაბატაძე**.




რუბრიკას უძღვება
**ალექსანდრე ჯინორიძე**

# ბასკები თბილისში

**ლანგარა, ძმები რეგეირიები, გოროსტიგა, ალონსო, ბლასკო...** იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათმა ვიზიტმა თბილისში, რომ დღესაც სტუმართმოყვარე ფეხბურთის გულშემატკივარი ყოველთვის მოკრძალებით იხსენებს ჩვენი მონათესავე ერის ვირტუოზებს, რომლებიც ბასკეთის ნაკრების შემადგენლობაში, შორეული პირენეებიდან გვეწვივნენ იმ საშინელ 1937 წელს. მათმა თამაშმა იმდენად მოხიბლა ყველა, რომ მრავალი ათეული წლის შემდეგაც, ხშირად გაიგონებდით სტადიონზე, როგორ ითამაშებდნენ თავით ბასკებივით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბასკებმა თბილისში ორი მატჩი ჩაატარეს - „დინამოსთან" და ქვეყნის ნაკრებთან, საქართველოს ნაკრებთან. მართალია საბჭოთა საქართველოს, მაგრამ მაინც ნაკრებთან. საოცარია, მაგრამ ფაქტია - მათ ეცვათ ზუსტად იმ ფრის მაისურები, რა ფერისაც იყო 16 წლის წინ ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშა! უაღრესად დასანანია, რომ მაშ-ითეობა კინოფირმა ვერ შემოგვინახა, სამაგიეროდ დარჩა მეტრაჟით მოკლე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტური ფილმი „ბასკები თბილისში", რომელიც ზუსტად ასახავს იმ ატმოსფეროს, სტადიონზე რომ სუფევდა - ჩამოსულ ოსტატებს ხომ ჩვენი, შემდგომში ლეგენდად ქცეული ფეხბურთელები ეპაექრებოდნენ, და საკმაოდ ღირსეულადაც. ჩვენ, მაყურებლებმა კი, მადლობა უნდა ვუთხრათ სურათის შემქმნელებს რეჟისორ **ა. დანელიანს**, ოპერატორებს **ნ. ნაგორნის, ა. სემიონოვსა** და **ბ. კრეპსს**.

სუმო

# კოკაი ისევ გავარდა

. როგორც მოსალოდნელი იყო, სუმოს ახალ რეიტინგ-ლისტში (ბანძუკე) ქართველებმა მნიშვნელოვანი უკუსვლა განიცადეს. ყველაზე ცუდად კი საქმე ქართული სუმოს პიონერ **ლევან ცაგურიას (კოკაი)** წაუვიდა. „შავმა ზღვამ" ნოემბრის ბაშოზე 15-დან 14 ორთაბრძოლა წააგო და ის ელიტიდან ჩამოაქვეითეს. კარიერაში მეორედ ქართველი რანგით მე-2 დივიზიონში გავარდა, სადაც ძურიოს მე-4 ნომერი იქნება.

მე-2 მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირობამდე ჩამოაქვეითეს, ხოლო **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** დღეიდან დასავლეთის მე-10 მაეგაშირაა (მე-3 იყო). მოკლედ, იანვრის სუპერტურნირზე, რომელიც ტოკიოში 8 იანვარს დაიწყება, ქართველებს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუწევთ უძლიერესებთან შერკინება, თუ ბაშოს ორ მესამედს ლიდერთა შორის გაივლიან.

სუმოში კვლავ ერთი დიდი ჩემპიონია (იოკოძუნა) - მონღოლი **ჰაკუჰო**, ხოლო ჩემპიონების (ოძეკი) რიცხვი ხუთამდე გაიზარდა, **ბარუტოს, კოტოშოგიკუს, კოტოოშუს** და **ჰარუმაფუჯის კისენოსატო** დაემატა. სეკივაკე ორია - **კაკურიუ** და **ტოიონოშიმა**, კომუსუბის ტიტული მიიღო ყოფილმა ოძეკი **მიაბიამამ**, ხოლო მეორე ამ რანგში დებიუტანტია - **ვაკაკოიუ**. უმაღლეს დივიზიონში 4 სუმოისტის დებიუტი შედგება, ესენია: **ჩიონოკუნი, ტენკაიჰო, კიოკოშუჰო** და **ნინოუმი**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლევან ცაგურია (კოკაი)

## ქართული სპორტის ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# დავით გობეჯიშვილი



დაიბადა 03.01.1963, ხურუთი, ონი. თავისუფალი ჭიდაობა (130 კგ). XXIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1988, სეული), XXV ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (1992, ბარსელონა). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1985, 90) და მეორე პრიზიორი (1986), მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელი (1986, 87, 88), ევროპის ჩემპიონი (1985), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1990), სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 86, 88), ორგზის მეორე (1987, 89) და მესამე პრიზიორი (1990), დსთ-ის ჩემპიონი (1992). საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1985, 90). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (1994-2000), საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (2002-04). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

სათავეები

# ბეისბოლი

ბეისბოლი (ინგლ. Baseball - Base ბაზა, Ball ბურთი). აშშ-სა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში ყველაზე პოპულარული გუნდური თამაში ტაფელითა და ბურთით.

ბეისბოლის წინაპრად XVII-XVIII საუკუნეებში ინგლისურ სოფლებსა და საძოვრებზე გავრცელებული სხვადასხვა თამაში ითვლება. თანამედროვე ბეისბოლის სამშობლოდ ამერიკაა მიჩნეული.



ევროპის ქვეყნებში ბეისბოლმა ჯერჯერობით მხოლოდ სამოყვარულო დონეზე მოიკიდა ფეხი. ჰოლანდიამ და ევროპის პირველმა ჩემპიონმა იტალიამ სამოყვარულო ბეისბოლის მსოფლიოს ჩემპიონატში პირველად 1970 წელს ითამაშეს.

ბეისბოლი შვიდჯერ იყო წარდგენილი ოლიმპიადებზე. მაგრამ სოკმა მხოლოდ 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანა. საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა 1938 წელს ლონდონში. აერთიანებს 113 ქვეყნის ფედერაციას და 5 კონფედერაციას.

ევროპის ბეისბოლის კონფედერაცია დაარსდა 1953 წლის 28 აპრილს პარიზში (საფრანგეთი). აერთიანებს 37 ქვეყნის ფედერაციას. **ევროპის ჩემპიონატი იმართება 1954 წლიდან; მსოფლიოს ჩემპიონატი - 1938-იდან.**

საქართველოში ბეისბოლის ისტორია 1985 წლიდან იწყება. პირველი სპორტის ამ სახეობით დაინტერესდა **გელა ჩიხრაძე,** სპორტის ოსტატი ხმლით ფარიკაობაში. იგი გაეცნო ბეისბოლის წესებს, შეკრიბა ენთუზიასტთა მცირე ჯგუფი და მათთან ერთად ვარჯიშს შეუდგა. 1986 წელს იმოგზაურა კუბაში, საიდანაც მეთოდური ლიტერატურა და სპორტული ინვენტარი ჩამოიტანა. იმავე წელს დაფუძნდა საქართველოს ბეისბოლის ფედერაცია და შეიქმნა ბეისბოლისტთა პირველი სპორტული კლუბი „ივერია", 1989 წელს - „მერანი". 1988 წელს გაიხსნა ბავშვთა სპორტული სკოლა. ჭაბუკთა და ახალგაზრდულმა გუნდებმა არაერთი წარმატება მოიპოვეს საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე.

**საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაცია**

დაფუძნდა 1991 წელს

1992 წლიდან საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ბეისბოლის კონფედერაციის წევრია.

პრეზიდენტი: რამაზ გოგლიძე (1991 წლიდან).

იყო ასეთი შემთხვევა...

# ვლადიმერ (სიომა) ბარქაია იგონებს

ერთ თამაშზე (ორი წლის წინათ) ბილეთი ვერ ავიღე (ვერ მოვასწარი). არადა, გულით მინდოდა ჩვენი ახალი თაობა მენახა სტადიონზე ძალიან კარგ მატჩში... არ შემიშვეს სტადიონზე „კარისკაცებმა".

- მე ბარქაია ვარ, სიომა-მეთქი.

- მერე რაო - ერთმა მითხრა - მცხეთის გუბერნატორიც რომ იყო, ბილეთი არ გაქვს და ვერ შეგიშვებო. აამენოს ღმერთმა, ჩემმა მეზობელმა მარკეტის პატრონმა უთხრა - გამოუშვით - ჩემთანააო და... შემიშვეს.



დარწმუნებული ვარ, არც იმან იცოდა, ვინ ვიყავი. ალბათ შევეცოდე...

თარიღი

## 22 - 28 დეკემბერი

**22. 1949 წ.** დაიბადა **ვახტანგ ქორიძე** - ფეხბურთი.

**22. 1992 წ.** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა კვიპროსში ამავე ქვეყნის ნაკრებთან მატჩი 0:1 წააგო.

**23-23. 2010 წ.** თბილისში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

**24. 1991 წ.** დაიბადა **კოტე ვახტანგიშვილი** - სამთოთხილამურობა.

**23. 2010.** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენად მორაგბე **დავით ზირაქაშვილი** დაასახელა.

**24. 2010 წ.** ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის ფალავანი **ადამ ოქრუაშვილი** გახდა.

**25. 1945 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა ამ დღეს რუმინულ ტურნეში ბოლო მატჩი ჩაატარეს და 5:0 მოუგეს ქ. ტიშომირის გუნდს.

**25. 1951 წ.** დაიბადა **დავით კვაჭაძე** - კრივი. დაბადებიდან 60 წელი.

**26. 1940 წ.** დაიბადა **ვლადიმერ რუბაშვილი** - თავ. ჭიდაობა. დაიღუპა 1964 წელს.

**26. 1954 წ.** დაიბადა **ვახტანგ კოპალეიშვილი** - ფეხბურთი.

**26. 1958 წ.** დაიბადა **შოთა ხაბარელი** - ძიუდო.

**27. 1912 წ.** დაიბადა **ნესტორ ჩხატარაშვილი** - ფეხბურთი, მწვრთნელი, მსაჯი. გარდაიცვალა 2005 წელს.

**27. 1952 წ.** დაიბადა **ამბერკი ტაბიძე** - ხელბურთი.

**28. 2010 წ.** გამოცხადდა, რომ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წლის რჩეულ სპორტსმენებს არ გამოავლენდა, რადგან ათლეტები 2010 წელს მაღალი შედეგებით არ გამოირჩეოდნენ.

ვიქტორინა

**1. რომელი ქართველი კალათბურთელი შედიოდა 2004 წელს საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ლეგიონერთა ხუთეულში?**

ა - ვლადიმერ სტეფანია
ბ - ვახტანგ ნაცვლიშვილი
გ - ნიკოლოზ ცქიტიშვილი

**2. მანუჩარ მაჩაიძემ მხოლოდ 2 წელიწადი იმუშავა მთავარ მწვრთნელად. რომელ საფეხბურთო გუნდში?**

ა - ტაშკენტის „ფახთაქორში"
ბ - თბილისის „დინამოში"
გ - თბილისის „ლოკომოტივში"

**3. რა არის მენჩურუა?**

ა - ქართული ხალხური საბავშვო თამაშობა
ბ - სამეგრელოში ტრადიციული ასპარეზობა წყალში
გ - ძველკოლხური ცურვის ყაიდა

**4. რომელი ქართველი მსაჯი დასახელდა ექვსჯერ ფეხბურთში საბჭოთა კავშირის 10 საუკეთესო არბიტრს შორის?**

ა - გიორგი ბაქანიძე
ბ - ილია ბოჭორაძე
გ - მევლუდ მიმინოშვილი

**5. საქართველოდან ვის აქვს ყველაზე მეტჯერ მოპოვებული ევროპის ჩემპიონის ტიტული?**

ა - ალექსანდრე მეტრეველს (ჩოგბურთი)
ბ - ერეკლე გურჩიანს (მკლავჭიდი)
გ - ზაურ ცხადაძეს (მკლავჭიდი)

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ბ, 4 - გ, 5 - ა.

პირველი. პირველმა, პირველად...

**პირველი** ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც ევროპის საკლუბო ტურნირებში 100 მატჩი ჩაატარა, არის **კახა კალაძე**. საიუბილეო მეასე მატჩში მან 2007 წელს ითამაშა.

**პირველმა** ქართული სპორტის ისტორიაში ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალზე, ჩვენი ქვეყნის ეროვნული დროშა გაიტანა მოციგავე **კახა ვახტანგიშვილმა,** 1994 წელს ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიადაზე.

**პირველად** საქართველოს ტყვიის მსროლელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს 1948 წელს - თბილისელი **ლევ ვაინშტეინი** საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

კალათბურთი. ინტერვიუ ლაშა გამყრელიძესთან

# რადგან ევროპის 12 გუნდში მოვხვდით, ზოგი შესარჩევში იოლ გასეირნებას ელის, მაგრამ...

**საქართველოს ნაკრებში მთავარ მწვრთნელად იგორ კოკოშკოვი დატოვეს; წილისყრამ მეტოქეებად ბოსნია, ლატვია, ჰოლანდია და რუმინეთი გვარგუნა; საქართველოს ჩემპიონატში „ოლიმპი" თამაშს თამაშზე იგებს; შაბათს წრის მთავარი შეხვედრაა - „ოლიმპი"-"არმია".**

**ამ და სხვა საკითხებზე გუშინ საქართველოს ნაკრების გამთამაშებელ ლაშა გამყრელიძეს ველაპარაკეთ. თავდაპირველად დავინტერესდით, რამ განაპირობა ორი თვის შექმნილი გუნდის წარმატებული გამოსვლა - „ოლიმპს" ხომ სუპერლიგაში ცხრიდან 8 მატჩი აქვს მოგებული.**

- ამის მიზეზი კარგი ორგანიზაციაა. „ოლიმპი" წარმატებას უმთავრესად გუნდური თამაშის ხარჯზე ახერხებს. ასე იყო ორიოდე წლის წინ რუსთავის „ენერჯიშიც", ერთ მუშტად ვიყავით შეკრულნი და ჩემპიონებიც არაერთხელ გავხდით. მაშინდელი გუნდიდანაც და „ოლიმპიდანაც" სტატისტიკურ ლიდერებში მექულეთა შორის არავინაა. სწორედ ეს მიანიშნებს, რომ გუნდში ფუნქციები თანაბრად ნაწილდება.

**- თუმცა არის ერთი კომპონენტი, რომელშიც პირველი „ოლიმპის" გამთამაშებელია...**

- გასაგებია, რასაც გულისხმობთ, პასების საერთო რაოდენობით პირველ ადგილზე ვარ. სწორედ ეს კომპონენტი მიგვანიშნებს გუნდური თამაშის ხარისხზე.

**- ორ თვეში როგორ მოხერხდა თამაშის ასე აწყობა?**

- ეს მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პიროვნებებზე. „ოლიმპში" ყოველმხრივ დადებითი კალათბურთელები არიან შეკრებილნი, რაც მწვრთნელს საქმეს უადვილებს. თუმცა, ასეთი გუნდის შეკრება და შეთამაშება უმთავრესად მწვრთნელის, გია კაზანჯიანის დამსახურებაა. „ოლიმპში" ფანტასტიკური ატმოსფეროა, რაც მოედანზეც ჩანს. თავიდანვე მიზნად დავისახეთ სწრაფი, სანახაობრივი კალათბურთის ჩვენება, რასაც შედეგი მოაქვს.

**- შაბათს „არმიას" დამარცხებას შეეცდებით. თამამი ნათქვამი ხომ არ გამოვიდა?**

- თამამი ნამდვილად არ არის, რადგან ერთმანეთს პირველ და მეორე ადგილზე მყოფი კლუბები ხვდებიან. „ოლიმპი" შედარებით ახალგაზრდული გუნდია, სათადარიგოთა სკამიც მოკლე აქვს, თუმცა, ისევე როგორც ყველა მატჩზე, „არმიასთანაც" მოსაგებად გავალთ. თუმცა არც ის მავიწყდება, რომ ფავორიტი „არმიაა".

**- მაინც რის ხარჯზე შეიძლება ფავორიტის ძლევა?**

- კარგი დაცვით. შესაძლოა, შეტევისას სროლა არ წაგივიდეს, მაგრამ თუ დაცვაში ისე ითამაშებ, როგორც საჭიროა, მოგება შეიძლება. მაგალითად, წინა ტურში, „სამედიცინოსთან" ენერგია გვაკლდა, დაცვაში ცუდად გავისარჯეთ, თუმცა მოგება მაინც ჩვენ დაგვრჩა. მის წინა მატჩში, „დინამოსთან" კი ყველაფერი კარგად გამოგვივიდა და დიდი სხვაობითაც გავიმარჯვეთ.

**- სწორედ „დინამოსთან" შეხვედრის შემდეგ დასახელდი ტურის საუკეთესო კალათბურთელად...**

- შესაძლოა 30, ან მეტი ქულა ჩააგდო, მაგრამ შრომა ფუჭად ჩაივლის, თუ გუნდი ვერ გაიმარჯვებს. თანაგუნდელების სათანადო თამაშის გარეშე შეხვედრას ნამდვილად ვერ მოვიგებდი. სწორედ მათი დამსახურებაა, კარგად რომ გამოვჩნდი, ხოლო ჩემი მონდომება ჟურნალისტებმაც რომ დაინახეთ და დააფასეთ, მოხარული ვარ.

**- 18 დეკემბერს საქართველოს ნაკრების თავკაცად იგორ კოკოშკოვი კიდევ ორი წლით დატოვეს. როგორ შეხვდი ამ მოვლენას?**

- რადგან ასე გადაწყდა, ე.ი. ასე სჯობდა. იგორ კოკოშკოვი ოთხი წელია, ჩვენთან მუშაობს და თითოეულ კალათბურთელს თავისი ხუთი თითივით იცნობს. ნებისმიერისთვის ნაკრებში გამოსვლა ძალიან ბევრს ნიშნავს, ყოველთვის მაქსიმუმს ვაკეთებთ გულშემატკივრის გასახარად. იმედი მაქვს, იგორ კოკოშკოვის ხელმძღვანელობით კიდევ უკეთესად ვითამაშებთ და შედეგიც შესაბამისი იქნება.

**- 4 დეკემბერს წილისყრამ შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაარკვია. ბოსნიის გარდა ყველასთან გითამაშია...**

- მოწინააღმდეგეთაგან ბოსნიასა და ლატვიას გამოვყოფ. ბოსნიელებს წლეულსაც მაღალი დონის გუნდი ჰყავდათ, ხოლო ლატვია მომავალ წელს გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე - ევროპის ჩემპიონატზე. ბალტიისპირელებს, სავარაუდოდ, ოთხი წამყვანი კალათბურთელი დაემატებათ: ვალტერსი, შკელე, კამბალა და ბიედრინსი...

**- ჰოლანდიას აგვისტოში ამხანაგურად ეთამაშეთ.**

- ჰოლანდიის „ლეიდენმაც" დაგვანახვა, რომ იოლად დასამარცხებელი გუნდი არ არის. მართალია, ლეიდენელთა შემადგენლობაში ბევრი ამერიკელი იყო, მაგრამ ჯგუფიდან გასვლაში ადგილობრივებმაც დიდი როლი ითამაშეს. ჰოლანდიის ნაკრებს სერიოზულად უნდა მივუდგეთ, რათა ის არ დაგვემართოს, რაც ჩვენთან თამაშისას ზოგიერთს მოუვიდა - სათვალავში არ გვაგდებდა, თუმცა მწარე მარცხი ვაგემეთ. აქვე მინდა ყურადღებიდან არ გამოგვრჩეს: რადგან ევროპის ჩემპიონატზე 12 გუნდს შორის მოვხვდით, ბევრი ელის, რომ შესარჩევი ეტაპის ბარიერს იოლად დავძლევთ. ასე არ იქნება. ყველა მეტოქესთან ბრძოლა მოგვიწევს. გვაქვს გარკვეული უპირატესობები, მაგალითად: თბილისში კარგად ვთამაშობთ, თუმცა უპირატესობებს გამოყენება უნდა, რაც სათანადო მობილიზებისა და მომზადების გარეშე ვერ მიიღწევა. სხვა ჯგუფებში რამდენიმე ფავორიტია და ნაკლებად სავარაუდოა, მესამეადგილოსანი ჩვენი ჯგუფიდან გავიდეს (ექვსიდან ოთხი მესამეადგილოსანი მოიპოვებს ევრობასკეტის საგზურს), ამიტომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, პირველი ადგილი არ დავთმოთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



კალათბურთი. ტრავმა



## შენგელიას სერიოზული ტრავმა

საქართველოს ნაკრებისა და ბელგიური „შარლერუას" 20 წლის ფორვარდმა **თორნიკე შენგელიამ** მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც ექიმებმა ხანგრძლივი დასვენება გამოუწერეს, დაახლოებით სამი თვე.

*- თორნიკეს ტერფის ძვალი აქვს გატეხილი. მან ნატკენი ფეხით სამი თამაში ჩაატარა და შემოწმება რომ გაიარა, სერიოზული დაზიანება აღმოაჩნდა, -* გვითხრა გუშინ თორნიკეს მამამ და მისმა ყოფილმა მწვრთნელმა **კახა შენგელიამ.**

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. სამედიცინო

## სამწვრთნელო ოპერაცია სამედიცინოში

საქართველოს ჩემპიონატში 11 გუნდია, ამიტომ ყოველ ტურში ერთი უქმობს. „სამედიცინოს" დასვენებამ პირველი წრის ბოლო ტურში მოუწია, რაც იმას ნიშნავს, რომ „მედიკოსებისთვის" წრე გასულ შაბათს დასრულდა. ჰოდა, ცვლილებებმაც არ დააყოვნა: მთავარი მწვრთნელი **ნუგზარ კანდელაკი კახა შენგელიამ** შეცვალა.

■ ■ ■

გავესაუბრეთ როგორც ერთ, ასევე მეორე მწვრთნელს. ჯერ ნუგზარ კანდელაკს მოვუსმინოთ:

- ერთს ვიტყვი - პირველი მწვრთნელი არ ვარ, რომელიც შეიცვალა. ასეთია ჩვენი სამსახური, მწვრთნელი ყოველთვის ჩანთებზე ზის.

**- რამ განაპირობა შუა სეზონში ცვლილება?**

- შედეგმა. არ გამოვიდა ის, რის გაკეთებასაც ვცდილობდით. ამას თავისი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები ჰქონდა, რომლებზე საუბრისგანაც თავს შევიკავებ. არ მინდა, თავის მართლება გამომივიდეს.

**- ახლა რას აპირებთ?**

- როგორც მოთამაშეები იტყვიან, ჯერჯერობით თავისუფალი აგენტი ვარ. „სამედიცინოში" მთავარ მწვრთნელად კახა შენგელია დაინიშნა. იგი ჩემი მეგობარია და მინდა წარმატებები ვუსურვო. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით, საკალათბურთო სამყაროსა და მთელ საქართველოს დამდეგ შობა-ახალ წელს მივულოცავ.

■ ■ ■

როგორც უკვე გითხარით, „სამედიცინოს" კახა შენგელია გაუძღვება. იგი ჭაბუკების მწვრთნელად მუშაობს, თუმცა უმაღლეს ლიგაში მუშაობის გამოცდილებაც აქვს - ორიოდე წლის წინათ შსს-ს ხელმძღვანელობდა.

- გუნდს ვემსახურები, რითაც შემიძლია. ბრძოლისუნარიანი კოლექტივია შეკრებილი და ვეცდებით, მეორე წრეშიც არავის არაფერი დავუთმოთ. რაც მთავარია, კალათბურთელები ძალიან მონდომებულები არიან.

**- შემადგენლობაში ცვლილებებს ხომ არ გეგმავთ?**

- ბექა ბექაურის სანაცვლოდ აკაკი დვალიშვილის დამატებას ვაპირებთ. სხვა კალათბურთელების შესამატებლად კი განაცხადში ადგილი აღარ გვაქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**





კალათბურთი. ტრანსფერი



## ბექაური შსს-ში 55-ით მივიდა

გუშინ შსს-ს გენერალურმა მენეჯერმა **ლევან მიქაბერიძემ** სატრანსფერო სიახლის შესახებ გვაცნობა: მისმა გუნდმა კონტრაქტი გააფორმა ახალგაზრდა მეფარე **ბექა ბექაურთან** (20 წლის, 205 სმ სიმაღლის), რომელიც აქამდე „სამედიცინოში" თამაშობდა. ხელშეკრულება 1+1 ტიპისაა.

რადგან „მედიკოსებმა" პირველი წრე დაასრულეს, ბექა უკვე შეუერთდა შსს-ს და ახალ გუნდში ვარჯიშობს. ძალოვანთა რიგებში მისი დებიუტი იანვარში შედგება.

ბექაურ „სამედიცინოში" 9-იანი ეწერა, შსს-ში კი ამ ნომრად **ილია ლონდარიძე** დახვდა, ამიტომ ახალი ნომრის არჩევამ მოუწია. ბექა შსს-ში 55-ნომრიან მაისურას მოირგებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ხელბურთი

## მხოლოდ შედეგები

სპორტკომპლექს „არენას" დარბაზში გრძელდება საქართველოს ხელბურთელთა 22-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები. გუშინდელი მე-3 ტურის პაექრობები ასე დამთავრდა: „კახეთი"-„თსსუ-მერანი" 17:31, „ქუთაისი"-„თსუ-თბილისი" 17:29, სტუ-სსაუ 49:30

დღეს ითამაშებენ: „ქუთაისი"-„კახეთი", სტუ-„თსსუ-მერანი", „თსუ-თბილისი"-სსაუ.

**ვაჟა დანელია**

**საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ხელბურთელი, თელავის თ. ანთაძის სახელობის სპორტული სკოლის დირექტორი**

**დავით ქეშიკაშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**დაკრძალვა თელავში 22. XII. 14 საათზე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმბოლური ნაკრები

# სამხრეთ ნახევარსფეროს უპირატესობა ისევ დიდია

2011 წელი დასასრულს უახლოვდება. სეზონის შედეგები, საუკეთესო მოთამაშეები და მწვრთნელები უკვე დასახელდნენ. მათი დაჯილდოების ცერემონიალიც რამდენიმე კვირის წინ გაიმართა. ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა სარაგბო ვებგვერდმა planetrugby-მ კი, ახლახან თავისი მკითხველების გამოკითხვა ჩაატარა. მათ 2011 წლის მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები უნდა შეედგინათ.

ამ ვებგვერდის მკითხველთა აზრით, საუკეთესო თხუთმეტეულში ექვსი ქვეყნის მორაგბე მოხვდა. საუკეთესოთა შორის ყველაზე მეტი - ექვსი მოთამაშე ახალ ზელანდიას ჰყავს, რაც აბსოლუტურად სამართლიანია. ერთით ჩამორჩება მეზობელი ავსტრალია, სიმბოლურ ნაკრებში თითო-თითო მორაგბე მოხვდა იტალიის, ირლანდიის, ტონგასა და ინგლისის ნაკრებებიდან.

### 15. ქართლი ბეილი
**(ავსტრალია)**

მას კონკურენციას მხოლოდ ახალზელანდიელი **იზრაელ დაგი** უწევდა, მაგრამ „ვოლაბების" ფულბეკი წლეულს მაინც ყველაზე გამორჩეული იყო. მან შესანიშნავად იასპარეზა ზე რაგბის გათამაშებაში, სადაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშე გახლდათ. ბეილი ავსტრალიის ნაკრების შეტევების სულისჩამდგმელი და უდავო ლიდერია.

### 14. კრის ეშტონი
**(ინგლისი)**

ის ექვსი ერისა და მსოფლიოს თასის გათამაშების ერთ-ერთი საუკეთესო მელელოვეა. კრის ეშტონმა ნაყოფიერად იმუშავა „ნორსჰემპთონის" შემადგენლობაში ინგლისის ჩემპიონატში. მართალია, რატომღაც, მას ძალიან ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ სტატისტიკა თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს და, თანაც, ეშტონის სასარგებლოდ.

ქომაგებმა ის საუკეთესოდ დაასახელეს მაშინ, როცა ისეთი ძლიერი კონკურენტები ჰყავდა, ავსტრალიელი **ჯეიმზ ოკონორი**, ფრანგი **ვინსან კლერი**, უელსელი **ჯორჯ ნორსი** და ახალზელანდიელი **ქორი ჯეინი** რომ არიან.

### 13. კონრად სმიტი
**(ახალი ზელანდია)**

ის ზედიზედ მეორედ გახდა ამ პოზიციაზე საუკეთესო. არადა, კონრად სმიტს პირველობას ირლანდიური რაგბის ლეგენდა **ბრაიან ოდრისკოლი**, სამხრეთ აფრიკელი **ჟაკ ფური** და ავსტრალიელი **ადამ ეშლი კუპერი** ეცილებოდნენ. პირველმა „ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში „ლენსტერს" გაამარჯვებინა, მეორე სტაბილურად აგრესიული და ნაყოფიერი იყო ნაკრებშიც და კლუბშიც, მესამემ კი დაამტკიცა, რომ მარტო კარგი ფულბეკი არ არის. თუმცა, სმიტი მაინც ყველას სჯობია და, თანაც, მსოფლიოს თასის მფლობელია.

### 12. მაა ნონუ
**(ახალი ზელანდია)**

მხოლოდ მსოფლიოს თასის გათამაშებით რომ გვეხელმძღვანელა, ამ პოზიციაზე საუკეთესო **ჯიმი რობერტსი** უნდა ყოფილიყო. მაგრამ წელიწადში 365 დღეა და რადგან მაა ნონუ მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურად ძლიერად თამაშობდა, უპირატესობაც მას მიენიჭა. წესით, მას წლის საუკეთესო მორაგბის ტიტულიც ერგებოდა.

### 11. დიგბი იოანი
**(ავსტრალია)**

ძალიან იოლი, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილებაა. დიგბი იოანი ერთი თავით სჯობდა თავის კონკურენტებს. სწრაფი, თავბრუდამხვევი შეტევებით ის დიდ პრობლემებს უქმნიდა როგორც „რედსის", ისე ავსტრალიის ნაკრების მეტოქეებს. მისი კონკურენტი ახალზელანდიელი **რენე რენჯერი** იყო.

### 10. დენ კარტერი
**(ახალი ზელანდია)**

ამ პოზიციაზე, როგორც ყოველთვის, ძალიან დიდი კონკურენციაა. თუმცა ამჯერად ყველაზე რეალური კანდიდატურები ავსტრალიელი **ქუადე კუპერი** და ახალზელანდიელი დენ კარტერი იყვნენ. კუპერს შესანიშნავი სეზონი ჰქონდა „რედსის" შემადგენლობაში ზე რაგბის გათამაშებაში, რასაც ვერაფრით ვიტყვით მის ასპარეზობაზე მსოფლიოს თასზე.

კარტერი კი, პირიქით, მთელი სეზონის განმავლობაში ჩვეულად სტაბილური და საიმედო იყო. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმის გამო მსოფლიოს თასის გათამაშების ჩამთავრება ვერ შეძლო, ის მაინც საუკეთესოა.

### 9. ვილი გენია
**(ავსტრალია)**

ის, ისევე როგორც მისი მეწყვილე კუპერი, ზე რაგბის გათამაშებაში საუკეთესო იყო. არანაკლები ელვარებით გაიბრწყინა მან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზეც. ვილი გენია, თამამად შეიძლება ითქვას, მოდის კანონმდებელია ცხრა ნომრების ახალ თაობაში. იმედი გაქვს, რომ ვილი მომავალ წელსაც შესანიშნავ ფორმაში იქნება.



კევინ მეალამუ და ქართლი ბეილი

### 8. კირან რიდი
**(ახალი ზელანდია)**

ის ხშირმა ტრავმამ გააწამა. თუმცა კირან რიდის შესანიშნავმა თამაშმა, მნიშვნელოვანწილად განაპირობა ახალი ზელანდიის ნაკრების წარმატება მსოფლიოს თასზე. ის ბრწყინვალე იყო ასევე „კრუსეიდერზის" შემადგენლობაში ასპარეზობისას ზე რაგბის გათამაშებაში.

კირანის საკმაო სერიოზული კონკურენტი იყო ბასკი **იმანოლ არინორდოკი** და იტალიელი **სერჯო პარისე**.

### 7. დევიდ პოქოკი
**(ავსტრალია)**

ქომაგები IRB-ს „დაუპირისპირდნენ" და საუკეთესოდ ფრანგი **ტიერი დუსოტუარის** ნაცვლად ავსტრალიელი დევიდ პოქოკი დაასახელეს. ის ნამდვილად სჯობდა მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ აღიარებულ ფრანგსაც და ახალზელანდიური რაგბის ლეგენდა **რიჩი მაქოასაც**.

### 6. შონ ობრაიანი
**(ირლანდია)**

ახალზელანდიელ **ჯერომ კაინოს** მან ოდნავ აჯობა. ეს დაპირისპირება, ფაქტობრივად, ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროების ორთაბრძოლად გადაიქცა. ბოლოს მაინც **შონ ობრაიანმა** გაიმარჯვა. მას მართლაც შესანიშნავი სეზონი ჰქონდა.

### 5. ჯეიმზ ჰორვილი
**(ავსტრალია)**

ზე რაგბისა და სამი ერის გათამაშების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე. ჯეიმზ ჰორვილს ავსტრალიის ნაკრების კაპიტნობა ანდეს, რაც მისი, როგორც დიდი მორაგბის კიდევ ერთი აღიარებაა. მართალია, მას „ვებ ელისის" თასი არ მოუგია, მაგრამ ძალიან კარგი ლიდერის თვისებები გამოავლინა.

### 4. ბრედ თორნი
**(ახალი ზელანდია)**

კარიერის ასეთ ბრწყინვალე დასასრულზე ცოტა ვინმე თუ ოცნებობს. ბრედ თორნი ქრაისჩერჩის „კრუსეიდერზის" სიმბოლოდ იქცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს ქალაქი მიწისძვრამ დაანგრია. თორნმა უდიდესი სამუშაო გასწია „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში მსოფლიოს თასზე თამაშისას.

### 3. მარტინ კასტროჯოვანი
**(იტალია)**

ამ პოზიციაზე თამაში, შეიძლება ითქვას, რომ რაგბიში ყველაზე რთულია. წლეულს საკმაოდ ბევრმა მარჯვენა ბურჯმა გამოიჩინა თავი. შთამბეჭდავი იყო ახალზელანდიელი **ოუენ ფრენქსი**. ასევე შესანიშნავად გამოიყურებოდნენ ფრანგი **ნიკოლა მასი** და ინგლისელი **დენ კოლი**. თუმცა ქომაგებმა, ყველას მაინც იტალიელი მარტინ კასტროჯოვანი არჩიეს.

### 2. კევინ მეალამუ
**(ახალი ზელანდია)**

დიდი ხნის განმავლობაში ყველას ეგონა, რომ ახალი ზელანდიის ნაკრების ძირითადი შერკინების კვაჭი **ენდრიუ ჰორი** იქნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კევინ მეალამუმ „ბლუზის" შემადგენლობაში „სპექტაკლები დადგა", ის უპირობოდ ძირითადი გახდა. მისი უნარი, გაგლიჯოს მეტოქის პირველი ხაზი, აღფრთოვანებას იწვევს.

### 1. სოანე ტონგაულია
**(ტონგა)**

მისი კონკურენტი უელსელი **რის ტომასი** იყო, თუმცა ტონგელმა საკლუბო ასპარეზზე ბევრად უკეთ ითამაშა და არც მსოფლიოს თასის გათამაშებაში შეურცხვენია თავი.

მეტოქეები




# რუსები მომდევნო მსოფლიოსთვის ემზადებიან

ევროპის ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქეს, რუსეთის ეროვნულ გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ამ ქვეყნის რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში რუსებს უელსელი სპეციალისტი **კინგსლი ჯონსი** უხელმძღვანელებს. ის 2011 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში რუსეთის ნაკრების თავკაც **ნიკოლაი ნერუშის** თანაშემწე იყო და შერკინებას ავარჯიშებდა. მანამდე კი ჯონსი ინგლისურ „სეილ შარქსში" მუშაობდა.

*„ჩვენ ნაკრების ახალი მწვრთნელი დავამტკიცეთ. კინგსლი ჯონსი ახალ ზელანდიაში მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო და, როგორც სპეციალისტმა, თავი კარგად წარმოაჩინა. მასთან კონტრაქტი ოთხი წლით, მსოფლიოს მომდევნო თასის გათამაშებამდე გავაფორმეთ.*

*იმედი გვაქვს, რომ მისი ცოდნა, გამოცდილება და ავტორიტეტი დაეხმარება ჩვენს გუნდს, როგორც მინიმუმ, მსოფლიოს თასის საგზური მოიპოვოს, პროგრამა, მაქსიმუმი კი ბევრად უკეთესი შედეგის ჩვენება იქნება, ვიდრე ეს ახალ ზელანდიაში მოვახერხეთ.*

*მომავალი მსოფლიოს თასისთვის მზადებას უკვე 2012 წლის ერთა თასის გათამაშებიდან დავიწყებთ. იანვარში, სოჭში საწვრთნელ შეკრებაზე 50 მორაგბეს ვუხმობთ, რომელთა შორის ლეგიონერებიც უხვად იქნებიან."* - თქვა რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ვიაჩესლავ კოპიევმა**.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები რუსეთის ეროვნულ გუნდს თბილისში 17 მარტს დაუპირისპირდება.

**ერთა თასი**

**4 თებერვალი**

უკრაინა-საქართველო, რუმინეთი-პორტუგალია.

**11 თებერვალი**

საქართველო-ესპანეთი, პორტუგალია-რუსეთი, რუმინეთი-უკრაინა.

**25 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია, რუსეთი-რუმინეთი, უკრაინა-ესპანეთი.

**10 მარტი**

საქართველო-რუმინეთი, პორტუგალია-ესპანეთი, რუსეთი-უკრაინა.

**17 მარტი**

საქართველო-რუსეთი, ესპანეთი-რუმინეთი.

**24 მარტი**

რუსეთი-ესპანეთი, უკრაინა-პორტუგალია.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საქართველო - 22 ქულა, 2. რუმინეთი - 16, 3. პორტუგალია - 14, 4. რუსეთი - 11, 5. ესპანეთი - 10, 6. უკრაინა - 0.

მსოფლიოს თასის ექო

# ედი ჯოუნზი იაპონიაში იმუშავებს

ავსტრალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი **ედი ჯოუნზი** მომავალი წლის აპრილიდან იაპონიის ეროვნულ გუნდს უთავკაცებს. ის ახალზელანდიელ სპეციალისტ **ჯონ ქირვანს** შეცვლის. იაპონიის რაგბის კავშირმა ჯოუნზი ნაკრების მწვრთნელობის ერთადერთ კანდიდატად დაასახელა.

ჯოუნზი ამჟამად იაპონური „სანტორის" მწვრთნელია, რომელიც მისი თავკაცობისას ორჯერ გახდა იაპონიის ჩემპიონი და ახლაც, შვიდი ტურის შემდეგ, გათამაშებას სათავეში უდგას.

შეგახსენებთ, რომ ედი ჯოუნზი „ვოლაბებს" 2003 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში ხელმძღვანელობდა, სადაც მისი გუნდი ფინალში ინგლისის ნაკრებთან დამარცხდა. მომდევნო 2007 წლის მსოფლიოს თასზე ჯოუნზი სამხრეთ აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ტექნიკური კონსულტანტი იყო. საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში „ბოკებმ" პირველობა არავის დაუთმო.

ედის ადრეც არაერთხელ გამოუთქვამს სურვილი, იაპონიის ნაკრებს უხელმძღვანელოს. ეს გასაკვირი არ არის, რადგან მისი დედა და მეუღლე იაპონელები არიან.

*„თუ იაპონიის ნაკრებში მთავარ მწვრთნელად დამნიშნავენ, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები. ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია"* - მოკლედ მოჭრა ედი ჯოუნზმა.

იაპონია მსოფლიოს თასის გათამაშებას 2019 წელს უმასპინძლებს. იაპონიის რაგბის კავშირი ყველანაირად ცდილობს, რათა არ აღმოჩნდეს პირველი მასპინძელი ქვეყანა, რომელმაც პლეი ოფში ვერ გააღწია.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი


დერიკ როუზი

# როუზის 94 მილიონი

„ჩიკაგო ბულზის“ ხელმძღვანელობამ და გუნდის ლიდერმა **დერიკ როუზმა** ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმეს. ხელშეკრულება ხუთწლიანია, რომლის მიხედვითაც გასული სეზონის MVP 94 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ეს თანხა 10-11 მილიონით მეტია, ვიდრე როუზი წინა კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით მიიღებდა.

ახალი კონტრაქტი ძალაში 2012-13 წლების სეზონიდან შევა.

■ ■ ■

უსიამოვნო ამბავი შეიტყვეს „ბოსტონ სელტიქსის“ გულშემატკივრებმა: ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერს **პოლ პირსს** უსიამოვნო ტრავმა აღმოაჩნდა.

ფორვარდმა ტერფის ძვალი ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაიზიანა და სწორედ ამის გამო გამოტოვა წინასასეზონო შეხვედრა „ტორონტოს“ წინააღმდეგ.

კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, პირსი, სავარაუდოდ, მოასწრებს სეზონის დაწყებამდე გამოჯანმრთელებას, მაგრამ „ბოსტონის“ დამრიგებელი **დოკ რივერსი** შეშფოთებულია პოლის სათამაშო ფორმის გამო.

■ ■ ■

ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებლის, **კრის პოლის** სადებიუტო შეხვედრამ „კლიპერსის“ შემადგენლობაში საჩვენებელი მატჩებისთვის სარეკორდო აუდიტორია შეკრიბა. NBA TV-ის არხზე ლოსანჯელესურ დერბის 509 ათასმა ადამიანმა უყურა.

წინა რეკორდი 501 ათასს უდრიდა - სწორედ ამ რაოდენობის მაყურებელი დაინტერესდა „მაიამიში“ **ლებრონ ჯეიმსის, დუეინ უეიდისა** და **კრის ბოშის** პირველი მატჩით, რომელიც 2010 წლის 10 ოქტომბერს გაიმართა.

„კლიპერსმა“ 114:95 დაამარცხა „ლეიკერსი“, პოლმა კი 17 ქულა, 9 შედეგიანი პასი, 7 მოხსნა 5 ჩაჭრა დააგროვა.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ყოფილმა თანამშრომელმა სასამართლოში უჩივლა ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერს **მონტა ელისს**. მცველს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ.

გოგონას სიტყვებით, ელისი მას 2010 წლის ნოემბრიდან 2011 წლის იანვრამდე სდევნიდა. მომჩივანის ადვოკატი ამტკიცებს, რომ დაზარალებულს გააჩნია ფოტოები, რომელიც მისი კლიენტის სიტყვებს ადასტურებს.

გარდა ამისა, გოგონამ „უორიორზსაც“ უჩივლა - მან კლუბი იმაში დაადანაშაულა, რომ ის კალათბურთელს ხელს აფარებდა.

**კლივლენდი-ლეიკერსი 89:90**

**26:30, 24:16, 17:16, 22:26**

**კ:** კასპი (18+5 მოხსნა), ჯეიმისონი (13+3 ჩაჭრა), პარკერი (12+5 მოხსნა), ირვინგი (11), ვარეჟაო (9+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტომპსონი (8+5 მოხსნა).

**ლ:** დეი (19+6 მოხსნა), სტაკი (15), მონრო (12+7 მოხსნა), ბინუმი (12), ჟერებკო (11+7 მოხსნა).

**ფილადელფია-ვაშინგტონი 101:94**

**25:20, 22:32, 23:18, 31:24**

**ფ:** ჰოლიდეი (24+6 პასი), იგუოდალა (13), ტერნერი (13+9 მოხსნა), ტ. იანგი (13+7 მოხსნა), მიქსი (11), უილიამსი (10), ბრენდი (8+5 მოხსნა).

**ვ:** მაკგი (20+9 მოხსნა), კროუფორდი (18+6 მოხსნა), უოლი (17+3 ჩაჭრა), ბლეტჩი (13+6 მოხსნა+5 პასი), ნ. იანგი (8).

**ოკლაჰომა-დალასი 87:83**

**18:24, 29:15, 27:14, 13:30**

**ო:** ჰარდენი (13+7 მოხსნა+5 პასი), უესტბრუკი (12+3 ჩაჭრა), დურანტი (10+5 მოხსნა), პერკინსი (9+8 მოხსნა), სეფოლოშა (8).

**დ:** რენდლი (17), რაიტი (12), მერიონი (10+6 მოხსნა), ბობუა (8), ოდომი (8).

**ჩიკაგო-ინდიანა 93:85**

**24:15, 26:27, 28:24, 15:19**

**ჩ:** ბუზერი (24+7 მოხსნა), დენგი (14+7 მოხსნა), ჰემილტონი (13+6 პასი), როუზი (12+5 მოხსნა+9 პასი), ბრიუერი (11), გიბსონი (8).

**ი:** ჰენსბრო (24+13 მოხსნა), ჯორჯი (14+6 მოხსნა), გრეინჯერი (12), უესტი (8).

**დენვერი-ფინიქსი 127:110**

**34:28, 29:21, 34:32, 30:29**

**დ:** ლოუსონი (21+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), გალინარი (15), ფარიდი (14+6 მოხსნა), ჰერინგტონი (12), ნენე (10), ანდერსენი (9+3 დაფარება), ფერნანდესი (8), მილერი (8+6 მოხსნა+12 პასი+4 ჩაჭრა).

**ფ:** უორიკი (14+6 მოხსნა), გორტატი (14+8 მოხსნა), ბრაუნი (12+5 მოხსნა), ნეში (11+5 პასი), დადლი (11+6 მოხსნა), მორისი (10+8 მოხსნა), ლოპესი (10+5 მოხსნა), პრაისი (9+4 პასი).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 95:91**

**23:19, 26:22, 17:26, 29:24**

**ს:** ტორნტონი (21+7 მოხსნა), ჰიქსონი (19+9 მოხსნა), ევანსი (15+5 მოხსნა+7 პასი), ფრედეტი (12).

**გ-ს:** ლი (30+13 მოხსნა), ელისი (19+6 პასი), რაიტი (8+3 ჩაჭრა).

# მეორე ეტაპი დაკომპლექტდა

ევროთასზე ჯგუფური ეტაპის შემდეგ სრულად გაირკვა ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირის მეორე ეტაპის ჯგუფების შემადგენლობა. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირზე მეორე რაუნდის ქვეჯგუფებში ოთხეულები არა წილისყრით, არამედ პირველ სტადიაზე დაკავებული ადგილებით ყალიბდება.

ტოპ16-ის სრული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**I ჯგუფი:** გრაველენი (საფრანგეთი), ნიმბურკი (ჩეხეთი), ვეფ რიგა (ლატვია), ვალენსია (ესპანეთი);

**J ჯგუფი:** ხიმკი (რუსეთი), ვილერბანი (საფრანგეთი), დონეცკი (უკრაინა), არისი (საბერძნეთი);

**K ჯგუფი:** ბანვითი (თურქეთი), სპარტაკი (რუსეთი), კრკა (ჩეხეთი), ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია);

**L ჯგუფი:** ლეტუვოს რიტასი (ლიტვა), ალბა (გერმანია), ლოკომოტივი (რუსეთი), ბენეტონი (იტალია).

მეორე ჯგუფური ეტაპი 17 იანვარს დაიწყება და 28 თებერვალს დასრულდება. მეოთხედფინალში, რომელიც ორმატჩიანი იქნება, გუნდები ასე დაწყვილდებიან: I1-K2, J1-L2, K1-I2, L1-J2. მატჩები 20 და 27 მარტს გაიმართება. გამარჯვებულები „ოთხთა ფინალში“ გავლენ, რომელიც 14-15 აპრილს რუსეთის ქალაქ ხიმკიში ჩატარდება.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ყოფილი ლიდერი კრიზისშია

რამდენიმე საინტერესო მატჩი გაიმართა გუშინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. ერთ-ერთი იყო დერბი „ნიუ ჯერსისა“ და „ნიუ იორკ რეინჯერსს“ შორის.

ორივე გუნდი აღმოსავლეთის პლეი ოფის ზონაშია, თუმცა ამ მომენტისთვის უკეთეს ფორმაში მასპინძელი „ნიუ ჯერსი“ იყო, რომელიც ოთხმატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა ამ მატჩს.

„დევილზის“ უკეთესი მზადყოფნა თამაშის სურათზეც აისახა, მაგრამ არა მატჩის საბოლოო შედეგზე. მასპინძლებმა ათით მეტი დარტყმა შეასრულეს, მაგრამ „რეინჯერსის“ მეკარემ **ჰენრიკ ლუნდკვისტმა** 29 დარტყმა მოიგერია და დიდწილად განაპირობა თავისი გუნდის გამარჯვება.

შვედმა გოლკიპერმა მხოლოდ პირველ პერიოდში გაუშვა ერთი შაიბა და ამის შემდეგ გოლებს მხოლოდ სტუმრები იტანდნენ. რუსმა **ანისიმოვმა** გოლი და საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში, **მარიან გაბორიკის** დუბლმა კი ფინალური წერტილი დაუსვა ამ დაპირისპირებას.

ბოლო პერიოდში არც თუ ისე წარმატებით მოთამაშე „ვაშინგტონმა“ საკუთარ მოედანზე შეწყვიტა „ნეშვილის“ ხუთმატჩიანი მოგებათა სერია.

დედაქალაქური კლუბის წარმატება მისმა რუსმა და შვედმა ლეგიონერებმა განაპირობეს. პირველ პერიოდში **ოვეჩკინმა** და **ბექსტრიომმა** ორშაიბიანი უპირატესობა მოუტანეს „ვაშინგტონს“.

უგოლო მეორე პერიოდის შემდეგ „ნეშვილმა“ მესამე 20-წუთეულში მატჩის გადარჩენის შანსი მიიღო, როცა ბელარუსმა **სერგეი კოსტიცინმა** მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. გარდამტეხი აღმოჩნდა მეათე წუთზე კიდევ ერთი რუსის - **სიომინის** გოლი, რომელმაც შვედების - **მარკუს იოჰანსონისა** და ბექსტრიომის კომბინაცია დაასრულა.

ამ მოგებით „ვაშინგტონმა“ ერთბაშად სამი პოზიცია მოიგო აღმოსავლეთი კონფერენციის ცხრილში და პლეი ოფის ზონაში დაბრუნდა.

რამდენიმე წამყვანი ჰოკეისტის გარეშე დარჩენილი „პიტსბურგი“ საკუთარ მოედანზე იღებდა რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ „ჩიკაგოს“, რომელიც დღის ცენტრალურ შეხვედრას ხუთმატჩიანი მოგებათა სერიით შეხვდა.

ბრწყინვალე ფორმაში შევიდა „პიტსბურგის“ რუსი ფორვარდი **ევგენი მალკინი**. ამ ჰოკეისტს ბოლო ექვს შეხვედრაში 15 ქულა დაუგროვდა. ამჯერად, „პინგვინების“ ერთ-ერთმა ლიდერმა თავისი გუნდის სამ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა და ბოლო პერიოდის წინ „პიტსბურგი“ 3:0-ს იგებდა.

მაგრამ მესამე პერიოდში „პინგვინზს“ სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწია. მეექვსე წუთისთვის „ჩიკაგომ“ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, თუმცა ბრწყინვალედ თამაშობდა მასპინძლების მეკარე **მარკ-ანდრე ფლერი**, რომელმაც დარჩენილ დროში შაიბა აღარ გაუშვა, ხოლო ჯამში ამ შეხვედრაში 36 დარტყმა მოიგერია.

ლიგის ყოფილი ლიდერი „მინესოტა“ აშკარა კრიზისში იმყოფება. „ველურებმა“ ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგეს - ამჯერად ისინი „კალგარისთან“ დამარცხდნენ, რომლის რიგებში გოლითა და საგოლე პასით აღინიშნა ვეტერანი **ჯერომ იგინლა**.

**ნიუ ჯერსი-რეინჯერსი 1:4**

**1:0, 0:1, 0:3**

**გოლები:** 1:0 ზაიაცი-1 (ზუბრუსი-9, სიკორა-11), 1:1 ანისიმოვი-7 (სტეპანი-15, გაბორიკი-11), 1:2 გაბორიკი-18 (ანისიმოვი-14, სტეპანი-16), 1:3 ჰაგელინი-4 (ბიკელი-1), 1:4 გაბორიკი-19 (სტეპანი-17).

**პიტსბურგი-ჩიკაგო 3:2**

**1:0, 2:0, 0:2**

**გოლები:** 1:0 კუნიტცი-12 (მალკინი-22, ნისკანენი-11), 2:0 ჯ. ნილი-19 (მალკინი-23, ნისკანენი-12), 3:0 ტაილერ კენედი-4 (ლავჯოი-2, მალკინი-24), 3:1 ტეუვზი-19 (სტალბერგი-12), 3:2 სტალბერგი-6 (პ. კეინი-24, მარიან ჰოსა-22).

**ვაშინგტონი-ნეშვილი 4:1**

**2:0, 0:0: 2:1**

**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-11 (ელზნერი-8, ჯ. კარლსონი-16), 2:0 ბექსტრიომი-12 (ჰამრლიკი-1), 2:1 ს. კოსტიცინი-5 (შ. უებერი-17), 3:1 სიომინი-7 (მ. იოჰანსონი-11, ბექსტრიომი-22), 4:1 ბროური-9 (ვიდემანი-16, მ. იოჰანსონი-12).

**ფლორიდა-ფინიქსი 1:2**

**0:1, 1:1, 0:0**

**გოლები:** 0:1 რეი უიტნი-11 (ეკმან-ლარსონი-6, ვრბატა-13), 0:2 ვრბატა-16 (იენდლი-17, რეი უიტნი-19), 1:2 ბ. კემპბელი-3 (ვერსტიგი-19, გარისონი-6).

**ოტავა-ბაფალო 4:1**

**1:0, 0:1, 3:0**

**გოლები:** 1:0 ზ. სმიტი-9 (კ. ნილი-5, კარკნერი-1), 1:1 ლეოპოლდი-6 (ერჰოფი-14, ვანეკი-18), 2:1 კონდრა-5 (ტარისი-1), 3:1 ე. კარლსონი-3 (ალფრედსონი-13, სპეცა-25), 4:1 კონდრა-6 (ე. კარლსონი-28).

**ვინიპეგი-აილენდერსი 2:3 (ბ)**

**1:1, 1:1, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 პარენტო-5 (მოულსონი-10, ტავარესი-16), 1:1 ანტროპოვი-5 (ოდუია-7), 1:2 გრაბნერი-10 (ჰამონიკი-6, ენდრიუ მაკდონალდი-1), 2:2 ლედი-11 (ანტროპოვი-13, უელვუდი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** პარენტო (აილენდერსი), ნილსენი (აილენდერსი).

**კალგარი-მინესოტა 2:1**

**1:1, 1:0, 0:0**

**გოლები:** 1:0 შლენკროსი-11 (იგინლა-13, ბატლერი-8), 1:1 ბუშარი-6 (სპარჯონი-12, კულენი-11), 2:1 იგინლა-13 (დ. სმიტი-7, ო. იოკინენი-17).


ევგენი მალკინი

# სელიანეს არ გაცვლიან

აშკარაა, რომ წელს „ანაჰაიმ დაქსს“ ძალიან გაუჭირდება პლეი ოფში გასვლა, ამიტომაც თებერვლის სატრანსფერო ბაზარზე აუცილებლად მოიძებნებიან ისეთი გუნდები, რომლებიც პლეი ოფისთვის ფინელი ვეტერანის **ტეემუ სელიანეს** გადაბირებას ეცდებიან. თუმცა „იხვების“ გენერალურმა მენეჯერმა **ბობ მიურეიმ** დაარწმუნა ყველა, რომ ლეგენდარული ფორვარდის ტრეიდი გამორიცხულია.


ტეემუ სელიანე

*„ტეემუ „ანაჰაიმში“ დაასრულებს კარიერას. ამ თემაზე ლაპარაკი დასრულებულია. თუმცა, სელიანეს დღევანდელი ფორმის გათვალისწინებით, საერთოდ რატომ უნდა წავიდეს ის ჰოკეიდან?“* - სვამს კითხვას მიურეი.

მიმდინარე სეზონში 41 წლის სელიანემ 33 მატჩში 35 ქულის დაგროვება მოასწრო. ის „ანაჰაიმის“ საუკეთესო მექულეა და მე-14 ადგილზეა ლიგის საუკეთესო ბომბარდირებს შორის.

გენერალური მენეჯერის კომპლიმენტის მიუხედავად, თავად ფინელს მიაჩნია, რომ კარიერის დასრულებას ბევრი აღარ უკლია - მტკივანი მუხლი ველარ უძლებს ფიზიკურ დატვირთვებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი

# ელენა ახალი მწვრთნელებით


ელენა იანკოვიჩი

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ელენა იანკოვიჩი** ახალი სეზონისთვის ახალი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ემზადება. სერბი ჩოგბურთელის პერსონალური დამრიგებელი გახდა გერმანელი **ჰენერ ჰელესი**, ხოლო ფიზმომზადებაზე პასუხს აგებს **კორი გუდვინი**, რომელსაც NBA-სა და MLB-ის მოთამაშეებთან მუშაობის გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, იანკოვიჩმა ურთიერთობა გაწყვიტა სააგენტო IMG-სთან და ახლა მენეჯერ **ლინდა ლონგთან** თანამშრომლობს.

შეგახსენებთ, რომ იანკოვიჩს 2010 წლის მარტის შემდეგ არ მოუგია WTA-ის ტურნირი - მაშინ მან ინდიან უელსის უმსხვილეს შეჯიბრებაში გაიმარჯვა. 2011 წლის სეზონში სერბმა ჩოგბურთელმა ორჯერ ითამაშა ფინალში (მონტერეისა და ცინცინატიში), მაგრამ „დიდი სლემის" ტურნირებზე არც ერთხელ არ გასულა მეოთხე წრეზე შორს და პირველად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მსოფლიოს რეიტინგის ტოპ-ათეულიდან გავარდა. დღეისთვის იანკოვიჩი მსოფლიოს მე-14 ჩოგანია.

■ ■ ■

პროფესიული ტურის ერთ-ერთი უმსხვილესი ტურნირის – ინდიან უელსის შეჯიბრების დირექტორმა **სტივ საიმონმა** განაცხადა, რომ მამაკაცთა და ქალთა ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულები ჰონორარის სახით ერთ მილიონ დოლარს მიიღებენ.

2012 წელს ტურნირის საერთო საპრიზო ფონდი 11 მილიონ დოლარს გადააჭარბებს. ფინალისტები, ნახევარფინალისტები და მეოთხედფინალისტები შესაბამისად უფრო მეტს – 500 ათასს, 200 ათასსა ლა 100 ათასს გამოიმუშავებენ.

● ოლიმპიზმი

# სოჭში დრო გაჩერდა

სოჭში მოულოდნელად მწყობრიდან გამოვიდა საათი, რომელიც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადამდე დარჩენილ დროს ითვლის. ოლიმპიური საათი გუშინ დილით გაჩერდა და მხოლოდ შვიდი საათის შემდეგ შეძლო საავარიო სამსახურმა ამ ხარვეზის აღმოფხვრა.

სოჭის ადმინისტრაცია თავს იკავებს კომენტარებისგან და აცხადებს, რომ საათის გამართულ მუშაობაზე პასუხს რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აგებს. *„წინასწარი ინფორმაციით, ციბერბლატი საათის რელეს მწყობრიდან გამოსვლის გამო გაჩერდა, - წერდა ერთ-ერთი რუსული სააგენტო. - გამორიცხული არ არის, რომ საათი განაგრძობს დროის ათვლას, მაგრამ ეს ტაბლოზე არ აისახება".*



სოჭის საათი

სავარაუდოდ, საათის გაჩერების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო მაღალი სინესტე ან ძაბვის ვარდნა. მექანიზმი მხოლოდ შვიდი საათის შემდეგ აამუშავეს. ახლა სპეციალისტები ამოწმებენ, სწორად გაგრძელდა თუ არა დროის ათვლა საათის ხელმეორე ჩართვის შემდეგ.

■ ■ ■

კომპანიამ, რომელიც ლონდონში ოლიმპიურ სტადიონს ფლობს, დაადასტურა, რომ მალე არენას როგორც საფეხბურთო, ასევე სარაგბო კლუბები გამოიყენებენ. ამის შესახებ Sky Sports წერს. ამასთან დაკავშირებით უახლოეს პერიოდში ჩატარდება კონკურსი და გაირკვევა ის გუნდები, რომლებიც საშინაო შეხვედრებს ოლიმპიურ სტადიონზე გამართავენ.

საფეხბურთო კლუბებს შორის ფავორიტად კვლავინდებურად "ვესტ ჰემი" მიიჩნევა, რომელმაც უკვე მოიგო ანალოგიური კონკურსი, მაგრამ შემდეგ "ტოტენჰემისა" და "ლეიტონის" პროტესტის გამო წაართვეს გამარჯვება.

ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალი წლის მაისში მიიღებენ.

■ ■ ■

მსოფლიოსა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი, 5000 მეტრზე სირბილში ვანკუვერის ოლიმპიური ჩემპიონი, 25 წლის ჰოლანდიელი **სვენ კრამერი** მომავალ ზაფხულს ველოსპორტში აპირებს ძალების მოსინჯვას. კრამერმა ბარძაყის ტრავმის გამო სრულად გამოტოვა შარშანდელი სეზონი და წელს უბრუნდება ციგურებით სირბილში მსოფლიოს თასის გათამაშებას.

როგორც გაზეთი De Telegraaf წერს, სვენს გადაწყვეტილი აქვს ქალაქ გრონინგენის სამოყვარულო გუნდის - NWVG/Bike4Air-ის ღირსება დაიცვას. სავარაუდოდ, კრამერის დებიუტი სპორტის ახალ სახეობაში 14 მაისს, Olympia's Tour-ის რბოლაში შედგება.

● მძლეოსნობა

# დასაჯეს და დაინდეს

სამხრეთში დარბაზებისთვის მსოფლიოს ჩემპიონი, ფრანგი **ტედი ტამგო** მკაცრად დაისაჯა ვარჯიშზე ქალი მძლეოსნის ცემის გამო. ამ ინციდენტის შესახებ ჩვენ ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით.

*"ტამგო 12 თვით არის დისკვალიფიცირებული. სასჯელის ათვლა ნოემბრიდან იწყება, - განაცხადა საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრესატაშემ. – ამასთან, ნახევარი ვადა მას პირობითად მივეცით. ტედის აგრეთვე 1500 ევროს ოდენობის ფულადი ჯარიმა დაეკისრა, გარდა ამისა, 50 საათი საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარება მოუწევს".*


ტედი ტამგო

ასე რომ, ამ სასჯელის მიხედვით ფრანგი შეძლებს ლონდონში ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღებას.

22 წლის ტამგო დარბაზებისთვის მსოფლიოს რეკორდის მფლობელია. მისი შედეგი 17 მეტრსა და 92 სანტიმეტრს უდრის.

■ ■ ■

მძლეოსნობაში მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონატზე მონაწილე ქვეყნების სარეკორდო მაჩვენებელი დაფიქსირდება. მსოფლიოს ჩემპიონატი სტამბოლში 9-11 მარტს გაიმართება და მას ყველა შანსი აქვს, გააუმჯობესოს ოთხი წლის წინ ვალენსიაში დაფიქსირებული შედეგი.

თურქეთში არანაკლებ 160 ქვეყანას ვიხილავთ – ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მონაწილეებმა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში წინასწარ განაცხადები შეიტანეს. 2008 წლის პირველობაზე გამარჯვებისთვის 147 ქვეყანა იბრძოდა, უფრო ადრე დოჰაში – 142.

განაცხადების მიღების ბოლო ვადა 2012 წლის 27 თებერვალია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ინგლისი

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-არსენალი | 1:2 |
| მანჩესტერ სიტი-სტოკი | 3:0 |
| ნიუკასლი-ვესტ ბრომვიჩი | 2:3 |
| ევერტონი-სუონსი | 1:0 |
| ფულჰემი-მანჩესტერ იუნ | 0:5 |
| ქუინზ პარკი-სანდერლენდი | 2:3 |
| უიგანი-ლივერპული | 0:0 |

### იტალია

| | |
|---|---|
| უდინეზე-იუვენტუსი | 0:0 |
| ატალანტა-ჩეზენა | 4:1 |
| ბოლონია-რომა | 0:2 |
| ინტერი-ლეჩე | 4:1 |
| ლაციო-კიევო | 0:0 |
| ნაპოლი-ჯენოა | 6:1 |
| ნოვარა-პალერმო | 2:2 |
| პარმა-კატანია | 3:3 |

### ესპანეთის თასი

1/16 ფინალი. II მატჩები

| | |
|---|---|
| ატლეტიკო-ალბასეტე | 0:1 (1:2) |
| გრანადა-სოსიედადი | 2:1 (1:4) |
| ლევანტე-დეპორტ. | 3:1 დ.დ. 4:1 (1:3) |
| მალაგა-ხეტაფე | 2:2 (1:0) |
| ოსასუნა-ალმერია | 1:1 (1:3) |
| ვალეკანო-რასინგი | 4:3 (2:3) |
| ბეტისი-კორდობა | 2:1 (0:1) |
| ვილიარეალი-მირანდესი | 0:2 (1:1) |
| სარაგოსა-ალკორკონი | 0:2 (1:1) |
| ბილბაო-ოვიედო | 1:0 (1:0) |

### გერმანიის თასი

1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ჰერტა-კაიზერი | 3:1 |
| კილი-მაინცი | 2:0 |
| ბორუსია (მ)-შალკე | 3:1 |
| შტუტგარტი-ჰამბურგი | 2:1 |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ოსერი-დიჟონი | 2:2 |
| ევიანი-მონპელიე | 4:2 |
| ლილი-ნიცა | 4:4 |
| ლორიანი-კაენი | 0:0 |
| რენი-ბორდო | 1:0 |
| სოშო-აიაჩო | 0:2 |
| ტულუზი-ბრესტი | 0:0 |
| ვალანსი-ლიონი | 1:0 |
| სტ. ეტიენი-პსჟ | 0:1 |

### ნაციონალი

| | |
|---|---|
| კოლმარი-პარიზი | 3:0 |
| ფრეჟუსი-რუანი | 2:0 |
| გფკო აიაჩო-ეპინალი | 2:1 |
| ლე პუარი-ნიმი | 0:3 |
| ვანი-რედ სტარი | 4:0 |

### ჰოლანდიის თასი

1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ნიიმეგენი-ახილესი | 3:0 |
| ჰერენვეენი-ტოპ ოსი | 11:1 |
| აიაქსი-ალკმაარი | 1:0 შეწყდა |

### ბელგია

II დივიზიონი

| | |
|---|---|
| ბორინაჟი-ოსტენდე | 2:2 |
| ეუპენი-ანტვერპენი | 3:0 |
| ლომელი-დენდერი | 0:0 |

### ბელგიის თასი

1/4 ფინალი. I მატჩები

| | |
|---|---|
| კორტრიიკი-ბეერსხოტი | 2:0 |
| ლიერსი-სტანდარდი | 1:2 |
| მონსი-რუსელარე | 3:1 |
| ლოკერენი-გენტი | 1:1 |

### პორტუგალია

ლიგის თასი

| | |
|---|---|
| ფერეირა-პორტუ | 1:2 |

### პორტუგალიის თასი

1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| აკადემიკა-ავეში | 3:2 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| ანტალია-ფენერბაჰჩე | 0:0 |
| ქაისერი-ანკარაგიუჯუ | 3:0 |
| მერსინი-ესქისეჰირი | 0:0 |
| გალათასარაი-მანისა | 1:0 |
| შივასი-სამსუნი | 3:2 |

### თურქეთის თასი

| | |
|---|---|
| სანლიურფა-დენიზლი | 1:0 დ.დ. |
| გაზიანთეფი ბბ-გიოზთეფე | 3:0 |
| თავსანლი-ბურსასი | 0:2 |
| ეიუპი-ბუკა | 2:1 |
| გაზიოსმანი-გირეშუნი | 2:0 |
| ქარსიაქა-უნიე | 1:2 |
| ახისარი-ალთაი | 3:1 |
| ქასიმფაშა-ბანდირმა | 4:2 |
| ადანადემირი-ერჩიესი | 2:1 |

### საბერძნეთის თასი

1/16 ფინალი

| | |
|---|---|
| ანაგენისი (ე)-ატრომიტოსი | 2:3 |
| პრუდეფტიკი-ასტერასი | 0:5 |
| პანსერაიკ.-ერგოტელ. | 0:0 დ.დ. 1:0 |
| ეთნიკოსი (ა)-პაოკ | 0:0 შეწყდა |
| პლატანიასი-კერკირა | 0:3 |
| კალითეა-დოქსა | 0:1 |
| პიერიკოსი-ოლიმპიაკოსი | 1:3 |
| ლარისა-პანაიტოლიკოსი | 0:0 პენ. 0:1 |

### ჩრ. ირლანდია

| | |
|---|---|
| დონეგალი-კლიფტონვილი | 1:3 |

### აზერბაიჯანი

| | |
|---|---|
| ნეფთჩი-ქაფაზი | 2:0 |
| ქაბალა-ყარაბახი | 0:0 |
| ხაზარი-ბაკუ | 3:0 |

### იაპონიის თასი

| | |
|---|---|
| ნაგოია-კაშივა | 3:3 პენ. 9:8 |

## კალათბურთი

### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ზაგრები | 87:76 |
| პანათინაიკოსი-ბამბერგი | 71:66 |
| უნიკახა-ცსკა | 83:91 |
| ბარსელონა-გალათასარაი | 79:50 |
| ოლიმპია-უნიქსი | 63:76 |
| პროკომი-მონტეპასკი | 53:79 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| ავტომობილის.-მეტალურგი (მ) | 3:6 |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (ნ) | 3:4 (ბ) |
| ნეფტეხიმიკი-სიბირი | 3:2 |
| სევერსტალი-ავანგარდი | 4:3 (ბ) |
| აკ ბარსი-ამური | 3:2 |
| სპარტაკი-იუგრა | 1:2 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 3:1 |

● TV პროგრამა

## 22 დეკემბერი. ხუთშაბათი

### GMG-ფეხბურთი

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ფულემი-მანჩესტერ იუნ.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტური. ლაციო-კიევო.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტური. სტ. ეტიენი-პსჟ.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ასტონ ვილა-არსენალი.
**20:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტური. ნაპოლი-ჯენოა.
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**23:00** გადაცემა - საფეხბურთო ღამე.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ტოტენჰემი-ჩელსი (LIVE).

### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლორიანი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. ფილიპ კოლშრაიბერი-ფილიპ პეტცშნერი. ჰალე. გერმანია.
**13:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**14:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**15:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-სიენა.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ლენსტერი-ბასი.
**18:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. ეფესი-რეალი (LIVE).
**23:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. პარტიზანი-მილანი (LIVE).

### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ატალანტა.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**17:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-პალერმო.
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**20:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**21:15** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ლენსტერი-ბასი.
**23:00** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**23:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**00:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1



მარია დე ვილოტა

# ლოტუს-რენოს მარია

ესპანელმა ქალმა ავტომრბოლმა **მარია დე ვილოტამ** განაცხადა, რომ სულ მცირედი აკლია 2012 წლისთვის „ლოტუს-რენოსთან“ ტესტ-პილოტის კონტრაქტის გაფორმებამდე.

31 წლის მარიან დე ვილოტა - ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტის **ემილიო დე ვილოტას** ქალიშვილია. 2001 წლიდან ის ესპანეთის მცირე სარბოლო სერიებში მონაწილეობდა, მაგრამ საყოველთაო აღიარება 2009-10 წლებში სუპერლიგის სერიაში მადრიდის „ატლეტიკოს“ რიგებში გამოსვლით მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ დე ვილოტა პირველი ქალი არ არის ფორმულა 1-ში. მანამდე „სამეფო რბოლებში“ ეპიზოდურად ჩნდებოდნენ **მარია ტერეზა დე ფილიპისი** (1958-59), **ლელა ლომბარდი** (1974-76), **დივინა გალიცა** (1976-78), **დეზაირე უილსონი** (1980) და **ჯოვანა ამატი** (1992), მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთმა - ლომბარდიმ შეძლო ქულების დაგროვება.

*„ეს წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში მოხდება. პარასკევობით შევასრულებ ტესტ-პილოტის როლს ან გუნდის სარეზერვო წევრი ვიქნები. მუშაობა 2013 წლის სეზონისთვის იქნება მიმართული. სწორედ ამ წელს ვიმედოვნებ რბოლებში მონაწილეობის მიღებას.*

*კონტრაქტი თითქმის ბოლომდეა შედგენილი, უბრალოდ, გუნდის ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა დავსხდეთ და ბოლო დეტალები შევათანხმოთ*“, - ამბობს ქალი პილოტი.




# ალონსო ცოლს გაეყარა

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** და მომღერალმა **რაკელ დელ როსარიომ** პრესას განქორწინების შესახებ აუწყეს. ამასთან დაკავშირებით წყვილმა ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა. ფერნანდოსა და რაკელის ქორწინება ხუთი წელი გრძელდებოდა.

*„ხუთწლიანი ქორწინების შემდეგ გადავწყვიტეთ ურთიერთობის შეწყვეტა. ეს რთული, მაგრამ ორმხრივი გადაწყვეტილებაა. ჩვენ ვშორდებით, მაგრამ მეგობრებად ვრჩებით და ბედნიერებას ვუსურვებთ ერთმანეთს.*

*ეს განცხადება განკუთვნილია იმათთვის, ვინც ჩვენს კარიერას ადევნებს თვალს. თან ამით გვინდა ბოლო მოვუღოთ ნებისმიერ ჭორს. ვთხოვთ პრესას, პატივი სცეს პირად ცხოვრებაზე ჩვენს უფლებას, რომლის დაცვას ყოველთვის ვცდილობდით*“, - წერია განცხადებაში.



# საფრანგეთი ბრუნდება?

ფრანგული გაზეთის Var Matin-ის ცნობით, საფრანგეთის გრანპრი, შესაძლოა, 2013 წელს დაბრუნდეს ფორმულა 1-ის კალენდარში. ამ პროექტის ხელმძღვანელმა **ჟილ დუფრენმა** განაცხადა, რომ რბოლა **პოლ რიკარის** სახელობის ავტოდრომზე გაიმართება.

*„ამჟამად ძალიან ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს და ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ რბოლის ჩატარების ნებართვას მივიღებთ. ჩემი დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება სამი სიტყვით აღვწერო: ოპტიმიზმი, სიფრთხილე და მოთმინება. იწყება ჩვენი მუშაობის ფინალური ეტაპი და შეიძლება ითქვას, საბოლოო გადაწყვეტილებას ძალიან მალე - იანვარში ან თებერვლის დასაწყისში გავიგებთ*“, - ამბობს დუფრენი.

ავტოსპორტი

# 50 საუკეთესო

ბრიტანულმა ჟურნალმა „ავტოსპორტმა“ შეაჯამა სპორტული ჟურნალისტების ტრადიციული გამოკითხვა, რომელსაც წლის საუკეთესო ავტომრბოლი უნდა გამოევლინა. პირველი ადგილი გერმანელმა **სებასტიან ფეტელმა** დაიკავა, პირველი სამეული კი მთლიანად ფორმულა 1-ის პილოტებმა დააკომპლექტეს.

**1-10 ადგილი:** 1. **სებასტიან ფეტელი** (ფორმულა 1, 1-15-11); 2. **ჯენსონ ბატონი** (ფორმულა 1, 2-0-3); 3. **ფერნანდო ალონსო** (ფორმულა 1, 4-0-1); 4. **ტონი სტიუარტი** (NASCAR, 1-1-5); 5. **დარიო ფრანკიტი** (IndyCar, 1-2-4); 6. **უილ პაუერი** (IndyCar, 2-8-6); 7. **სებასტიან ლოები** (WRC, 1-0-5); 8. **ლუის ჰემილტონი** (ფორმულა 1, 5-1-3); 9. **კარლ ედვარდსი** (NASCAR, 2-3-1); 10. **ნიკო როსბერგი** (ფორმულა 1, 7-0-0).

**11-20 ადგილი:** 11. **მარტინ ტომჩიკი** (DTM, 1-1-3); 12. **სებასტიან ოჟიე** (WRC, 3-0-5); 13. **ჯეიმი უინკაპი** (V8 Supercars, 1-9-10); 14. **რომან გროსჟანი** (GP2, 1-1-5); 15. **ანდრე ლოტერერი** (ILMC, 0-0-1); 16. **ენტონი დევიდსონი** (ILMC, 0-3-3); 17. იარი-მატი ლატვალა (WRC, 4-0-1); 18. **მარკ უებერი** (ფორმულა 1, 3-3-1); 19. **სებასტიან ბურდე** (ILMC, 0-0-3); 20. მატიას ექსტრიომი (DTM, 2-2-3).

**21-30 ადგილი.** 21. **ივან მიულერი** (WTCC, 1-4-8); 22. **სკოტ დიქსონი** (IndyCar, 3-2-2); 23. **ლუკა ფილიპი** (GP2, 2-0-3); 24. **ჟან-ერიკ ვერნი** (WSR, 2-4-5); 25. **ვალტერი ბოტასი** (GP3, 1-1-4); 26. **ადრიან სუტილი** (ფორმულა 1, 9-0-0); 27. **პოლ დი რესტა** (ფორმულა 1, 13-0-0); 28. **ლუკას ლური** (FIA GT1, 1-1-4); 29. **ბრედ კესელოვსკი** (NASCAR, 5-1-3); 30. სერხიო პერესი (ფორმულა 1, 16-0-0);

**31-40 ადგილი.** 31. **რობერტ უიკენსი** (WSR, 1-7-5); 32. **ფელიპე ნასრი** (ბრიტანეთის F3, 1-4-7); 33. **ორიოლ სერვია** (IndyCar, 4-0-0); 34. **რობ ჰაფი** (WTCC, 2-4-8); 35. **რობერტო მერი** (Euro F3, 1-8-11); 36. **ბრუნო სპენგლერი** (DTM, 3-4-2); 37. **კევინ ჰარვიკი** (NASCAR, 3-5-4); 38. მიხაელ შუმახერი (ფორმულა 1, 8-0-0); 39. **ჰეიკი კოვალაინენი** (ფორმულა 1, 22-0-0); 40. **ჯეისონ პლეიტო** (BTCC, 3-4-8).

**41-50 ადგილი.** 41. **მეტ ნილი** (BTCC, 1-3-7); 42. **ჯიმი ჯონსონი** (NASCAR, 6-1-2); 43. **ჯეიმს კალადო** (GP3, 2-1-1); 44. **კევინ მაგნუსენი** (ბრიტანეთის F3, 2-6-7); 45. **კრეიგ ლაუნდზი** (V8 Supercar, 2-6-5); 46. **გარტ ტანდერი** (V8 Supercar, 5-1-3); 47. **ანდრეას მიკელსენი** (IRC, 1-0-2); 48. **მირკო ბორტოლოტი** (F2, 1-7-7); 49. **მიხაელ კრუმი** (FIA GT, 1-0-4); 50. **ბენუა ტრელუიე** (ILMC, 0-1-1).

ფრჩხილებში მოცემულია სერია, ადგილი ჩემპიონატში, პოულებისა და გამარჯვებების რაოდენობა.



სებასტიან ფეტელი

კრივი

# ფლოიდმა საქმეები ჩააწყო

თანამედროვე კრივის ერთ-ერთმა საუკეთესო მოკრივემ, ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის მსოფლიოს ჩემპიონმა **ფლოიდ მეივეზერმა** შეთანხმებას მიაღწია ლას ვეგასის მთავრობასთან სისხლის სამართლის ორი საქმის დახურვასთან დაკავშირებით. საოლქო პროკურორმა **დევიდ როჯერმა** დაადასტურა, რომ მეივეზერი აღიარებს თავის დანაშაულს ოჯახის წევრზე ძალადობისა და აგრესიული მოქმედების ორ ფაქტზე.

მეივეზერი იძულებული იქნება, გადაიხადოს 3 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა. ასევე ამერიკელს ემუქრება ორი დღიდან 18 თვემდე პატიმრობა. როგორც ვარაუდობენ, მოსამართლე **მელისა სარაგოსა** განაჩენს უახლოეს შაბათს გამოიტანს.

ფლოიდი დადანაშაულებულია 2010 წლის სექტემბერში თავის ყოფილ მეგობარ გოგონასა და მისი შვილების დედაზე - **ჯოზი ჰარისზე** თავდასხმაში. მეივეზერი 31 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ გაუშვეს თავდებით. ასევე იტყობინებიან, რომ მეივეზერს არ ექნება სასამართლო გარჩევა პარკირების თანამშრომლებთან, რომლებსაც 2010 წლის ნოემბერში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ამ საქმესთან დაკავშირებით მეივეზერს ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

# უორდი მეხუთეზე ავიდა

როგორც იცით, გასულ უქმეებზე 27 წლის ამერიკელმა **ანდრე უორდმა** მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა 34 წლის ბრიტანელი **კარლ ფროჩი**, რამაც მას მეორე საშუალო წონაში WBA-სა და WBC-ის ტიტულები მოუტანა, აგრეთვე ტურნირის - Super Six-ის გამარჯვებული გახდა. გარდა ამისა, უორდი ყველაზე ავტორიტეტული საკრივო გამოცემის - The Ring Magazine-ის ვერსიითაც გახდა ჩემპიონი.




საჩემპიონო ბრძოლამდე უორდი და ფროჩი პირველ და მეორე ადგილს იკავებდნენ მეორე საშუალო წონაში The Ring-ის მიერ შედგენილ რეიტინგში. ამ გამოცემის წესების თანახმად, თუ პირველი და მეორე ნომრები ერთმანეთს ხვდებიან და ამასთან, ტიტული ვაკანტურია, გამარჯვებული The Ring-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ქამარს ისაკუთრებს.

გარდა ამისა, ჟურნალის ექსპერტთა საბჭომ საუკეთესო მოკრივეთა რეიტინგში უორდი მეცხრე ადგილიდან მეხუთეზე გადაიყვანა. შესაბამისად, თითო პოზიციით ჩამოქვეითდნენ გასულ კვირას მეხუთე-მერვე პოზიციაზე მყოფი მოკრივეები - **ხუან მანუელ მარკესი, ვლადიმერ კლიჩკო, პონგსაკლეკ ვონჯონგკამი და ტიმოტი ბრედი.**

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

